ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

„ახალი თაობა“ +„მარკესი“

8 ლარი

15 ივნისიდან

ჩვენგან დამოუკიდებელი ტექნიკური მიზეზების გამო 13 ივნისის ნაცვლად წიგნი გაიყიდება 15 ივნისს!




ოთხშაბათი, 15 ივნისი, 2011 | №140 (5521) | ფასი: 30 თეთრი

# 26 მაისი ხელისუფლებას ძალიან ძვირად დაუჯდება


გვ.2

## სახალხო დამცველმა პოლიციის ქმედება დაგმო

ტუღუში უმრავლესობასაც მოსწონს და ოპოზიციასაც


გვ.3

## სააკაშვილის გადადგომას ხელი ყველა პარტიის ლიდერმა უნდა მოაწეროს!

ლეიბორისტები ამ რეჟიმის წინააღმდეგ ყველა ფრონტზე ვიბრ ვით



## საპატიმროდან სოსო ჯაჭველიანი გამარჯვებული გამოვა

გვ.4

ხელისუფლებამ ხალხის დაშინება მოახერხა



## ნატო შეიძლება უუნარო გახდეს


გვ.6

## აკა მორჩილაძის ნაწარმოებებს მოუთმენლად ველოდებით

გვ.4



## დავით-გარეჯში სენაკი ჩამოინგრა


გვ.6

## რატომ დაუმეგობრდა ჩვენი ხელისუფლება ფიდელ კასტროს



3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

2 ნაციონალები თავიანთთვის სახიფათო კანონებს იღებენ

7 ქრისტიან-დემოკრატები 10-ლარიან ხორცს ითხოვენ

3 ევროსასამართლომ საგარეჯოს რაიონის რამდენიმე სოფლის მოსახლეობის სარჩელი მიიღო

7 პარლამენტმა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება თავზე გადაახია

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ნაციონალები თავიანთთვის სახიფათო კანონებს იღებენ

თეა მარხვაი ე

ჩვენს ნაციონალებს, როგორც შალვა ნათელაშვილი იტყოდა, გამჩენი არ ასვენებს. ისეთ კანონებს იღებენ, რომ მალე ამის გამო შეიძლება ცხარე ცრემლებით იტირონ.

ამ ქვეყნად მუდმივი არაფერია და არც ნაციონალები გამოეკერებიან თანამდებობებს. ადრე თუ გვიან



ისინი ოპოზიციაში აღმოჩნდებიან, როგორც ეს ბურჯანაძის შემთხვევაში მოხდა.

ქართული გაგებით თუ ოპოზიციონერი ხარ აქციებიც უნდა გამართო. თან პრეზიდენტის გადადგომა მოითხოვო. ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ ამათაც მოუწევთ ქუჩაში დგომა. არაა გამორიცხული მათივე გაწვრთნილმა ზონდერებმა გაიგდონ წიხლქვეშ.

მერე გამოვა იმ დროინდელი შსს-ს პრესცენტრი იტყვის პოლიცია ჰუმანურად იქცეოდაო. ისე პოლიციელებს მართლა არაფერს ვერჩით. 26 მაისს მათ ძალიან ბევრი ადამიანი გადაარჩინეს. როგორც თვითმხილველები ამბობენ, გავეშებული სპეცრაზმელებისგან პოლიციელები იცავდნენ აქციის მონაწილეებს. ისე ხელ-ფეხს და ხელკეტებს ისინიც იქნევდნენ.

ეს სხვა თემაა და ახლა ისევ ნაციონალებისთვის საზიანო კანონზე მოგახსენებთ. კანონპროექტი, რომელიც მათვე შეუტრიალდება ცუდად, პავლე კუბლაშვილმა, ჩიორა თაქთაქიშვილმა, კახა ანჯაფარიძემ და აკაკი მინაშვილმა შეიმუშავეს.

ნაციონალების გადაწყვეტილებით, შეკრებისა და მანიფესტაციის პარალელურად, ადგილობრივი მოსახლეობისა და მოვაჭრეების უფლებების დაცვა სავალდებულო იქნება.

მათი უფლებების დაცვა სავალდებულო, „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონში ცვლილებების პროექტით ხდება და მას შესაბამისი პრიმა მუხლი ემატება.

როგორც „ინტერპრესნიუსი: იუწყება კანონპროექტით დგინდება, რომ შესაბამის ორგანოს აქვს ვალდებულება დაიცვას ბალანსი შეკრების თავისუფლებასა და იმ პირთა უფლებებს შორის, ვინც ცხოვრობს, მუშაობს, ვაჭრობს და აქვს ბიზნესი იმ ადგილებში, სადაც შეკრება მიმდინარეობს.

კანონში ცალსახად ჩაიწერება, რომ ამ პირებს ხელი არ უნდა შეეშალოთ, რათა განაგრძონ თავიანთი საქმიანობა. ამ მიზნით შეიძლება დაწესდეს დროისა და ადგილის შეზღუდვა და მოხდეს ალტერნატიული ვარიანტების შეთავაზება.

ვერაფერს იტყვი, კაცი იფიქრებს ჩვენი ხელისუფლება მოვაჭრეებზე ზრუნავს. არადა რაღაცა სხვანაირი ზრუნვა დასჩემდა მათზე ამ ხელისუფლებას.

ისე მოვაჭრეებს ყველაზე მეტად უხარიათ ხოლმე აქციები. ამ დროს თავიანთ საქონელს მშვენივრად ასაღებენ ხოლმე.

ნაცელიტას აქ სხვა ჭია უღრღნის ნერვებს და ამიტომ იღებენ ნაირ-ნაირ კანონებს. ერთ დროს ამ კანონებს თავადვე გადაახევენ თავზე. ერთი წუთით წარმოიდგინონ, რომ ქვეყნის პრეზიდენტი არის გაჩეჩილაძე, სპიკერი პარლამენტისა გახლავთ თინა ხიდაშელი, ხოლო უშიშროების საბჭოს მდივანია დათო ბერძენიშვილი (შესაძლებელია სხვა ვარიანტებიც). თავად კი ოპოზიციაში არიან და გრეჩიხას გადადგომის მოთხოვნით აქციის გამართვა გადაწყვიტეს.

აი, მაშინ ის ხელისუფლება ამათ თავიანთივე მიღებული კანონებით გაუსწორდება. დასარბევად მათივე შექმნილ ზონდერებს გამოიყენებენ. და მერე ვინმე ხელისუფლებაში მყოფი გოკა გაბაშვილის პათოსით მიმართავს ნაცემ და გაუბერდურებელ ადამიანებს.

— აქციებამდე ნუ იბაქიბუქებთ, ხოლო დარბევის შემდეგ ნუ იწრუწუნებთ, — ასეთი იქნება დარბეული ნაციონალებისთვის გაცემული პასუხი.

თავის დროზე ნინო ბურჯანაძესაც ეგონა, რომ აქციის დაშლაში ცუდი არაფერი იყო. ახლა მან ეს საკუთარ თავზე გამოსცადა. ასევე მოუვათ სხვა ნაციონალებს. და თუ ასე გააგრძელებენ მათთვის სოლიდარობის გამოსაცხადებლად კაციშვილი არ გამოვა ქუჩაში.

# 26 მაისი ხელისუფლებას ძალიან ძვირად დაუჯდება

ნათია ხურცილავა

პარლამენტის შენობის წინ ქალთა მოძრაობა „თამარიონის“ მიერ ორგანიზებული აქცია გაიმართა. გუშინ გამართულ აქციას 16 არასამთავრობო ორგანიზაცია შეუერთდა. საპროტესტო აქციას ასევე შეუერთდნენ საპარლამენტო უმცირესობის წევრები.

აქციაზე შეკრებილმა ქალებმა სამი მთავარი მოთხოვნა გაუგზავნეს პარლამენტს, რომელსაც ხელმოწერები დაურთეს.

პირველი მოთხოვნაა, შეიქმნას საგამოძიებო კომისია, რომელიც 26 მაისის აქციის დარბევის ფაქტებს შეისწავლის. მეორე — შეჩერდეს რეპრესიები და გათავისუფლდნენ პოლიტპატიმრები.

პარლამენტის წინ გამართული აქცია ერთგვარი მხარდაჭერა იყო პარლამენტში სახალხო დამცველის მოხსენების გაკეთების წინ.

მოგვიანებით აქციის წევრებმა პარლამენტის უკანა შესასვლელისკენ მსვლელობა გამართეს. ისინი ვიცე-სპიკერ რუსუდან კერვალიშვილთან ითხოვდნენ შეხვედრას. თუმცა, როგორც მოგვიანებით ნინელი ჭანკვეტაძემ და ეკა ბესელიამ გაარკვიეს, რუსუდან კერვალიშვილი ქალაქში არ იმყოფება. შესაბამისად, მათ მომავალი კვირის სამშაბათისთვის მოითხოვეს კერვალიშვილთან შეხვედრა.

აქციის მონაწილე ქალებს აინტერესებთ, როგორია რუსუდან კერვალიშვილის პოზიცია 26 მაისს ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით — უჭერს თუ არა ის მხარს საგამოძიებო კომისიის შექმნას და რა როლს შეასრულებს აღნიშნული სამი მოთხოვნის შესრულებაში.

**ნინელი ჭანკვეტაძე, მსახიობი:**

— აქცია ასეთი ლოზუნგით ჩატარდა: „საქართველოს ქალები სიცოცხლისა და ღირსების გადასარჩენად“. 26 მაისი ჯალათური მოვლენაა ამ ხელისუფლების. პარლამენტმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, რომ შეიქმნას საგამოძიებო კომისია, მაგრამ მხოლოდ პარლამენტის წევრებისგან დაკომპლექტებული — არა, კომისიაში აუცილებლად უნდა შევიდნენ საერთაშორისო დამკვირვებლები და საზოგადოების წარმომადგენლები, რომლებსაც ენდობა საზოგადოება. მეორე მოთხოვნაა, სასწრაფოდ გათავისუფლდნენ უკანონო პატიმრები. პირველ რიგში ვახსენებ სოსო ჯაჭვლიანს, რადგან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა საგანგაშოა. ორ კვირაზე მეტია, რაც შიმშილობს, ასევე გაათავისუფლონ ლაშა ჩხარტიშვილი და ა.შ. მესამე მოთხოვნაა, შეწყდეს რეპრესიები. ვიცით, რომ ისევ გრძელდება ზეწოლა დაკავებულ ადამიანებზე, მათ ოჯახებზე. პარლამენტის ვალია, ეს იყოს ჭორი კი არა, დაზუსტებული ინფორმაცია. ამიტომ პირდაპირ მათი მოვალეობაა, შეიქმნას საგამოძიებო კომისია და სიმართლე იცოდნენ ადამიანებმა. აქციები იქნება მანამ, სანამ ეს მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება. რაოდენობას არა აქვს მნიშვნელობა. აქ იქნება თუ სხვაგან, აქციები გაიმართება, რათა ჩვენი შვილებისა და ქმრების სიცოცხლე გადავარჩინოთ. ხელმოწერებს ვაგზავნით არა მხოლოდ პარლამენტში, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციებში და იქიდანაც ველოდებით პასუხს.

**ეკა ბესელია, არასამთავრობო ორგანიზაცია „სოლიდარობა უკანონო პატიმრების“ ლიდერი:**

— საერთაშორისო საზოგადოების, ევროკავშირის, ევროსაბჭოს, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის, ეუთოს, გაეროს მოთხოვნაა, შეიქმნას საგამოძიებო კომისია და ჩატარდეს ობიექტური გამოძიება და დამნაშავეები დაისაჯონ, ამიტომ ჩვენ ამ მოთხოვნას დღის წესრიგიდან არ მოვხსნით. ამ მოთხოვნის შესასრულებლად გაგრძელდება ჩვენი აქტიურობა. სახალხო დამცველის მოხსენების ფონზე ეს აქცია სწორედ ამ მიზანს ემსახურება, რომ პარლამენტს მოვთხოვოთ, როგორც საკანონმდებლო ორგანოს, რომელსაც კონტროლის ბერკეტი აქვს აღმასრულებელ ხელისუფლებაზე, შექმნას საგამოძიებო კომისია, დაიბაროს მინისტრი მერაბიშვილი, დაკითხოს, მიიღოს განმარტებები და ეს ფაქტი გამოძიებულ იქნეს. ასევე უნდა მოვახერხოთ, რომ ეს რეპრესიები შეჩერდეს. სამასზე მეტი ადამიანია (ზუსტ ციფრს ვერ ვამბობ, რადგან ეს ციფრი ყოველდღე იზრდება) დაკავებული. საქართველოს სხვადასხვა რაიონში დავდივარ და ვნახულობ იმ ადამიანებს, რომლებიც 26 მაისს იქნენ დაკავებულნი. უკვე შევხვდი 20-ზე მეტ ადამიანს, რომლებიც პატიმრობაში იმყოფებიან. უმძიმეს პირობებში არიან ისინი. ჩვენ გვაქვს ფაქტები, რომლებიც შემზარავია. საუბარია ღირსების შემლახავ, არაადამიანურ მოპყრობაზე მათ მიმართ. ასევე ჩვენ გვაქვს უგზო-უკვლოდ დაკარგულთა სია, რომელიც უკვე გადავეცით შინაგან საქმეთა სამინისტროს და მათ უნდა გაგვცენ პასუხი, რა დაადგინეს, ვინ არის ნაპოვნი და ვინ — არა. ჩვენი შესაძლებლობა ამ ადამიანების ძებნასთან დაკავშირებით უკვე ამოიწურა, ამიტომ სია უნდა გადაამოწმოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ. ჯერჯერობით არანაირი რეაგირება მათი მხრიდან არ ყოფილა. საუბარია 46 ადამიანზე. ამიტომ ამ აქციას შინაარსობრივი დატვირთვა აქვს. შემდეგ სამშაბათს ასევე შევიკრიბებით და მოვითხოვთ ამ მოთხოვნების შესრულებას. ხელისუფლებას არ ეგონოს, რომ ეს იქნება ერთჯერადი აქცია. ეს აქციები გაგრძელდება მანამ, სანამ არ შესრულდება ჩვენი მოთხოვნები.

**დიმიტრი ლორთქიფანიძე, საპარლამენტო უმცირესობის წევრი:**

— აქციებმა პერმანენტული ხასიათი უნდა მიიღოს. ძალიან ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ ეს აქცია იმართება სახალხო დამცველის საანგარიშო მოხსენების დაწყებამდე. ქართველმა საზოგადოებამ ერთხელ და სამუდამოდ ნათლად და მკაფიოდ უნდა დააფიქსიროს, რომ ის არ აპირებს, შეეგუოს იმ უსამართლობას, რომელიც გამეფებულია საქართველოს სახელმწიფოში. სახელმწიფოში, რომელიც მხოლოდ დეკლარირებულად შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფოდ. ვერც ერთი კლასიკური ნიშნით ვერ ამართლებს სახელმწიფოს ფუნქციას, ვინაიდან ქვეყანაში კონსტიტუციით მინიჭებული ადამიანის არც ერთი უფლება არ არის დაცული. ადამიანის ფუნდამენტური უფლება, რომელიც კონსტიტუციით არის გარანტირებული — სიცოცხლის უფლება ხელყოფილია. ამის ნათელი დადასტურებაა სახალხო დამცველის ფართო მოცულობის საანგარიშო მოხსენება, რომელზეც პარლამენტმა უნდა იმსჯელოს, როგორი დადგენილებით უპასუხოს მას. ეს იქნება ერთგვარი ტესტი ადამიანურობაზე და არა მხოლოდ დემოკრატიის ხარისხზე ქვეყანაში. თითოეული დეპუტატი დღეს ადამიანურობაზე გადის ტესტს. 26 მაისის შემდეგ საზოგადოება გაოგნებულია. ხალხი ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულა, თუ რა მასშტაბის სამართალდარღვევას ჰქონდა ადგილი ხელისუფლების მხრიდან მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ. მშვიდობიანია დემონსტრანტი, რომელიც ხელებს სწევს, ნებდება სამართალდამცველს, ითხოვს გასვლას და არ



აძლევენ მას ამის საშუალებას, ცემით კლავენ, თავის სისხლში აბანავებენ, შემდეგ ფიზიკური დაზიანებებით მიჰყავთ და სამი თვით დილეგში აგდებენ. რა თქმა უნდა, ეს ყველანაირ წარმოდგენას სცილდება დემოკრატიის ხარისხისა და თუნდაც თავისუფლების შეზღუდვის დაშვებისა. ეს აქცია მხოლოდ დასაწყისია საზოგადოებრივი პროტესტისა, რადგან ჩვენ ვნახეთ 26 მაისის მეორე, მესამე დღეს გამართული ხალხმრავალი საპროტესტო აქცია, რომელიც რუსთაველის ძეგლთან დაიწყო და მსვლელობით საქართველოს პარლამენტთან დასრულდა. მსვლელობაში ათასობით ადამიანი მონაწილეობდა. ხაზგასმით ვამბობ, ეს მხოლოდ დასაწყისია. აქციები პერმანენტულად გაგრძელდება და არ დასრულდება მანამ, სანამ არ გამოიღებს კონკრეტულ შედეგს. რაც შეეხება დაკარგულებს, ამ ადამიანების რაოდენობასთან დაკავშირებით სხვადასხვა ინფორმაცია ვრცელდება. დღეის მონაცემებით, ოთხ ათეულზე ცოტა მეტი ადამიანი ითვლება გაუჩინარებულად. არის შემთხვევები, როდესაც ადამიანებს საგამოძიებო და დროებით იზოლატორებში მივაკვლიეთ. ვრცელდება ინფორმაცია, რომ მდინარე მტკვარმა რამდენიმე მიცვალებული გამორიყა. მათი იდენტიფიცირების შესახებ ინფორმაცია საბოლოო არ არის. მას შემდეგ, რაც დადასტურდება საიდენტიფიკაციო მონაცემები, მე გავაკეთებ განცხადებას. 26 მაისთან დაკავშირებით ჩვენ მოვითხოვთ სახალხო დამცველისგან კატეგორიულად მოკლე შეფასებას ამ ეტაპზე, პირველ რიგში იმ ადამიანების მდგომარეობის ამსახველ სურათს, რომლებიც დროებითი მოთავსების იზოლატორში არიან. მათი რიცხვი 150 აჭარბებს, რომლებიც ორი და სამი თვის ვადით არიან მოთავსებულნი.

**თინა ხიდაშელი, „რესპუბლიკური პარტიის“ წევრი:**

— 27 მაისს მოვითხოვე საგამოძიებო კომისიის შექმნა, საკრებულოში კენჭის ყრაზეც კი დავაყენეთ. დიახ, უნდა შეიქმნას. მე ვფიქრობ, რომ სხვა ალტერნატივა არ გვაქვს. 7 ნოემბრიდან მოყოლებული, ძალიან ბევრი აქცია დაირბა ქვეყანაში. ამას წერტილი უნდა დაესვას. წერტილი მხოლოდ ერთადერთ შემთხვევაში დაესმევა — თუ პოლიციაში გაჩნდება განცდა, რომ მიტინგის დარბევა ისეთივე ძალადობაა, როგორიც ქუჩაში ადამიანის უმიზეზოდ ცემა. სანამ არ გაჩნდება დასჯილი ადამიანი აქციის დარბევისთვის, ასევე ის თანამდებობის პირი, რომელიც მსგავს განკარგულებას იძლევა, ჩვენ ამ წრეზე ვიტრიალებთ და მუდმივად ამ მდგომარეობაში ვიქნებით. აქციებს დაარბევენ, იძალადებენ, მოსახლეობას დასჯას გაუბედავენ და ეს ისე ჩაივლის, თითქოს არც არაფერი მომხდარა.

***— საერთაშორისო დამკვირვებლები უნდა ჩაერთონ ამ პროცესში?***

— ექსპერტიზის ნაწილში ვისურვებდი, მთლიანად საერთაშორისო ორგანიზაციებს გაეკეთებინათ. სამწუხაროდ, საქართველოში ამ ტიპის კვალიფიციური ექსპერტიზა არ გვაქვს, ვგულისხმობ ფოტო-ვიდეო ექსპერტიზას და ა.შ. ადამიანური რესურსის თვალსაზრისით ჩვენს ქვეყანაში არანაირი პრობლემა არ არის, რათა კვალიფიციურად იყოს ყველაფერი გამოძიებული.

***— რამდენად შეიძლება წამოვიდეს ამაზე ხელისუფლება?***

— ეს მხოლოდ ჩვენზე იქნება დამოკიდებული, რამდენად მაღალი იქნება ზეწოლა სწორედ ამ თვალსაზრისით. სანამ აქციებს გავმართავთ, მხოლოდ „მიშა წადის“ ყვირილით არაფერი მოხდება. თუ სოლიდარობის ხარისხი მაღალი იქნება და ასეთი ტიპის აქციები იქნება, კონკრეტულ თემაზე ორიენტირებული, საბოლოო ჯამში, რა თქმა უნდა, ხელისუფლების ცვლილებაზე ორიენტირებული, მაშინ მათ დათმობებზე მოუწევთ წასვლა.

**ნინო ბურჯანაძე, „დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარე:**

— მოვედი სოლიდარობის

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ზაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ზალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოჩაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# სახალხო დამცველმა პოლიციის ქმედება დაგმო

ნანა მიშელაშვილი

**აინტერესებდათ თუ არა დეპუტატებს სახალხო დამცველის ანგარიში? პარლამენტმა გუშინ სახალხო დამცველის მოხსენებას მოუსმინა. გიორგი ტუღუში პარლამენტში დღის მეორე ნახევარში მივიდა.**

სანამ მოხსენებას გააკეთებდა, გიორგი ტუღუშმა ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ პარლამენტი კანონპროექტებთან დაკავშირებით სახალხო დამცველის რეკომენდაციებს არ ითვალისწინებს, რის გამოც შემდეგ ურთიერთობების გარკვევა ისევ საკონსტიტუციო სასამართლოში უწევთ.

სახალხო დამცველის მოხსენებას თავიდან 39 დეპუტატი უსმენდა, შემდეგ კი დეპუტატების რიცხვმა სხდომათა დარბაზში თანდათან იკლო და 29 დეპუტატზე ჩამოვიდა. არადა, სანამ ომბუდსმენი ანგარიშის წარდგენას დაიწყებდა, სხდომათა დარბაზში 82 კანონმდებელი იჯდა. სწორედ ამდენმა დეპუტატმა გაიარა რეგისტრაცია კენჭისყრის წინ.

ტუღუშმა საკუთარი მოხსენება საყვედურით დაიწყო.

— ჩვენ თითოეულ შენიშვნასა და მოსაზრებას ვაგზავნით პარლამენტში. სამწუხაროდ, არც ერთი მათგანი გათვალისწინებული არ ყოფილა, რაც გვიქმნის შთაბეჭდილებას, რომ არასათანადო ყურადღება ეთმობა ჩვენი მოსაზრებების განხილვას. აღნიშნული განაპირობებს ისეთი საკანონმდებლო ნორმების მიღებას, რომლებიც, ზოგიერთ შემთხვევაში, შესაბამისობაში არ არის კონსტიტუციასთან და ადამიანის უფლებათა კუთხით არსებულ საერთაშორისო სტანდარტებთან, — აღნიშნა ტუღუშმა.

მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დამცველის ანგარიში 2011 წელს არ შეეხებოდა, ომბუდსმენი 26 მაისს მომხდარ მოვლენებსაც შეეხო. ომბუდსმენი შეშფოთებულია 26 მაისს ძალის გადამეტების ფაქტებით.

— სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა მონიტორინგი განახორციელეს ყველა იმ იზოლატორში, სადაც იმყოფებოდნენ 21 მაისიდან 27 მაისს დაკავებული და ადმინისტრაციულპატიმრობამისჯილი პირები. ასევე სახალხო დამცველის წარმომადგენლები უშუალოდ თვალყურს ადევნებდნენ აქციის დაშლას და მინდა, შეშფოთება გამოვხატო ძალის გადამეტების იმ ფაქტების გამო, რომლებიც მათ დააფიქსირეს და ვიდეოჩანაწერებით ჩანს, — აღნიშნა ტუღუშმა.

ომბუდსმენის თქმით, ვიდეოჩანაწერებიდან ნათლად ჩანს, რომ პირებს, რომლებსაც ფიზიკური წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლოთ, რამდენიმე სამართალდამცველი ერთდროულად აყენებს ფიზიკურ შეურაცხყოფას. ტუღუშის განცხადებით, ასევე ჩანს დაკავებული პირების მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტები, კერძოდ, კინო „რუსთაველში“ დაკავებულების გამოყვანის დროს ხელბორკილდადებულ პირებს ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებენ.

მისივე ინფორმაციით, მძიმე დაზიანებები აღენიშნებოდა წინასწარი დაკავების იზოლატორებში მოთავსებულ 10-მდე პირს, საშუალო სიმძიმის დაზიანებები კი — უმრავლესობას.

— ისინი აცხადებდნენ, რომ ეს დაზიანებები მიიღეს როგორც დაკავების, ასევე შემდგომ იზოლატორებში გადაყვანის დროსაც. აღნიშნულთან დაკავშირებით მივმართე მთავარ პროკურატურას გამოძიების დაწყების რეკომენდაციით, — დასძინა ტუღუშმა.

სახალხო დამცველმა ყურადღება გამაახვილა 26 მაისს აქციის დაშლის დროს მედიის წარმომადგენლების მიმართ განხორციელებულ ქმედებებზე.

— მიუხედავად იმისა, რომ მედიის წარმომადგენელთა დიდ ნაწილს პროფესიული მოვალეობის განხორციელების საშუალება მიეცა, აქციის დაშლისას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ჟურნალისტების ნაწილს, ნაწილი დააკავეს და დაუზიანეს ტექნიკა. აღნიშნული ქმედებები, ჩემი აზრით, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულის ნიშნებს შეიცავს, — განაცხადა სახალხო დამცველმა. გიორგი ტუღუშმა იმედი გამოთქვა, რომ გამოძიება გამჭვირვალე და ეფექტური იქნება და მისი მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია სახალხო დამცველისთვისაც ხელმისაწვდომი იქნება.

— აღნიშნული საკითხი იმიტომ დავაყენე, რომ პარლამენტმა შესაბამისი ყურადღება უნდა მიაქციოს ამ უფლებადარღვევებზე აღმასრულებელი ხელისუფლების რეაგირებას, რათა დაისვას უფლებადამრღვევი პირების პასუხისმგებლობის საკითხი, — მიმართა პარლამენტს გიორგი ტუღუშმა.

მას შემდეგ, რაც ომბუდსმენმა 2010 წელს ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არსებულ ვითარებაზე ერთსაათიანი მოხსენება გააკეთა, დეპუტატებმა გიორგი ტუღუშს შეკითხვები დაუსვეს. სახალხო დამცველს მადლობას უხდიდა ოპოზიცია და საპარლამენტო უმრავლესობა.

უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა გოკა გაბაშვილმა სახალხო დამცველის ანგარიშს დეტალური, მწვავე და საქმიანი უწოდა.



საპარლამენტო ოპოზიციამ ცალკეული თანამდებობის პირების პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი დასვა. ოპოზიციის კითხვაზე — უნდა დადგეს თუ არა კონკრეტული პირების პასუხისმგებლობის საკითხი, გიორგი ტუღუშმა განაცხადა, რომ კონკრეტული პოლიტიკური თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის საკითხი უშუალოდ პარლამენტის გადასაწყვეტია.

— თუმცა, მინდა აღვნიშნო, რომ ჩემს ბოლო ანგარიშში არაერთი კონკრეტული პირია მოყვანილი, რომლებიც შემჩნეული იყვნენ მრავალ უფლებადარღვევაში. დასახელებულია რამდენიმე კონკრეტული გვარი და სახელი, რაც, ვფიქრობ, ადეკვატური გამოძიების ჩატარების შემთხვევაში, საშუალებას მისცემს შესაბამის ორგანოებს, დააყენონ ამ პირების პასუხისმგებლობის საკითხი. აქედან გამომდინარე, მე მოველი, რომ თითოეულ იმ ფაქტს, რომელიც სახალხო დამცველის ანგარიშშია მოყვანილი, ჯეროვანი რეაგირება მოჰყვება, — აღნიშნა გიორგი ტუღუშმა.

უმცირესობის ლიდერი გიორგი თარგამაძე სოსო ჯაჭვლიანისა და ცოტნე გამსახურდიას ჯანმრთელობის მდგომარეობის საკითხით დაინტერესდა. სახალხო დამცველმა ორივე მათგანის შესახებ ისაუბრა.

გიორგი ტუღუშის განცხადებით, სოსო ჯაჭვლიანი გარკვეული პერიოდი სამკურნალო დაწესებულებაში იმყოფებოდა. მისივე თმით, მას შემდეგ, რაც ექიმმა გასცა ცნობა და მიუთითა, რომ შესაძლებელი იყო, დაბრუნებულიყო დროებითი მოთავსების იზოლატორში, იქ დააბრუნეს.

— თუმცა, ექიმმა რეკომენდაცია გასცა, რომ მას უნდა დაეწყო საკვების მიღება. ბოლო დროს, როგორც ვიცი, მან უარი განაცხადა არა მარტო საკვების, არამედ მედიკამენტების მიღებაზეც. თუ მდგომარეობა კვლავ დამძიმდა, მას გადაიყვანენ სამკურნალო დაწესებულებაში, — აღნიშნა ტუღუშმა.

რაც შეეხება ცოტნე გამსახურდიას, სახალხო დამცველის განმარტებით, მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლები მასთან 3 ივნისს იმყოფებოდნენ და მოინახულეს.

— ბატონი ცოტნე აცხადებს, რომ მას ერღვევა რამდენიმე უფლება. ეს უფლებები კონკრეტულად დაკავშირებულია: გასეირნებასთან, შხაპის მიღებასთან, ტელეფონით სარგებლობასთან და სხვა, — აღნიშნა სახალხო დამცველმა და იქვე მიუთითა, რომ ამ პრობლემების შესწავლით დაკავებულია და მომავალში პარლამენტს უფრო დეტალურ ინფორმაციას მიაწვდის ცოტნე გამსახურდიას უფლებრივი მდგომარეობის შესახებ. გიორგი ტუღუშს „მედიაპალიტრაში“ საგადასახადო შემოწმებაზეც დაუსვეს შეკითხვები.

გიორგი ტუღუშმა განაცხადა, თუ სახალხო დამცველი მივა იმ დასკვნამდე, რომ ეს შემოწმება სხვა მიზნებს ისახავს და არასწორად არის მიმართული. მას შესაბამისი რეაგირება ექნება.

— ჩვენ საუბარი გვქონდა „მედიაპალიტრის“ ხელმძღვანელობასთან. მე შევხვდი ბაია ცანავას, როცა სტუმრად ვიყავი რადიოში. თუ გამოვლინდა კონკრეტული დარღვევები, ამაზე შესაბამისი რეაგირება მექნება, თუმცა, მსგავსი რამ ჯერ სახეზე არ ყოფილა, — განაცხადა გიორგი ტუღუშმა. სახალხო დამცველი ასევე გამოეხმაურა გოკა გაბაშვილის კითხვას, შეფერხდა თუ არა ამ შემოწმების შედეგად რომელიმე მედიასაშუალების მუშაობა. გიორგი ტუღუშის განცხადებით, მსგავს ინფორმაციას ის არ ფლობს, კონკრეტული შეფერხების შესახებ კი ინფორმაცია არა აქვს.

ომბუდსმენმა ციხეების გადატვირთულობაზეც გაამახვილა ყურადღება. საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ეკა ხერხეულიძემ სასჯელაღსრულების სისტემაში გადატვირთულობის პრობლემის მოგვარებაზე ისაუბრა და შესაბამისი უწყების მიერ აღებულ სესხზე მიუთითა, რომლითაც ლაითურის ციხე უნდა აშენდეს.

— თქვენს შეფასებას კატეგორიულად ვერ გავიზიარებ. გადატვირთულობის პრობლემა არ არის მოგვარებული და მეტიც, შეიძლება უფრო გამწვავდეს, — განაცხადა სახალხო დამცველმა.

მისივე აზრით, თუ აშენდება ლაითურის ციხე, ფაქტი ისაა, რომ ციხის აშენება გადატვირთულობის პრობლემის მოგვარების საფუძველი არ იქნება.

მინისტრების პასუხისმგებლობის საკითხი დასვეს ქრისტიან-დემოკრატებმა. ლევან ვეფხვაძის განცხადებით, სახალხო დამცველმა მიუკერძოებელი ანგარიში წარმოადგინა. მისივე თქმით, უმრავლესობა მადლობას უხდიდა სახალხო დამცველს, მაგრამ ამ ადამიანმა მოიძია ფაქტები, რომლებსაც შეფასება და რეაგირება სჭირდება. ლევან ვეფხვაძემ დევნილებსა და კობა სუბელიანის განცხადებებზეც ისაუბრა, რომელმაც უმრავლესობა შეცდომაში შეიყვანა.

ოპოზიციის შენიშვნების მიუხედავად, უმრავლესობას არავისი პასუხისმგებლობის საკითხი არ დაუსვამს.

# 26 მაისი ხელისუფლებას ძალიან ძვირად დაუჯდება!

დასაწყისი მე-2 გვერდზე

გამოსახატად. იმ სოლიდარობის, რომელიც ქართველ საზოგადოებას დღეს ყველაზე მეტად აკლია. მე ვიცი, რომ მსოფლიო უფლებადამცველმა ორგანიზაციებმა გააკეთეს ძალიან სერიოზული, უმძიმესი განცხადება ხელი-



სუფლების მიმართ, რომელიც ეხება დაკარგულთა ბედის გამოძიებას, ასევე საპატიმროებში მყოფი ადამიანების უფლებების დარღვევას. 26 მაისი ხელისუფლებას ძალიან ძვირად დაუჯდება. ამას ვპირდებით.

***— „რვიანის“ პოზიციაა, რომ საზოგადოება ჩართონ საარჩევნო პროცესში...***

— უკაცრავად, რომელი საზოგადოება — ხარისხიანი? ჩვენ, უხარისხო საზოგადოება, ამ ბრძოლაში დიდი ხანია ჩართული ვართ.

***— საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებებში აზრს ვერ ხედავთ?***

— ეს ხელისუფლება საარჩევნო გარემოს არ გააუმჯობესებს. „რვიანმა“ მითხრას, წელიწად-ნახევარში რას მიაღწია. ერთი ნაბიჯი მაინც მითხრას ხელისუფლების მიერ დათმობილი.

***— „რვიანი“ აცხადებს, რომ დასავლეთი მას თანაუგრძნობს...***

— არ მაინტერესებს, „რვიანი“ რას აცხადებს. სიმართლე გითხრათ, არ მაინტერესებს, რას აცხადებს. დასავლეთი ბურჯანაძეს რომ თანაუგრძნობდა, ის თანაგრძნობა არ დაესიზმრება მთელ „რვიანს“, ერთად აღებულს, მაგრამ უნდა იდგე შენი ხალხის გვერდით.

**ნანა შონია, მსახიობი:**

— იმედი გვაქვს, ასეთი აქციებით მივაღწევთ იმ მოთხოვნას, რომელიც გახმოვანდა, რომ აუცილებლად უნდა შეიქმნას საგამოძიებო კომისია, რომელიც გამოიძიებს იმ სისასტიკეს, რომელიც მოხდა 26 მაისს, რომ შეჩერდება რეპრესიები და პოლიტპატიმრები გათავისუფლდებიან. აქცია არის დამხმარე ძალა, რომელიც აუცილებელია და გამოიკვეთა რომ ამის გარეშე არაფერი გამოდის. ხალხი დაშინებულია და სწორედ ამ დაშინებაში ვხედავ მე ტრაგიზმს. ამ შიშს ვერ უმკლავდება ხალხი და მე მესმის მათი. თუმცა, ხანდახან არ მესმის, რადგან ძალა ერთობაშია. თუ რეალურად ამას მივაღწიეთ, მაშინ ყველაფერი გამოვა. მაინც ვფიქრობ, რომ შიშის ტალღა გადაივლის, რომელიც ახლა ასეთი ძლიერია. ადამიანი მაინც თავისუფალი უნდა იყოს. მას არც შიში და არც რიდი არ უნდა ჰქონდეს, თუ საქმე მის ქვეყანას, მომავალს, თავისუფლებას ეხება.

***— როგორია თქვენი პოზიცია 26 მაისს ხელოვანი ადამიანების მიერ ჯილდოების აღებასთან დაკავშირებით?***

— კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ეს ჩემთვის მიუღებელია. იმ დღეს ჯილდო არავის არ უნდა მიეღო. ამას ხაზგასმით ვამბობ. უარი უნდა ეთქვათ, ვისი მომხრეც და მხარდამჭერიც არ უნდა ყოფილიყვნენ ან არ ყოფილიყვნენ. ის დღე მთელი ქვეყნისთვის, მთელი საქართველოსთვის ძალიან მძიმე იყო.

## ევროსასამართლომ საგარეჯოს რაიონის რამდენიმე სოფლის მოსახლეობის სარჩელი მიიღო

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ ეკოლოგიური სამართლის ცენტრის„ სარჩელი რეგისტრაციაში გაატარა.

როგორც „მედიანიუსს“ „ეკოლოგიური სამართლის ცენტრის“ ხელმძღვანელმა ნიკოლოზ მჟავანაძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განუცხადა, სარჩელი საგარეჯოს რაიონის სოფლების: ნინოწმინდის, გალმაუბნის და წყაროსთავის მოსახლეობის ეკოციდს ეხება და მატერიალური ზიანის ანაზღაურებას ითვალისწინებს. მჟავანაძის თქმით, 2004 წელს აღნიშნულ სოფლებში კომპანია „კანარგო ჯორჯიას“მესამე ჭაბურღილზე ნავთობის ამოფრქვევა მოხდა, რის გამოც იქ მცხოვრები მოსახლეობა დაზარალდა.

— ზიანი იმდენად დიდი იყო, რომ ცხრა თვის განმავლობაში მოსახლეობისათვის წყალს კომპანია ეზიდებოდა. იმატა ონკოლოგიურმა დაავადებებმა, გაიჩეხა ტყის მასივი. არსებობს ექსპერტული დასკვნები, რომლის თანახმადაც, ნავთობპროდუქტების რაოდენობა დაშვებულ ნორმებს 45 ჯერ აღემატებოდა, —განაცხადა მჟავანაძემ და დასძინა, რომ მოსახლეობას კომპანიისგან არანაირი კომპენსაცია არ მიუღია.

მისი თქმით, მოსახლეობამ 2004 წელს საქალაქო სასამართლოში სარჩელი შეიტანა , რომლითაც კომპანიისგან ერთ სულ მოსახლეზე 50 ათასი ლარის გადახდას ითხოვდა. სარჩელის განხილვა მრავალი დარღვევებით ჩატარდა როგორც საქალაქო, ისე სააპელაციო და უზენაეს სასაამრთლოში.

— რადგან აქ ვერაფერს გავხდით, 2420 ადამიანის მინდობილობით, ამა წლის 17 მაისს აღნიშნული სარჩელი გავგზავნეთ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში. ის ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 და მე-8 მუხლების დარღვევას, რაც სამართლიანი სასამართლოს უფლებისა და პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევას გულისხმობს, — განაცხადა მჟავანაძემ.

მისი თქმით, სტრასბურგის სასამართლომ სარჩელი რეგისტრაციაში უკვე გაატარა და მისი განხილვა ახლო მომავალში დაიწყება.

**მედიანიუსი**

## საქართველოს საგარეო სახელმწიფო ვალი 4 176 172 000 აშშ დოლარია

საქართველოს საგარეო სახელმწიფო ვალი, 31 მაისის მდგომარეობით, 4 176 172 000 აშშ დოლარია. ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, სახელმწიფო ვალი ერთი თვის განმავლობაში 38 358 000 აშშ დოლარით შემცირდა.

ვალის საერთო მოცულობიდან მრავალმხრივი კრედიტორების მიმართ, ვალი 3 001 368 000 აშშ დოლარია, ხოლო ორმხრივი კრედიტორების მიმართ - 606 399 000 აშშ დოლარი.

31 მაისის მდგომარეობით, საქართველოს მიერ სახელმწიფო გარანტიით აღებული კრედიტების ოდენობა 3 656 000 აშშ დოლარს შეადგენს, ხოლო ევრობონდების ვალი 564 750 000 აშშ დოლარს.

**ინტერპრესნიუსი**

თქვენი ზარით შეეწიეთ
ბებნისის დედათა მონასტრის
მშენებლობას
მაგთის, ჯეოსელის, ბილაინის
აბონენტებმა დარეკეთ ნომერზე 700 605
ღმერთმა შეგიწიროთ!
ზარის ღირებულებაა 1 ლარი

# აკა მორჩილაძის ნაწარმოებებს მოუთმენლად ველოდებით

## „გუმბათმა“ აკა მორჩილა ის ათტომეულის გამოცემა დაიწყო

ეკა ირემაშვილი

**ჟურნალმა „გუმბათმა" უკვე დაიწყო გამოცემა აკა მორჩილაძის ნაწარმოებებისა, რომლებიც ათტომეულში გაერთიანდება. აკა მორჩილაძე თანამედროვე ქართულ მწერლობაში ერთ-ერთი გამორჩეული ავტორია, ის არაერთი პრესტიჟული პრემიისა თუ ჯილდოს მფლობელია.**

ამჟერად აკა მორჩილაძე ლონდონში ცხოვრობს და მოღვაწეობს. მისი შემოქმედება ბევრი რეჟისორისთვის გამხდარა შთაგონების წყარო. მისი ნაწარმოები თეატრალურ სივრცეში პირველად რეჟისორმა დავით ანდღულაძემ გადაიტანა და „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“ ახმეტელის თეატრში დადგა. მაისში კი მარჯანიშვილის თეატრში რეჟისორმა დავით საყვარელიძემ აკა მორჩილაძის „წიგნი“ დადგა, რომელშიც მთავარ როლს ოთარ მეღვინეთუხუცესი ასრულებს.

რამდენად აინტერესებთ აკა მორჩილაძის შემოქმედება, უნდა კითხულობდეს თუ არა საზოგადოება კლასიკურ ნაწარმოებებთან ერთად თანამედროვე მწერლობას და რომელია მწერლის შემოქმედებიდან გამორჩეული ნაწარმოები, ამის შესახებ „ახალი თაობა“ ცნობილ ადამიანებს ესაუბრა.

**გიგა ლორთქიფანიძე, რეჟისორი:**



— აკა მორჩილაძე არაჩვეულებრივი მწერალია. მისი ნაწარმოებები ბრწყინვალეა.

ძალიან კარგია, თუკი „გუმბათმა“ მისი ათტომეულის გამოცემა დაიწყო. კლასიკურ ნაწარმოებებთან ერთად აუცილებელი და სავალდებულოა, რომ მომავალი თაობა კარგად იცნობდეს თანამედროვე მწერლების შემოქმედებასაც. მე, როგორც რეჟისორი, დიდი სიამოვნებით დავდგამდი მის შემოქმედებას როგორც თეატრში, ასევე გადავიტანდი კინოშიც.

— ***რომელ ნაწარმოებს?***

— ასე გამორჩეულად არ შემიძლია გამოვყო, მაგრამ ნებისმიერ მის ნაწარმოებს, როგორც რეჟისორი, სიამოვნებით განვახორციელებდი. მისი ყველაფერი მომწონს, შესანიშნავი მწერალია. მთავარია, მომავალმა თაობამ არ დაივიწყოს, რომ თანამედროვე მწერლებთან ერთად კლასიკოსი მწერლების ნაწარმოებებიც წაიკითხონ.

**ჯუმბერ ჯანდიერი, კომპოზიტორი:**

— აკა მორჩილაძე ძალიან საინტერესო პიროვნება და ამავე დროს კარგი მწერალია. ის ერთ-ერთი გამორჩეული შემოქმედია. ნამდვილად აუცილებელია, რომ ახალმა თაობამ კლასიკოს მწერლებთან ერთად თანამედროვე მწერლების შემოქმედებაც კარგად იცოდეს. აკას შემოქმედებას ყოველთვის დიდი ინტერესით ვადევნებ თვალს, ყოველთვის მაინტერესებს, რას ქმნიან ახალგაზრდები. ის დანარჩენებისგან ნამდვილად გამორჩეულია. ვიცი, რომ აკა ლონდონშია და იქ მოღვაწეობს, თუმცა სიმართლე უნდა ითქვას — რასაც წერს, კარგად წერს. მივესალმები „გუმბათის“ წამოწყებას, რომელსაც აკა მორჩილაძის 10 ტომეულის გამოცემა დაუწყია. ეს თითოეული ქართველისთვის მართლა დიდი საჩუქარია.

**ნუნუ გაბუნია, კომპოზიტორი:**

— აკა მორჩილაძის შემოქმედებას კარგად ვიცნობ და ყოველთვის სიამოვნებით ვეცნობი. ვიცი, რომ სპორტზეც წერს და არაერთ გაზეთში უმუშავია. საინტერესო მწერალია და მომწონს მისი ხელწერა. გამორჩეულად მისი ნაწარმოებებიდან ვერც ერთს გამოვყოფ, მაგრამ მიმაჩნია, რომ თანამედროვე მწერლებს შორის ერთ-ერთი გამორჩეულია. მის მიერ მომზადებული საავტორო გადაცემა „უცნობი საქართველო“, სადაც საინტერესო ამბებს მიმოიხილავდა ხოლმე. რა თქმა უნდა, კლასიკური ნაწარმოებები თაობებისთვის საყვარელი, მისაღები და გენიალურია, მაგრამ არანაკლებ საინტერესოა თანამედროვე მწერლობა. თან აკა მორჩილაძეს ვინ არ იცნობს? საბედნიეროდ, მეც ვიცნობ. მის ნაწარმოებებს სიამოვნებით ვკითხულობ. გამიხარდა, როცა გავიგე, რომ „გუმბათი“ აკა მორჩილაძის ათტომეულს უშვებს. ეს არაჩვეულებრივი იქნება და ძალიან კარგი საჩუქარი ქართველი მკითხველისთვის, თითოეული ჩვენთაგანისთვის. ვიცი, რომ აკა მორჩილაძე ქართველ მკითხველში დიდი პოპულარობით სარგებლობს. მათ შორის ვარ მეც.

**გოგი დოლიძე, კინომცოდნე:**

— ჩემი თაობისთვის წიგნი ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო და ახლაც ასეა. მართალია ასაკში ვარ, მაგრამ წიგნის გარეშე არ შემიძლია. რაც შეეხება აკა მორჩილაძეს, მის შემოქმედებას ძალიან კარგად არ ვიცნობ, მაგრამ ვიცი, რომ საინტერესო ნაწარმოებებს წერს. მინდა მომავალ თაობებს ვურჩიო, რომ მაქსიმალურად იკითხონ წიგნები. ზოგს მარტო კლასიკის კითხვა უყვარს, ზოგი მარტო თანამედროვე შემოქმედებს ეცნობა. ასე არ ივარგებს, წიგნი



ყველამ უნდა იკითხოს და არ აქვს მნიშვნელობა, კლასიკა იქნება თუ თანამედროვეობა. დღესდღეობით წიგნებს სულ უფრო ცოტა ადამიანი კითხულობს, ტელევიზიამ ჩაყლაპა ყველაფერი. ახლახან ოჯახში წიგნებს ვალაგებდით და ჩემმა მეუღლემ რამდენიმე წიგნი გვერდზე გადადო, ბავშვებს აუცილებლად უნდა წავაკითხოო. ყველაფრის მიუხედავად, მიხარია ნებისმიერი წამოწყება, რომელსაც „გუმბათი“ ახორციელებს. მახსოვს „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო“, მახსოვს „დიდი ქართველები“ და ახლა უკვე აკა მორჩილაძე დაუწყიათ. მიხარია და ნებისმიერ პროექტს, რომელიც წიგნს უკავშირდება, მხოლოდ და მხოლოდ მივესალმები.

**გია მაჭარაშვილი, კომპოზიტორი:**

— მე და ჩემი მეუღლე აკა მორჩილაძის შემოქმედების დიდი თაყვანისმცემლები ვართ. მისი ნაწარმოებების გარჩევას ნამდვილად ვერ დავიწყებ, იმიტომ, რომ არ ვარ ამ სფეროში კომპეტენტური. როგორც მკითხველები, ჩვენ ნამდვილად კმაყოფილები ვართ იმიტომ, რომ მგონია, სწორად აზროვნებს ეს ადამიანი და გამიხარდება, თუკი მისი წარმატებების შესახებ კიდევ უფრო მეტ ინფორმაციას მივიღებთ. როცა შეხედავ, სახეზეც ეტყობა, რომ კარგი ადამიანია. როცა პიროვნებას სახეზე ეტყობა სიკეთე, არა მგონია, რომ ცუდი შემოქმედებით იაროს და გააცნოს თავის თანამემამულეებს თავისი შემოქმედება. გული მწყდება იმაზე, რომ არიან გარკვეული პიროვნებები, რომლებთანაც პირადი შეხება არასოდეს მქონია, მათ შორის არის აკა მორჩილაძეც. მინდა არსებობდეს რაღაც დაწესებულება, რომელიც გააერთიანებს ყველა ხელოვანს და მათი თავშეყრის საუკეთესო ადგილი გახდება. აქ უნდა ყოფილიყო განხილული კულტურის სფეროს ყველა მიმართულების სიახლეები. ეს ჩემი დიდი ხნის ოცნებაა. იმედი მაქვს, რომ მომავალში ჩემი ოცნება ასრულდება. ბუნებით ოპტიმისტი ვარ და დამტანჯა ამ ოპტიმიზმმა. თუკი ასეთი რამ მოხდება და აკა მორჩილაძეს პირადად გავიცნობ, უბედნიერესი ადამიანი ვიქნები. დიდი მადლობა „გუმბათს“ იმისთვის, რომ ამ ნიჭიერი მწერლის ნაწარმოებები ათტომეულში გააერთიანა.

**ბექა ქავთარაძე, მსახიობი, რეჟისორი:**

— აკა მორჩილაძე ერთ-ერთი გამორჩეული თანამედროვე ქართველი მწერალია. მისი შემოქმედებიდან ნებისმიერ ნაწარმოებს დიდი სიამოვნებით გადავიტანდი სცენაზე და დავდგამდი, მაგრამ ჯერჯერობით, რატომღაც არ მომიწია.

— ***რომელ ნაწარმოებს დადგამდით?***

— იმდენად მომწონს და მიზიდავს მისი შემოქმედება, რომ კონკრეტულად მის რომელიმე ნაწარმოებს ვერც კი დავასახელებ. დასადგმელადაც და გადასაღებადაც ძალიან საინტერესოა. ისე წერს, რომ თვითონ გაძლევს „პასს“, რომ მისი ნაწარმოები დადგა. ვიცი, რომ ეს ეტაპი ჩემს ცხოვრებაში აუცილებლად დადგება, მაგრამ როდის, ამის თქმა არ შემიძლია.

— ***რა გიშლით ხელს?***

— ყველა კარგ ნაწარმოებს სჭირდება შემზადება და რაღაც ეტაპამდე მისვლა. ამისთვის შინაგანად ვემზადები. როგორც ყველა კარგ ავტორთან მიმართებაში, ასე ვარ აკასთან დაკავშირებით. დიდი სიამოვნებით ვითანამშრომლებდი მასთან, როგორც რეჟისორი და მსახიობი, ასევე როგორც პიროვნება. ეტყობა, რომ არაჩვეულებრივი ადამიანია.

**გოგა თავაძე, რეჟისორი:**

— აკა მორჩილაძე ნამდვილად გამორჩეულია თანამედროვე ქართველ მწერლებში, მის შემოქმედებას ძალიან კარგად არ ვიცნობ, ისე არა, როგორც იცნობენ ქართველი მკითხველები. მთავრია, ადამიანებმა იკითხონ და ყველაფერი გონებაში ისე დაილექება, როგორც საჭიროა. არ აქვს მნიშვნელობა, ქართველებს წაიკითხავენ თუ უცხოელებს. ისეთი საუკუნეა, ყველაფერი დინამიკაშია, მწერლობა ვითარდება. დღევანდელი მწერლობაც ოდესღაც კლასიკად იქცევა. ძალიან დიდი ლიტერატურული ინფორმაცია დაგროვდა. შუა საუკუნეებისა და ანტიკური ხანის შემოქმედების ლიტერატურაში ბევრი რამ იყო წასაკითხი, ახლა ამ ყველაფერს დაემატა მეოცე საუკუნე, XXI საუკუნე, რასაც ერთი სიცოცხლე არ ეყოფა. ხომ იცით, ადამიანი უნდა შეხვდეს თავის მწერალს, მით უმეტეს, რეჟისორი, ეს ირაციონალურად ხდება. ეტყობა, აკა მორჩილაძესთან შესახვედრად, როგორც რეჟისორი, ჯერ მზად არ ვარ.

— ***მის შემოქმედებას თუ გადაიტანდით თეატრის სცენაზე?***

— ამ ეტაპზე მისი ნაწარმოების დასადგმელად ნამდვილად არ ვარ მზად. მომავალში შეიძლება გამიჩნდეს სურვილი და აკას რომელიმე ნაწარმოები სპექტაკლად ვაქციო.

# საპატიმროდან სოსო ჯაჭვლიანი გამარჯვებული გამოვა

## ხელისუფლებამ ხალხის დაშინება მოახერხა

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ გელა ნიკოლეიშვილთან

— ***ბატონო გელა, თქვენ ადვოკატი ბრძანდებით და შედარებით მეტ ინფორმაციას ფლობთ, საუბარია, რომ 26 მაისს დაკავებულები გაუსაძლის პირობებში იმყოფებიან, თქვენ რა ინფორმაციები გაქვთ და თუ გქონიათ შეხება რომელიმე მათგანთან?***

— მე გუშინ შევხვდი სოსო ჯაჭვლიანს მცხეთის დროებითი დაკავების იზოლატორში, როგორც მოგეხსენებათ, ის შიმშილობს დაკავების დღიდან და არ აპირებს ამ შიმშილობის შეწყვეტას. მიუხედავად იმისა, მე მთხოვეს მისთვის გადამეცა, რომ იქნებ პატრიარქის მისვლის და მისი მოწოდების შემდეგ, თუ ის ამაზე დათანხმდებოდა, შეეწყვიტა შიმშილობა. ის ამბობს, რომ არანაირად არ აპირებს შიმშილობის შეწყვეტას და 30 დღე კი არა, 30 წელი რომ შეეფარდებინათ, ის მაინც იშიმშილებდა მანამ, სანამ გაუძლებდა მისი ორგანიზმი, იმიტომ, რომ ის აცხადებს, ან ვიქნები აქ შიმშილობის მდგომარეობაში, ან ვიქნები გარეთ. ხვალ თუ გამათავისუფლებენ, რა თქმა უნდა, ხვალვე შევწყვეტ შიმშილობას. სხვა შემთხვევაში მე არ შევწყვეტ შიმშილობას მხოლოდ ერთადერთი მიზეზის გამო, რომ მე მივიღე უზარმაზარი შეურაცხყოფა. მე არაფერი დამიშავებია, ზოგადად ვარ კანონმორჩილი მოქალაქე და როდესაც შენ თვალწინ ასე ამცირებენ ადამიანებს და შენ უძლური ხარ, პროტესტის გამოხატვის სხვა ფორმა და საშუალება არა მაქვს. მე მხოლოდ ერთი ვუთხარი მას, რომ ვამაყობ შენით-მეთქი. იმიტომ, რომ ის მორალურად გამარჯვებული გამოვა ციხიდან. ასევე ლაშა ჩხარტიშვილი, რამდენადაც მე მაქვს ინფორმაცია, შიმშილობს და ის დღეს უკვე გათავისუფლდება. როგორც მე დღეს გავიგე, მას გუშინ შეეძინა ქალიშვილი და ვულოცავ მას ამას. სხვა პირებზე მე კონკრეტული ინფორმაციები არა მაქვს. სოსო ჯაჭვლიანზე კი შემიძლია ვთქვა, რომ მის მიმართ ზეწოლა არ არის, მიუხედავად იმისა, რომ ის არის ძალიან გამხდარი, დაახლოებით 17-18 კილო აქვს დაკლებული. ძალიან მხნედ გამოიყურება და მე ვფიქრობ, ის არის ბევრ იმ მათგანზე თავისუფალი, ვინც გარეთ არის და ბევრ იმ მათგანზე თავისუფალი, ვინც მას მეთვალყურეობს და ვინც ის დააკავა. მას 25-ში უწევს გათავისუფლება.

— ***რაში ედება ბრალი, პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა?***

— რასაკვირველია, სტანდარტული მუხლი, პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა და წვრილმანი ხულიგნობა, რომელსაც ყოველთვის იყენებენ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ირაკლი ბათიაშვილის მეუღლის და ქალიშვილის წინააღმდეგაც იგივე მუხლი გამოიყენეს. მე ვიცავდი მათ სასამართლო პროცესზე და უნდა გითხრათ, რომ ძალიან სასაცილო მდგომარეობაში ჩავარდნენ პოლიციელები. ჯერ ერთი, ორი პატრული ქალბატონი ამტკიცებდა, რომ თითქოს მათ დააკავეს ისინი, სინამდვილეში კი კადრებში კარგად ჩანდა, რომ იქ არავითარი ქალი არ იყო და 7-8 დაკუნთული პოლიციელები მიარბენინებდნენ მათ, როდესაც დააკავეს. გარდა ამისა, ერთ-ერთი პოლიციელი ამტკიცებდა, რომ ისინი უწმაწური სიტყვებით ილანძღებოდნენო, როდესაც მე მოვთხოვე მას ამ უწმაწური სიტყვების დაზუსტება, მან ჯერ თავი შეიკავა, როგორ ვთქვა ეს სიტყვებიო და როდესაც კვლავ მოვთხოვე დაკონკრეტება, მან განაცხადა — ასე თქვეს, რომ სააკაშვილი მკვლელი და არამზადააო და მე ასე მიმაჩნია, რომ ეს არის უწმაწური სიტყვებიო. რა თქმა უნდა, ჩვენი შუამდგომლობა ბათიაშვილების საქმეზე, რომ გვენახა კადრები, იქ ვინ როგორ ილანძღებოდა და ვინ როგორ აკავებდა, მოსამართლემ ტრადიციულად არ დააკმაყოფილა და მოსამართლემაც თვალდახუჭულმა და ყურებდახშულმა დაიჯერა პოლიციელის ჩვენება. ეს უკვე ტრადიციად იქცა ჩვენს სასამართლოებში. დღეს საქართველოში სასამართლოს ეწოდება უსამართლო.

— ***ბათიაშვილის ოჯახი „აგვისტოს 5 დღის“ პრემიერაზე დააკავეს. საზოგადოების დიდმა ნაწილმა შეურაცხყოფად მიიღო იმ დღეს მოწყობილი შოუ, რადგან ქვეყნის მარცხი ზეიმად აქცია სააკაშვილმა, როგორია თქვენი დამოკიდებულება ამასთან დაკავშირებით?***

— მარცხის ზეიმად ქცევის არაერთი მაგალითი გვინახავს, თვითონ ომის მარცხი რომ ზეიმად აქცია სააკაშვილმა და რუსთაველზე ზეიმი მოაწყო, ეს საყოველთაოდ ცნობილია და გამოკითხვის შემდეგ მოსახლეობის 30%-ს სჯეროდა, რომ საქართველომ გაიმარჯვა რუსეთთან ომში. მაპი არ მოგვცეს და სამაგიეროდ მოგვცეს უფრო მეტიო, ესეც გამარჯვებად აქცია და თვალებში ნაცარი შეაყარა მოსახლეობას. რა ვიცი, კიდევ არაერთი მარცხი იქნა გამარჯვებად წარმოდგენილი საზოგადოების წინაშე და როდესაც საზოგადოების ზომბირება ხდება, მაშინ აღარ აქვს მნიშვნელობა, რა მოხდება. მთავარია, როგორ წარმოაჩენს სახელისუფლებო პროპაგანდა და თუ საზოგადოება ამისთვის არის განწყობილი, რომ ნებისმიერი სიტყვა, ნებისმიერი ტყუილი მიიღოს და გადაყლაპოს, ბუნებრივია, ამით საქმე უადვილდება ხელისუფლებას. სწორედ ამიტომაც აქვთ მათ ასეთი პოლიტიკა, ასეთი პროპაგანდა, ასეთი შეტევა მასმედიაზე, რომ სრულად აკონტროლონ, რომ საზოგადოება იყოს ზომბირებული, მან ყველა ტყუილი მიიღოს მართლად და საზოგადოება აქციოს არქიფო სეთურის მრევლად, თავისი ასინეთებით, კაკოია თაბაგარებით. რა გითხრათ, ძალიან დამახასიათებელია იმ ხალხის ტაშის კვრა და ზეიმი ასეთ შემთხვევაში, რომლებიც იმ წითელ ხალიჩაზე, რამდენიმე საათის წინ თანამოქალაქეთა მიერ სისხლით მორწყულ ასფალტზე დაგებულ წითელ ხალიჩაზე დადიოდა გაღიმებული და ბედნიერი სახეებით და ტაშს უკრავდა ფაქტიურად მკვლელობის ბრძანების გამცემებს.



— ***ბატონო გელა, როგორც ცნობილია, ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ ბადრი ბიწაძის ადვოკატობა თქვენ გთხოვათ, რა ხდება ბადრი ბიწაძის საქმესთან დაკავშირებით და თქვენ თუ ჩაერთეთ ამ საქმეში?***

— ეს იყო პირველ ხანებში, მეორე დღეს, როცა ეს ამბები მოხდა და როცა გაჟღერდა, რომ ბადრი ბიწაძის წინააღმდეგ საქმე აღიძრა და ბრალი წაუყენეს მას. უბრალოდ, მე იმ პერიოდში ძალიან დატვირთული ვიყავი და ახლაც ძალიან დატვირთული ვარ იმ პროცესებით, რომელიც ტერაქტების პროცესს ე.წ. კოჭოიას პროცესს ეხება, რომელიც თბილისში მიმდინარეობს. მეორე ბათუმში მიმდინარეობს ე.წ.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# სააკაშვილის გადადგომას ხელი ყველა პარტიის ლიდერმა უნდა მოაწეროს!

## ლეიბორისტები ამ რეჟიმის წინააღმდეგ ყველა ფრონტზე ვიბრ ვით

შორენა კოწოწაშვილი

შეიქმნება თუ არა 26 მაისის სისხლიანი დარბევის შემსწავლელი საგამოძიებო კომისია და არის თუ არა გაცილებით მეტი მსხვერპლი, ვიდრე 26 მაისს გაცხადდა? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ლეიბორისტული პარტიის იდეოლოგიურ მდივან კახა ძაგანიასთან.

***— ბატონო კახა, საერთაშორისო ორგანიზაციები აქტიურად ითხოვენ, გამოძიებული იქნას 26 მაისის ფაქტი. რამდენად შეასრულებს დასავლეთის მოთხოვნას სააკაშვილი და საერთოდ, რას იტყვით 26 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით?***

— 26 მაისს სააკაშვილმა და ამ ხელისუფლებამ აჩვენა თავისი სახე, რომლის შეფუთვასაც უკვე ამდენი წელია ცდილობდა. სააკაშვილს უნდოდა, ეს თავისი სისხლისმსმელი სახე დაემალა როგორც მსოფლიო საზოგადოებისთვის, ისე ადგილობრივი მოსახლეობისთვის. 26 მაისს კი რუსთაველზე გამოიყვანა ის სისხლისმსმელი ადამიანები, რომელნიც საქართველოს მოსახლეობას ფიზიკურად გაუსწორდნენ. დახოცილია უამრავი ადამიანი, დაკარგულია უამრავი ადამიანი, დაპატიმრებულია ასეულობით ადამიანი, არიან გარდაცვლილები და პოლიტიკური ნიშნით ადამიანების დევნა დღემდე ხორციელდება. ფაქტია, ბანდა, რომელიც ხელისუფლებაში მოვიდა, ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ხელისუფლება შეინარჩუნოს. სკამების შენარჩუნებისთვის ისინი ადამიანების დახოცვასაც არ ერიდებიან. მათ სკამის შენარჩუნებისთვის ქვეყნის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილიც არ დაინდეს. ეს არის სისხლით მოსული ჯგუფი, რომელიც ვერასდროს ვერ ჩამოირეცხავს ამ სისხლს. ბუნებრივია, ეს ჯგუფი პასუხს აგებს და ეს, რა თქმა უნდა, აუცილებლად მოხდება. იცით, რომ 26 მაისის დარბევას ჩვენი პარტიის წევრიც შეეწირა. ვთვლით, რომ ეს ადამიანები არიან გმირები. ამ ადამიანის გვარი ისტორიაში შევა, როგორც გმირის, სააკაშვილისგან განსხვავებით, რომელიც ჯალათის სახელით დაიმკვიდრებს ისტორიაში ადგილს. ფაქტია, სააკაშვილი და მისი ბანდა შემოესია საქართველოს და მისი გაყვლეფა-დანაწევრებით არიან დაკავებული. ასე დანაშაულის განცდისგან დაცლილები ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი ქონება მოიხვეჭონ და დათარეშობენ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ნებისმიერი ადამიანი, რომელიც მათ შეეწინააღმდეგება ნებისმიერი ფორმით, მათ შორის პოლიტიკური ფორმითაც, მიშას ბანდის წევრები მზად არიან კბილებით დაგლიჯონ. რაც შეეხება გამოძიებას იმ სისხლიანი მოვლენისა, რაც რუსთაველზე მოხდა, სააკაშვილის რეჟიმის პირობებში შეუძლებელია საგამოძიებო კომისიის შექმნა. ეს საგამოძიებო ჯგუფი რომც შეიქმნას, ობიექტურ დასკვნას ვერ დადებს. ეს ფაქტი და სხვა ბევრი საკითხიც აუცილებლად იქნება გამოძიებული, როცა ხელისუფლებაში მოვა დამოუკიდებელი, თავისუფალი, ეროვნული ხელისუფლება. ასეთი ხელისუფლება აუცილებლად მოახერხებს იმას, რომ გამოძიება ჩაატაროს 26 მაისთან დაკავშირებით და ასევე სხვა საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ამ ხელისუფლების პირობებში დაგროვდა და სამართლიან გამოძიებას ელოდება. ამ ადამიანების უმოწყალოდ ცემის, წამებისთვის და დაპატიმრებისთვის პასუხისმგებლობას ვერავინ გაექცევა.

***— გასაგებია, მაგრამ საგამოძიებო კომისია ალბათ მაინც უნდა შეიქმნას. ამას ოპოზიციური პარტიებიც ითხოვენ.***



— ის პოლიტიკური ჯგუფები, პოლიტოლოგები, რომლებიც ამბობენ, რომ აუცილებელია საგამოძიებო კომისიის შექმნა, ცდილობენ, რომ მეისრეზე გადაიტანონ მთავარი დანაშაული, ანუ სპეცრაზმელებზე იქნას პასუხისმგებლობა გადატანილი და არა მთავარ დამნაშავეზე. ანუ მთავარი დამნაშავეები და დამკვეთები, ვინც ეს სისხლიანი ღამე მოაწყო — სააკაშვილი, მერაბიშვილი, ადეიშვილი და სხვები, რომლებმაც მიიღეს პოლიტიკური გადაწყვეტილება, ამ კომისიის შექმნით ეს პოლიტიკოსები ცდილობენ ყურადღების გადატანას უფრო დაბალი ჩინის ადამიანებზე. დამერწმუნეთ, კომისია, რომელიც იდეაში უნდა შეიქმნას, არაფრის მომტანი არ იქნება. ბუნებრივად ისმის კითხვა, რომელმა კომისიამ უნდა გამოძიოს 26 მაისის სისხლიანი მოვლენები — სააკაშვილის პროკურატურამ თუ პაატა დავითაიას საპარლამენტო კომისიამ, რომელმაც აგვისტოს ომის გამოძიებასთან დაკავშირებით, ყველამ ვნახეთ, რა სპექტაკლიც მოაწყო. ასე რომ, ამ პოლიტიკურ რეალობაში და ამ ხელისუფლების პირობებში კომისიის შექმნას აბსოლუტურად არანაირი აზრი არ აქვს. ხალხი დახოცილია, უამრავი ნაცემი და დაპატიმრებული ადამიანია. ამას არანაირი კომისია არ სჭირდება. ამას სჭირდება ხალხის მასობრივი შეძახილი, რომ სააკაშვილი უნდა წავიდეს და ხალხის ეს პოზიცია არჩევნებზე უნდა დაფიქსირდეს. ხალხმა არ უნდა დაუშვას, რომ ეს სისხლიანი დესპოტი კიდევ იყოს ქვეყნის სათავეში. შემდგომში თავისუფალი არჩევებით მოსული პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც მიიღებს ამ 26 მაისის, ისე სხვა მოვლენების გამოძიების გადაწყვეტილებას, ობიექტურ შედეგებს დადებს, თუ რა მოხდა კონკრეტულ შემთხვევაში. რუსთაველზე იმ ღამეს სპეცრაზმელი კი არ იყო მთავარი დამნაშავე, არამედ მთავარი დამნაშავეა ის, ვინც პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღო. ვიმეორებ, ამას არანაირი გამოძიება არ სჭირდება. ეს არის ფაქტი, რომელსაც ვერავინ გაექცევა. თანაც გიგი უგულავამ თავის განცხადებაში დაადასტურა, რომ სპეცრაზმელებმა ცემით დახოცეს ხელფეხშეკრული ადამიანები, თუმცა ეს გააკეთეს მას შემდეგ, რაც ნახეს, რომ ბურჯანაძის ესკორტმა პოლიციელი იმსხვერპლა. ესეც სიცრუეა, რადგანაც ლეიბორისტული პარტიის წევრი, რომელიც 26 მაისს მოკლეს, ისიც ხელებშეკრული იქნა მოკლული რუსთაველის გამზირზე. ეს იცის მთელმა მსოფლიომ. თვითმხილველები ამბობდნენ, როგორ სცემდნენ მას და როგორ სთხოვდა გარდაცვლილი, გული მაქვს ცუდად, ნუღარ მცემთო. ამ სისხლს ეს ხელისუფლება ვერ ჩამოიბანს, ვერც ერთი კომისია ვერ გაათეთრებს ამას. ვერც საერთაშორისო დონეზე გაკეთებული მხარდამჭერი განცხადებები უშველის სააკაშვილს. ვინც არ უნდა გააკეთოს სააკაშვილის მხარდამჭერი განცხადება, კონგრესმენი იქნება ეს თუ ჰოლივუდის მსახიობი, ისინი სააკაშვილს ვერ ჩამობანენ ამ სისხლს. რუბიკონი ამათ გადალახული აქვთ, რომლის შემდეგაც უკან დაბრუნება აღარ შეიძლება. ყველაფერი ისე დამთავრდება, როგორც უნდა დამთავრდეს. ეს ხელისუფლება წავა, მოცილდება ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ქონებას, ჩვენს ტერიტორიებს.

***— თქვენ ახსენეთ, უამრავი დახოცილიაო. არ იზიარებთ ოფიციალურ ინფორმაციას, რომ მხოლოდ ორი ადამიანი იყო დაღუპული 26 მაისის ღამეს?***

— რა თქმა უნდა, უამრავი ადამიანია დახოცილი, რადგანაც დაკარგულები ჯერ კიდევ ვერ უპოვიათ. როგორ შეიძლება, ცოცხალი ადამიანი, რომელიც აქციაში მონაწილეობდა, ამდენი ხანი იყოს დაკარგული. დღეის მონაცემებით, ათეულობით ადამიანი არის დაკარგული. მათი ახლობლები ვერ ახერხებენ ვერც ცოცხალი და ვერც გარდაცვლილი ადამიანების პოვნას.

***— რამდენიმე დღის წინ ითქვა, რომ მტკვარმა გარდაცვლილთა გვამები გამორიყა და ეს ცხედრები 26 მაისს სპეცრაზმის მიერ ნაცემ ადამიანებს ეკუთვნოდათ. იზიარებთ ამ პოზიციას?***

— რა თქმა უნდა. მათზე იყო ის კვალი, რომელიც ცემის შედეგად ჩნდება. ამ ცხედრებს აღენიშნებოდათ მათზე ფიზიკური ზეწოლის ანუ ცემის კვალი, ხელებზე ბორკილების კვალი და ა.შ.

***— ბურჯანაძის შეფასებით, უგულავამ ამ განცხადებით საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ქულები ჩაიწერა. იგრძნობა, რომ ხელისუფლება 26 მაისის სისხლიანი მოვლენის სათავისოდ გამოყენებას ცდილობს?***

— შეუძლებელია. შეუძლებელია ხელისუფლებამ, მისმა წარმომადგენლებმა 26 მაისის დარბევის მხარდაჭერით რაიმე ობიექტურ პოლიტიკურ შედეგს მიაღწიოს. უგულავა თუ გადმოვა ოპოზიციაში თავის ჯგუფთან ერთად და ამის ნიშნებიც არის, მას რეალური შანსი გაუჩნდება არჩევნების გაყალბებით რაღაც შედეგებს მიაღწიოს. მაგრამ 26 მაისის, ამ სისხლიანი ღამის მხარდაჭერით, ვერც ერთი პოლიტიკოსი და პოლიტიკური ჯგუფი ხალხისგან მხარდაჭერას ვერ მიიღებს ვერც ერთ ეტაპზე. რა თქმა უნდა, ხელისუფლებაში არის ბევრი პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც ცდილობს სხვადასხვა მწვერვალების დაპყრობას აღმასრულებელ თუ საკანონმდებლო ხელისუფლებაში და ამით სახელისუფლო გავლენის უფრო გაძლიერებას. მაგრამ, მერწმენეთ, 26 მაისის მხარადაჭერა, ეს არ არის წინასაარჩევნო კამპანიის თემა, რომელიც რომელიმე პოლიტიკოსს თუ პოლიტიკურ დაჯგუფებას წარმატებას მოუტანს. პირიქით, შესაძლებელია ამ ბანდიტებმა ერთმანეთზე ხელის შეხოცვით და ერთმანეთზე გადაბრალებით უფრო მეტ წარმატებას მიაღწიონ. ინფორმაციაც გვაქვს, რომ ამჟამად ხელისუფლებაში მყოფი ზოგიერთი პოლიტიკური დაჯგუფება გეგმავს თავისი პოლიტიკური ინტერესების დასაკმაყოფილებლად და წინ წამოსაწევად 26 მაისის ფაქტის კრიტიკა დაიწყონ.

***— ბატონო კახა, მოდით პოლიტიკური რვიანის გადაწყვეტილებაზე ვისაუბროთ, რომელიც მხარდამჭერთა მობილიზებისთვის ემზადება. შესაძლებელია რვიანის პოზიციამ ხალხში მასობრივი მხარდაჭერა ჰპოვოს?***

— სამწუხაროდ, ამ ქვეყანაში არიან პოლიტიკოსები და პოლიტიკური პარტიები, რომლებმაც შექმნეს „პოლიტიკური მორგი" და სააკაშვილის პოლიტიკურ ცხედარს სისხლისგან ბანენ. ანუ მას შემდეგ, რაც სააკაშვილმა 26 მაისს ჩაიდინა, მისი განბანა ამ ოპოზიციური ძალების მხრიდან ხორციელდება ამ „პოლიტიკურ მორგში". სამწუხაროდ, ამ რვიანის ფუნქციაც ეს არის. იმიტომ, რომ შეუძლებელია, ყველამ დაინახა და ყველა კარგად ხედავს, რომ საარჩევნო კოდექსის შელამაზება-შემოლამაზებით რაღაც კონკრეტულ შედეგამდე მივიდეთ და სააკაშვილის მშვიდობიანი ჩანაცვლება მოხდეს საარჩევნო გზით. ეს მათი მოქმედება, მათი მუშაობა ემსახურება ერთი მხრივ, დროის გაწელვას და აქცენტების გადატანას 26 მაისიდან სხვა საკითხებზე. მეორე მხრივ, ემსახურება იმას, რომ სააკაშვილის პოლიტიკური ცხედრის განბანვა მოხდეს. ან არაფერიც არ მომხდარა. აგერ ზის ნაციონალური მოძრაობა რვა ოპოზიციურ პარტიასთან ერთად და მუშაობენ საარჩევნო კოდექსზე. ანუ მათ თავისი საქმიანობით 26 მაისი გადაიტანეს უკანა პლანზე და ასეთი პოლიტიკური მორგის შექმნის შემდეგ, სადაც ნაცმოძრაობის პოლიტიკური ცხედარი და სააკაშვილის პოლიტიკური ცხედარი იბანება, ამით არიან დაკავებულები. სხვას ვერაფერს დაარქმევ მათ საქმიანობას კოდექსზე მუშაობის პერიოდში. ანუ ეს ორი დატვირთვა აქვს დღეს საარჩევნო კოდექსზე ხელისუფლებასთან მუშაობას.

***— ფიქრობთ, რომ რვიანი ხალხში მხარდაჭერას ვერ პოვებს?***

— რა თქმა უნდა, ვერა. იმიტომ, რომ ხალხი ყველაფერს ხედავს. საზოგადოებრივი განწყობები არის მკვეთრად რადიკალური რვიანის საქმიანობასთან დაკავშირებით. ყველა ხვდება, რომ პოლიტიკური რვიანის საქმიანობა შეფუთულია იმით, რომ არის ძალიან კონსტრუქციული, ძალიან პროფესიონალური და მხარდაჭერილი შეერთებული შტატებისაგან და ამით ამსხვრევენ დასავლეთის თვალში სააკაშვილის რეჟიმის იმიჯს. მაშინ, როდესაც სააკაშვილი არ და-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# საპატიმროდან სოსო ჯაჭვლიანი გამარჯვებული გამოვა

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ენვერის პროცესი და ახლახან ჩავერთე ამ ე.წ. ყინწვისის დაჯგუფების ერთ-ერთი პიროვნების დაცვაში. ამიტომ მე მაშინ ვუთხარი, რომ დამოუკიდებლად ძალიან გამიჭირდებოდა სრულად გადავრთულიყავი ამ საქმეზე, თუმცა მე უარს არ ვაცხადებდი და როდესაც შედარებით გამოვთავისუფლდებოდი, მაშინ უფრო აქტიურად ჩავერთვებოდი. მათ აიყვანეს საკმაოდ მაღალკვალიფიციური ადვოკატი, ბატონი ლევან სამუშია ჩაერთო ამ საქმეში და მას, რამდენადაც ვიცი, გადასცეს უკვე მტკიცებულებები, ის რასაც ბრალდება მტკიცებულებებად მიიჩნევს. ადვოკატმა განაცხადა კიდეც, რომ არანაირი რეალური ხელმოსაკიდი მტკიცებულება არ გააჩნია ბრალდების მხარეს. ისინი რეალურ მტკიცებულებად მიიჩნევენ მხოლოდ გია უჩავას ჩვენებას, რომელიც ღმერთმა იცის, რა მუქარებით და რა საშუალებებით იქნა გამოძალული. თუმცა მე შემიძლია გითხრათ, რომ იმ ე.წ. ყინწვისის ჯგუფის საქმის გაცნობის შემდეგ, მე აბსოლუტურად დავრწმუნდი და თვითონ ამ საქმის მასალებშიც ნათლად ჩანს, რომ ის ადამიანები, რომლებიც ამბობენ, რომ ელოდნენ იქ რუსეთის ძალების შემოსვლას, ეს კიდევ სხვა საკითხია, რამდენად სწორია ეს ინფორმაცია თუ უბრალოდ იბრალებენ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ეს ადამიანები თვითონვე ალიარებენ, რომ მათ ჰქონდათ მცდელობა პირადად ბადრი ბიწაძესთან და ნინო ბურჯანაძესთან დაახლოების და ერთობლივი მოქმედების კოორდინირების. სამჯერ იყო ბადრი ბიწაძესთან შეხვედრის მცდელობა. ორჯერ იყო მცდელობა მათი ლიდერის გოგუაძის მიტინგზე გამოსვლის, მაგრამ არც ერთხელ არ მისცეს მას საშუალება, რომ გამოსულიყო მიტინგზე. და ამისთვის ის ლანძღავდა კიდეც ბიწაძე-ბურჯანაძეს და არც მათი შეთავაზება მიიღეს, რომ ეს ჯგუფი აქტიურად ჩართულიყო მათ საქმეში. შემთხვევითი ნამდვილად არ არის, რომ ბადრი ბიწაძეს ვერ წაუყენეს ბრალდება სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში და მხოლოდ რაღაც ჯგუფის მომზადებაში წაუყენეს ბრალი, რომლებიც თითქოს პოლიციელებს უნდა დასხმოდნენ თავს. სინამდვილეში კი შეფიცულთა ჯგუფი შეიქმნა თავდასაცავად და არა თავდასასხმელად. საბოლოოდ რომ შევაჯამოთ, მე ოფიციალურად არ ვარ ჩართული ბადრი ბიწაძის საქმეში, როგორც ადვოკატი, მაგრამ როგორც უფლებადამცველი როგორც სხვა საქმესთან დაკავშირებით, ამასთან დაკავშირებითაც მაქვს ინფორმაციები და ჩემი პოზიციაც მოგახსენეთ.

***— მედიაპალიტრაში შევიდა საგადასახადო საზოგადოებამ ეს ფაქტი თავისუფალ მედიაზე ანგარიშსწორებად შეაფასა, როგორია თქვენი დამოკიდებულება აღნიშნულთან დაკავშირებით?***

— 2007 წლის 7 ნოემბრის შემდეგ რომელ მედია საშუალებაზეც მიიტანეს იერიში, ყველასთვის კარგად არის ცნობილი და იმედი საერთოდ დაიპყრეს, მიითვისეს და მისი პატრონი საერთოდ საიქიოს გაისტუმრეს. დღეს ფაქტიურად იგივე მეორდება, ოღონდ არა იმ მასშტაბით, რაც იმედთან დაკავშირებით იყო, თუმცა დღეს წინააღმდეგობაც საკმაოდ დიდია, საკმაოდ დიდია სოლიდარობაც ჟურნალისტებისა თავისი კოლეგებისადმი. იმიტომ, რომ მათ დაინახეს რეალური საფრთხე, რომ ხელისუფლება მიზნად ისახავს სრული მონოპოლიზაცია დაამყაროს მასმედიის საშუალებებზე და ამას აკეთებს არა პირდაპირი შეტევით და ფიზიკური ძალადობით, არამედ აკეთებს ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით. ამ ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით ბევრი ბნელი საქმე გაუკეთებია ამ მთავრობას, დაწყებული ბიზნესების განადგურებით და დამთავრებული ცრუ მოწმეების მოსყიდვით და დაინტერესებით. ასე რომ, ეს ქმედება ტიპიურია, ხელისუფლებისთვის დამახასიათებელია, ხვალ და ზეგ შეიძლება სხვა მედია საშუალებებსაც მისწვდნენ, ყოველ შემთხვევაში,დააშინონ და ეს გაფრთხილება პრევენცია იყოს მათი მხრიდან.

***— ამ ეტაპზე რამდენად სერიოზულია საფრთხე?***

— საფრთხე არის სერიოზული იმდენად, რამდენადაც ხელისუფლება მოქმედებს გეგმაზომიერად. თქვენ თუ დააკვირდით, 2007 წლის 7 ნოემბრის დარბევის შემდეგ როგორ შეხვდა ამას საზოგადოება. დაარბიეს და ათჯერ მეტი ხალხი გამოვიდა, მეორედ დაარბიეს და კიდევ უფრო მეტი ხალხი გამოვიდა. ამ შემთხვევაში, განვლილ სამ-ოთხ წელიწადში ხელისუფლებამ მოახერხა ის, რომ იმუშავა გეგმაზომიერად იმ მიმართულებით, რომ ხალხი მაქსიმალურად დაეშინებინა ერთი მხრივ, მეორე მხრივ, დაეინტერესებინა და მესამე მხრივ, მძევლად აეყვანა ის ადამიანები, რომლებზეც მოქმედებენ. სათითაოდ შესწავლილი ჰყავთ და თითოეული ადამიანის თუ ოჯახის გაჭირვებას თუ რაღაც მისწრაფებას ისინი კარგად ფლობენ და ვისზე რა ზემოქმედების ბერკეტი უნდა გამოიყენონ, ცნობილია. მაგალითად, ნიკა კვინტრაძე, რომელიც 26 მაისს იქნა მოკლული, მოგეხსენებათ, მისი მამაც გარდაიცვალა შემდეგ გულის შეტევით, მაგრამ მისი შვილი არის პატიმარი და ეს ოჯახი გააჩუმეს სწორედ ამით, რომ თუ გინდათ, რომ ეს პატიმრობა სამუდამოთ არ ექცეს და თუ გინდათ რომ ციხეში არ ჩავკლათ, უნდა გაჩუმდეთ! ისინიც გაჩუმდნენ. ასევე იყო მეორე მოკლულის შემთხვევაშიც — სულიკო ასათიანი, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი სოფლის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ყოფილა, ოჯახის წევრებმა კატეგორიული უარი განაცხადეს მისი გვამისა მისი დაზიანებების გადაღებაზე. ასე რომ, ხელისუფლების თითოეული ეს ნაბიჯი, არის გეგმაზომიერი, გათვლილი იმისკენ, რომ არ მოხდეს მასობრივი გამოსვლა. ათასკაციანი და ორიათასკაციანი გამოსვლები და მიტინგები ხელისუფლებას არ აშინებს, პირიქით, მათ ეს აწყობთ კიდეც, იმიტომ, რომ აჩვენონ დასავლეთს, ნახეთ როგორი დემოკრატიულები ვართო. მას აშინებს ასიათასიანი და მეტი რაოდენობის მიტინგები, იმიტომ, რომ ეს შეიძლება გადაიზარდოს ეროვნულ დაუმორჩილებლობაში. ის რაც მოხდა ეგვიპტეში, ტუნისში, სირიაში და სხვა ქვეყნებში. აი, აქამდე არ უნდა მიიყვანოს ხელისუფლებამ საქმე და ამ მიმართულებით გეგმაზომიერად რომ მუშაობენ, იქიდანაც ჩანს, რომ 7 ნოემბერს გამოვიდა ასი ათასობით ადამიანი და ამ ეტაპზე მხოლოდ რამდენიმე ათასზე იყო ლაპარაკი. სხვები უბრალოდ ვერ ბედავენ ამას. აი აქეთკენ არის მიმართული ხელისუფლების პოლიტიკა.

შედით საიტზე atb.ge



# დავით-გარეჯში სენაკი ჩამოინგრა

## სამონასტრო კომპლექსს აზერბაიჯანელთა სამხედრო პოლიგონი საფრთხეს უქმნის

თეა მარხვაი ე

დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსი მძიმე დღეშია. როგორც სპეციალისტები განმარტავენ, აქ ნგრევის შეჩერე-



ბა თითქმის შეუძლებელია. სამონასტრო კომპლექსმა ბევრ რამეს და ბევრ საუკუნეს გაუძლო. მას გასაძლები ახლაც ბევრი აქვს.

სამონასტრო კომპექსის სიახლოვეს ორი სამხედრო პოლიგონი მდებარეობს. ალგეთის პოლიგონზე ქართველი რეზერვისტები ატარებენ წვრთნებს. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე კი აზერბაიჯანელი სამხედროები გადიან წვრთნას.

ალბათ ეჭვი არავის გეპარებათ, რომ ჩვენი ხელისუფლება ამის გამო ოფიციალურ ბაქოს არ უსაყვედურებს. წვრთნებს თავისი ნებით არც აზერბაიჯანელები შეწყვეტენ. ეს კი სამონასტრო კომპლექსის მდგომარეობას კიდევ უფრო გაართულებს.

როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრი იუწყება, დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსში ერთ-ერთი სენაკი ჩამოინგრა. ამის შესახებ ცენტრს ინფორმაცია სოფელ უდაბნოს მცხოვრებლებმა მიაწოდეს. მათი თქმით, სენაკის სახურავზე არსებული ღრმულის დიამეტრი დაახლოებით 1,5 მეტრს შეადგენს.

ადგილობრივები ვარაუდობენ, რომ სენაკის ჩამონგრევა ალგეთის რეზერვისტთა ბაზაზე მიმდინარე წვრთნებმა გამოიწვია.

მათივე თქმით, შესაძლოა, ნგრევა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარე სამხედრო პოლიგონსაც უკავშირდება, რომელიც დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსიდან რამდენიმე კილომეტრით არის დაშორებული და პერიოდულად ქვემეხებსაც ისვრიან.

სენაკის ჩამონგრევის ფაქტზე მონასტერში მოღვაწე ბერები კომენტარს არ აკეთებენ.

დაახლოებით 2 თვის წინ, როცა მონასტრის მახლობლად რეზერვისტთა ბაზის ფუნქციონირების განახლების შესახებ გახდა ცნობილი, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა ნიკა ვაჩეიშვილმა განაცხადა, რომ რეზერვისტთა ბაზა მონასტერს საფრთხეს არ უქმნიდა. სააგენტომ სეისმოლოგების მონაცემებიც გამოაქვეყნა, რომლის თანახმადაც, აფეთქებების შედეგად დავით-გარეჯის მონასტერთან სახიფათო ბიძგები არ დაფიქსირდა.

ამავე დროს, ვაჩეიშვილმა აღნიშნა, რომ უდაბნოს მონასტრის აღდგენა და გადარჩენა პრაქტიკულად შეუძლებელია. მისივე თქმით, შესაძლოა, მხოლოდ მისი შენარჩუნება, ანუ დაბერების პროცესის შენელება მოხერხდეს.

— ეს არის ძალიან დიდი კომპლექსი, რომელიც არის მზის გულზე. ჯერ აჭერს სიცხე, შემდეგ მოდის ზამთარი და შესაბამისად ცივა და მთელს ამ კომპლექსს გამსჭვალავს და როგორც ჩვეულებრივი ბუნება, ისე ცხოვრობს. ამიტომ, რღვევის პროცესიც თან ახლავს. ის არ არის ნაგები, არამედ ჩვეულებრივი ხრეში კლდეა. ამიტომ ადამიანის ხელით გამოკვეთილი იქ არსებული კედლის მხატვრობა და მოხაზულობები ასევე განიცდის



ბუნებრივ სახეცვლას. ეს დაბერების პროცესია და ფაქტობრივად, გადაუჭრელი პრობლემაა მსოფლიოში, — განაცხადა ვაჩეიშვილმა.

ეს ის ნიკა ვაჩეიშვილია, რომელიც რამდენიმე თვის წინ ბერების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას ითხოვდა. ამ ფაქტმა ქართული საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია.

ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები ერთმანეთის მიყოლებით ჩავიდნენ გარეჯში და იქ მოღვაწე ბერებს თანადგომა გამოცხადეს.

იმ პერიოდში ოპოზიციამ საკმაოდ სკანდალური განცხადებები გააკეთა. მათი მტკიცებით, საქართველოს ხელისუფლება თანახმაა ეს უნიკალური სამონასტრო კომპლექსი აზერბაიჯანულ მხარეს გადასცეს.

ამ უნიკალურ ქმნილებაზე აზერბაიჯანელებს უკვე დიდი ხანია უჭირავთ თვალი. მთელი რიგი მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ეს სამონასტრო კომპლექსი აზერბაიჯანულია.

თურმე ნუ იტყვით და ეს სამონასტრო კომპელსი ალბანური წარმომავლობისაა და რაკი აზერბაიჯანელები ახლა ამ ტერიტორიაზე ცხოვრობენ, დავით-გარეჯი მათ ეკუთვნით.

საინტერესოა, ამის შესახებ რატომ არაფერს ამბობენ ჩვენი ისტორიკოსები. აი, ის ისტორიკოსები მაქვს მხედველობაში, ენა რომ აქვთ გადმოგდებული და სააკაშვილის დაცვაში ლაფავენ სულს. არა, ყველას აქვს უფლება, იყოს მიშისტი, ზვიადისტი და გნებავთ ედუარდისტიც, მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს.

იმის მაგივრად, რომ ისტორიულ ფაქტებზე ისაუბრონ, რაღაცა სისულელეებით აბრუებენ საზოგადოებას. რუსეთის და ოპოზიციის ლანძღვით ნაცელიტისგან მატერიალურ სარგებელს ღებულობენ და საერთოდ არ აინტერესებთ, საქართველოს რომელ ნაწილზე ან რომელ კულტურულ ძეგლზე გამოთქვამენ ჩვენი მეზობლები პრეტენზიას.

ისე, რომ იცოდეთ, დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსი სადავო ტერიტორიაზე მდებარეობს. არავინ იცის როგორ, მაგრამ კომპლექსის ნაწილი აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა. ასეთი გაყოფა საბჭოთა კავშირის დროს მოხდა.

ახლა საბჭოთა კავშირი აღარ არსებობს და მეზობელ ქვეყნებთან საზღვრები გვაქვს დასადგენი. საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის პროცესი საქართველოს აზერბაიჯანთანაც აქვს დაწყებული.

თუმცა ჯერჯერობით ამ პროცესისგან არაფერი არ გამოდის. აზერბაიჯანი იმ სადავო ტერიტორიის დათმობას არ აპირებს, სადაც დავით-გარეჯი მდებარეობს. არადა, როგორც ამბობენ, ქართულმა მხარემ ბაქოს გარეჯის სანაცვლოდ სხვა ტერიტორია შესთავაზა, მაგრამ ბაქომ ამ ბარტერზე უარი თქვა.

ალბათ იმიტომ, რომ იმედი აქვს, საბარტერო ტერიტორიასაც თავად მიითვისებს. როგორც ამბობენ, თბილისი გარეჯის სანაცვლოდ ბაქოს სოფელ ერი-



სიმედს სთავაზობს.

ეს სოფელი სიღნაღის რაიონში მდებარეობს. იქ აჭარიდან ჩამოსახლებული ეკომიგრანტები ცხოვრობენ. ეს სოფელიც სადავო ტერიტორიად ითვლება, სადაც საშვის გარეშე არავინ შეგიშვებთ.

ქართველ მესაზღვრეებს საგუშაგო სოფლის შესასვლელშიც აქვთ გახსნილი და იქ შემთხვევითი პირი ვერ მოხვდება.

რაც შეეხება დავით-გარეჯს, ის ნახევრად უდაბნოში, 25 კილომეტრზეა გაშენებული. კომპლექსი VI საუკუნის პირველ ნახევარში 13 ასურელ მამათაგან ერთ-ერთმა, წმინდა დავით გარეჯელმა დააარსა.

# ნატო შეიძლება უუნარო გახდეს

თეა მარხვაი ე

საქართველოს ხელისუფლება, განსაკუთრებით კი გია ბარამიძე, ისევ ნატოზე ოცნებოდნენ. ნატო კი ცოცხალი თავით არ გვილებს. უარმა დეპრესიაში რომ არ ჩაგვაგდოს, დაპირებებს არ გვაკლებენ. გვპირდებიან, რომ დრო დადგება და ეს კარი ჩვენთვისაც გაიღება.

ამ მოლოდინში ჩვენი ხელისუფლება ცდილობს, ყველაფერი ნატოს სტანდარტებს დაუქვემდებაროს. ეს თავად ამბობენ ასე, თორემ ნატოს სტანდარტებს ბევრ რამეში ბევრით ჩამოვრჩებით.

საქართველოში ყველა სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელში ნატოს კუთხეები იხსნება. ეტყობა, ნაციონალებს ჰგონიათ, რომ ამ მეთოდით ალიანსის მოხიბვლას შეძლებენ.

იმდენჯერ გაგვიცრუვდა ნატოსთან დაკავშირებით იმედები, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს ალიანსი აღარც აინტერესებს. ბარამიძე რომ არა, სულ მიგვავიწყდებოდა ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის არსებობს, მაგრამ რისთვის გვყავს გია ბარამიძე, დადის და სულ ნატო-ნატოს გაიძახის. გვიმტკიცებს, რომ ჩვენი გადარჩენა ამ ალიანსშია. არადა, თავის დროზე ბარამიძე ასეთ ფრაზებს სხვა თანამეგობრობაზე ამბობდა.

აღარ გახსოვთ, ავადსახსენებელი 1993-1994 წლები? აღარ გახსოვთ, როგორ შეათრიეს საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში? დაგავიწყდათ, როგორ აქებდნენ ახლანდელი ნაციონალები და მათ შორის ბარამიძე რუსეთს. ბარამიძეს ეს ნამდვილად დავიწყებული აქვს და ახლა ვინმეს მზერა ჩრდილოეთისკენ რომ გაექცეს, მოღალატედ აცხადებს უმალ. თავად კი ხსნის ნატოს კუთხეებს საქართველოში, ათვალიერებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებს. ერს კი ისევ ვერ დაუდგენია, რა ფუნქცია აკისრია მას და როდის შევა საქართველო ნატოში.

ამ ალიანსში მოხვედრა რომ ძნელია, უკვე შევეგუეთ. საქმეს ისეთი პირი უჩანს, ისე დაიშლება ეს ალიანსი, ჩვენ შესვლას ვერ მოვასწრებთ. არა, ჩვენი ცოდვა არ უწევს ალიანსს, უბრალოდ, ამერიკას მობეზრდა ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის დაფინანსება.

ჩვენთვის სულისშემძვრელი ინფორმაცია ამერიკის თავდაცვის მდივანმა რობერტ გეითსმა გაავრცელა. ეს განცხადება მან ბრიუსელში გამოსვლისას გააკეთა.

— ევროპამ თავდაცვაზე მეტი ხარჯები უნდა გაიღოს, ნატო-ს ოპერაციებმა ლიბიაში სერიოზული ნაკლოვანებები გამოავლინა. სულ რაღაც 11 კვირაში ოპერაციის დაწყების შემდეგ, იმ ოპერაციისა, რომელშიც ისტორიაში ყველაზე ძლევამოსილი ალიანსი მონაწილეობს, აღმოჩნდა, რომ ნატო-ს წევრები შეიარაღების დეფიციტს განიცდიან. მომარაგება აშშ-დან უნდა წამოსულიყო. 20 წელი გავიდა ბერლინის კედლის დაცემის შემდეგ და ამერიკის წილი ნატო-ს დაფინანსებაში 75%-მდე გაიზარდა. ასე გაგრძელება არ შეიძლება, — განაცხადა გეითსმა.

მისი თქმით, მხოლოდ ოთხი ევროპული ქვეყანა ხარჯავს თავისი მშპ-ს 2%-ს თავდაცვაზე — საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, საბერძნეთი და ალბანეთი. ამერიკელები სასტიკად იბრძვიან დიდი ბრიტანეთის თავდაცვის ხარჯების შემცირების წინააღმდეგ. 11 სექტემბრის შემდეგაც კი ევროპის თავდაცვის ბიუჯეტი, გასული ათი წლის განმავლობაში, 15%-ზე მეტით შემცირდა.

თავდაცვის მდივანმა ევროპას აცნობა, რომ ვაშინგტონში ახალი რეალობაა. იქაც თავდაცვის ბიუჯეტი ზეწოლის ქვეშ აღმოჩნდა.



— ხისტი რეალობაა ის, რომ აშშ-ს კონგრესში და ზოგადად ამერიკაშიც იმ სახელმწიფოებისთვის, რომლებსაც აშკარად არ სურთ საკუთარი უსაფრთხოებისთვის აუცილებელი რესურსების გაღება, მოთმინება და ძვირფასი სახსრების გაზრდის მადა აშკარად იკლებს, — განაცხადა გეითსმა.

მან ევროპელები გააფრთხილა და აუწყა, რომ მომავალში ამერიკა შეიძლება დაიღალოს ევროპის გადარჩენით მისსავე შემოგარენში.

ამ განცხადებებს დიდი ალიაქოთი მოჰყვა. ჩვენი ავი და შავი მეზობელი რუსეთი გახარებულია. ევროპაში სერიოზულად დაფიქრდნენ. ჩვენთან კი მოიწყინეს.

მოიწყინეს იმიტომ, რომ ჩვენი საოცნებო ნატო შეიძლება უუნარო გახდეს. მერე რითი მოგვთაფლავს ხელისუფლება? არა, მოგონებით ათას რამეს მოიგონებენ. თუ ალიანსი მართლაც დაუძლურდა, გვეტყვიან, აქ სწორედ ახლა უნდა შევიდეთ, რომ გავაძლიეროთო. ან კიდევ უფრო საინტერესო რამეს მოფიქრებენ. ამათ იდეების ნაკლებოდა ისევე არ აწუხებთ, როგორც უდაბნოს ქვიშა.

მოკლედ, ნატოს გამო მთელი ერი შეწუხდა. ბევრმა ნიშნის მოგებითაც ჩაილაპარაკა, ღირსები ხართ, თქვენ ხომ ჩვენთვის კარის გაღება არ გინდოდათო. იმავე დროს ამ ადამიანებს ავიწყდებათ, რომ ნატომ ცოტა ხნის წინ მაპზე უკეთესი მოგვცა.

ალბათ ამიტომაც არის, რომ მადლიერი ხელისუფლება აგზავნის და აგზავნის ერაყსა და ავღანეთში ჩვენს სამხედროებს. თან იმ დროს, როცა აქედან ჯარები ნატოს წევრ ქვეყნებს გამოჰყავთ. ივლისიდან თავისი კონტინგენტის შემცირებას აპირებს ამერიკაც. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ჩვენს იმედად დატოვებენ ერაყსა და ავღანეთს.

ამისთვის კი ჩვენს ხელისუფლება მარტო სამხედროები არ ეყოფა. მისიის შესასრულებლად მას ერაყში ჩვენი ზონდერების გაგზავნამაც მოუწიოს. წვრთნისა და ალჭურვის პროგრამა მათ უკვე გაიარეს ჩვენს ოპოზიციაზე. აქციის დაშლა-დაწიოკება კარგად იციან. ასე რომ, ჩვენ თამამად შეგვიძლია მისია შევასრულოთ.

ამით ისარგებლებს ჩვენი ბოროტი ოპოზიცია და ზონდერების აქ არყოფნის ჟამს, მართლა რაღაცას მოახდენს. ახლა ვერ გეტყვით, რითი იქნება ეს, რაგატკით თუ მოლოტოვის კოქტეილით, მაგრამ უზონდერობის ჟამს ბევრად მარტივად შეძლებენ რაღაცეების შეცვლას.

ისე, ამ საქართველოს არაფერში ბედი არა აქვს. დავადგით თუ არა თვალი ნატოს, ეგრევე ცუდად წაუვიდა საქმე და შეიძლება უუნაროც გახდეს. ასეთი ბედი თუ გვაქვს, რუსეთში შესვლაზე რომ ვიჩალიჩოთ? რუსეთის ქების პრაქტიკა ბარამიძეს უკვე გავლილი აქვს და ახლაც შეუძლია მოსკოვის სიკეთეები ნათლად დაგვანახოს.

გადავეკიდებით ამ რუსეთს და ეს უბედური ქვეყანაც დაიშლება. ჩვენ კი ნატოს გარეშე შევძლებთ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას.

# სააკაშვილის გადადგომას ხელი ყველა პარტიის ლიდერმა უნდა მოაწეროს!

დასაწყისი მე-5 გვერდზე

უკმაყოფილებს პოლიტიკურ რვიანს იმ მოთხოვნებს კოდექსში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით, რომლებიც მათ წარადგინეს, ეს არის ძალიან უსუსური კომენტარები. ამას ყველა ხვდება და ამიტომაც არის, რომ დღეისთვის მათ ნაკლები მხარდაჭერა აქვთ. რვიანის ძირითადი არგუმენტი რა არის: ის საკითხები, რომელიც ჩვენ დავაყენეთ სააკაშვილის და ამ ხელისუფლების წინაშე, ხელისუფლება ამ საკითხებს არ დააკმაყოფილებს და ამით სააკაშვილის და ნაცმოძრაობის იმიჯი დაიმსხვრევა დასავლეთში. მიმიფურთხებია, მაპატიეთ ამ სიტყვისთვის, მოეწონება თუ არა დასავლეთს და საქართველოს საარჩევნო კოდექსში იქნება შეტანილი ცვლილებები თუ არ იქნება შეტანილი. მთავარია, 26 მაისი აღარასდროს არ განმეორდეს და ამ სისხლიანი სადამსჯელო ოპერაციის ავტორები იქნენ სათანადოდ დასჯილები. დანარჩენი საკითხები არის მეორეხარისხოვანი. რვიანის ეს კუნტრუში დასავლეთის მიმართ, სულაც არ არის საინტერესო და ხალხზე პირიქით, ძალიან ცუდად მოქმედებს.

***— ლეიბორისტებიც ხელისუფლების არჩევნებით შეცვლას უჭერთ მხარს. რატომ ვერ მოხერხდა თქვენი და რვიანის პოზიციების შეჯერება?***

— ლეიბორისტული პარტია არის კლასიკური პარტია, რომელიც იბრძვის რეჟიმის წინააღმდეგ ყველა ფრონტზე. რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა არ არის მარტივი. იმიტომ, რომ რეჟიმი იყენება ყველა პოლიტიკურ თუ არაპოლიტიკურ ილეთებს, რომელი ილეთებითაც ასე უკანონოდ დაჭერილები არიან ჩვენი პარტიის წევრები, გარდაცვლილია ჩვენი პარტიის წევრი. ასე რომ, რეჟიმთან ბრძოლა ძალიან რთულია. ამიტომ ჩვენს პარტიას აქვს ამ ომში მრავალ ფრონტზე გაშლილი ბრძოლა. ჩვენ ვიბრძოლებთ ყველა ფრონტზე, სადაც კი შესაძლებელია და სადაც კი ოდნავ სისუსტეს დავუნახავთ ხელისუფლებას. ჩვენ ზუსტად ასე ვიქცევით. აგერ რამდენიმე დღის წინ აშშ-ში გაეროს შტაბბინის წინ იქნა გამართული ზვიად განსახურდიას და ეროვნული მოძრაობის მხარდამჭერებისა და ლეიბორისტული პარტიის მხარდამჭერების ერთიანი მიტინგი მოთხოვნით — გადადგეს სისხლიანი სააკაშვილი. ასევე გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში კომისართან მიტანილი იქნა მოთხოვნა 26 მაისის აქციასთან დაკავშირებით. მოთხოვნა იყო ასეთი — 26 მაისის შემდეგ სააკაშვილი უნდა წავიდეს პრეზიდენტის თანამდებობიდან. მერაბიშვილის უწყებასთანაც გვქონდა ამ ცოტა ხნის წინ ლეიბორისტებს აქცია, რომელსაც არალეიბორისტებიც შემოუერთდნენ. ამ აქციაზეც იყო მხილებული მერაბიშვილი და სააკაშვილი. მერაბიშვილის შინაგან საქმეთა სამინისტროს აქციის შემდეგ ვუწოდეთ მკვლელობათა სამინისტრო. ასე რომ, ჩვენ ყველა ფრონტზე ვიბრძოლებთ. ეს იქნება საარჩევნო გზა, არჩევნები, მიტინგები თუ მანიფესტაციები. სააკაშვილს და მის რეჟიმს არ მოვასვენებთ. შედეგს აუცილებლად მივაღწევთ. ასეთი ფორმულა რომ ვთქვათ, კონკრეტულად ამას გავაკეთებთ და ამას არა და ამით ყველაფერი ისე დასრულდება, როგორც ხალხს და ქვეყანას უნდა, ასეთი ფორმულა არის ის, რომელსაც ჩვენ ვამბობთ და რომელსაც ჩვენ ყოველდღიურად ვახორციელებთ.

***— ლევან გაჩეჩილაძე ოპოზიციური ერთობის ინიციატივით გამოვიდა. რა პოზიციას დაიკავებთ ლეიბორისტები, თუკი ამ კუთხით კონსულტაციები შედგება?***

— ლეიბორისტული პარტია ფიქრობს, რომ ერთობა პოლიტიკურ პარტიებს შორის უნდა იყოს მხოლოდ ერთი და ერთადერთი: ყველა პოლიტიკურმა პარტიამ უნდა გამოაქვეყნიოს თავის სურვილი სააკაშვილის გადადგომასთან დაკავშირებით და ეს სურვილი უნდა იქნეს დაფიქსირებული პარტიის თავმჯდომარის ხელმოწერით დოკუმენტზე, რომელიც მთელ მსოფლიოს გაეცნობა. აი, ამაში შეიძლება იყოს გაერთიანებული პოლიტიკური ძალები. რაც შეეხება სხვა მოქმედებებს, სხვა ჩვენ ვერც რვიანის და ვერც სხვა პოლიტიკური ძალების ხაზს ვერ გავიზიარებთ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ერთადერთი სწორი და ქართული, მართალი გზა არის ის გზა, რომელზეც ჩვენ ვდგავართ.

# ქრისტიან-დემოკრატები 10-ლარიან ხორცს ითხოვენ

**„ქრისტიან-დემოკრატებმა“ სოფლის მეურნეობის მინისტრის გადადგომა გუშინ კიდევ ერთხელ მოითხოვეს. უმრავლესობამ კი ბაკურ კვეზერელის დასაცავად თავი გამოიდო. ოპოზიციას ბაკურ კვეზერელი ახლა ხორცის გა ვირების გამო გაახსენდა.**

**ლევან ვეფხვა ემ განაცხადა, რომ სამთავრობო დებატებისას მათ ბაკურ კვეზერელის პასუხისმგებლობის საკითხი დასვეს, მაგრამ უმრავლესობამ ის დაიცვა.**



ნანა მიშელაშვილი

— ამის შემდეგ გვახსოვს, როგორ მივიდა კვეზერელი მაღაზიაში და მოსახლეობას პირობა მისცა, რომ ხორცის ფასი 10 ლარზე მეტი არ იქნებოდა, — განაცხადა ლევან ვეფხვაძემ.

მისი თქმით, ხელისუფლებას არაერთხელ დაურღვევია პირობა, მაგრამ პასუხისმგებლობას, როგორც წესი, არავინ იღებს.

— მინისტრი დაგვპირდა, რომ სასაკლაოების გახსნის შემდეგ ხარისხიან და იაფ ხორცს მივიღებდით, მაგრამ ვერ მივიღეთ. თქვენ გსურდათ, რომ ბაკურ კვეზერელთან ჩვენი დაპირისპირება პერსონალურ პრობლემებთან დაგეკავშირებინათ, რაზეც პეტრე ცისკარიშვილმაც ისაუბრა, თუმცა, ეს ასე არ არის, — განაცხადა ლევან ვეფხვაძემ.

ვიცე-სპიკერის შეფასებით, ბაკურ კვეზერელის ქმედებებით, პირველ რიგში, თავად ხელისუფლება უნდა იყოს შეურაცხყოფილი, რადგან მათ ის დაიცვეს, მინისტრმა კი უმუხთლა. ლევან ვეფხვაძეს მიაჩნია, რომ თავად ხელისუფლებაა ვალდებული, პასუხი მოსთხოვოს კვეზერელს.

— ჩვენ შეგვიძლია, მივიღოთ დადგენილება და მივმართოთ პრეზიდენტს რეკომენდაციით, რომ გაათავისუფლოს კვეზერელი, — მიმართა ლევან ვეფხვაძემ უმრავლესობას.

ამის შემდეგ ხორცის გაძვირების გამო ატეხილი აჟიოტაჟი ისევ გაგრძელდა. საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერ პეტრე ცისკარიშვილს სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებით ოპოზიციის გულწრფელობა აინტერესებს.

ცისკარიშვილმა განაცხადა, რომ „ქრისტიან-დემოკრატების“ ლიდერი ხელისუფლებას ყოველთვის მოუწოდებდა, სურსათის ხარისხი გაეკონტროლებინათ. ხარისხის კონტროლს კი, ცისკარიშვილის თქმით, ბევრი სირთულე ახლავს და მათ შორის თავდაპირველად ფასების მატებაც, რაც მოგვარებადია.

— თქვით, როდის ხართ მართალი და გულწრფელი, როცა კონტროლს ითხოვდით თუ ახლა? — მიმართა ცისკარიშვილმა „ქრისტიან-დემოკრატებს“ და დასძინა, რომ სასაკლაოების მოწყობით ხელი კი არ ეშლება ბიზნესს, არამედ, პირიქით, ეკონომიკის განვითარებისა და ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა ხდება.

უმრავლესობის ლიდერის არგუმენტები მიუღებელია უმცირესობის ლიდერისთვის. გიორგი თარგამაძის მიმართვის ადრესატი უმრავლესობა იყო.

— თქვენ სურსათის უვნებლობის თვალსაზრისით ღონისძიებების გატარება და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა გადაწყვიტეთ იმ გზით, რომ ამ ადამიანებმა ხორცი საერთოდ არ ჭამონ. ეს არის ძალიან ცუდი გზა, მოკლე, ადვილად მისაღწევი, მაგრამ, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა დაცულია — ხორცით აღარ მოიწამლება, — მიმართა თარგამაძემ უმრავლესობას.

გიორგი თარგამაძეს არც იმის სჯერა, რომ საპარლამენტო უმრავლესობა უმცირესობის მოთხოვნას გამოეხმაურა და სურსათის უვნებლობის მიმართულებით ღონისძიებებს ამკაცრებს. თარგამაძემ სოფლის მეურნეობის მინისტრის დაპირებაც გაიხსენა, რომლის მიხედვითაც საქართველოში ხორცი 10 ლარი ეღირებოდა.

— სად არის ეს ხორცი 10 ლარად? რატომ არის ეს მინისტრი კვლავ ამ სამინისტროში? ბატონი პეტრე ცისკარიშვილი, რომელსაც ეკონომიკაში ძალიან კარგი განათლება აქვს მიღებული (ამას ყოველგვარი ირონიის გარეშე ვამბობ), ხშირად საუბრობს საბაზრო ეკონომიკისა და თავისუფალი ბაზრის პრინციპებზე, კონკურენციაზე, მაგრამ, ამავე დროს, პირადად იგი და მთელი უმრავლესობა გამოირჩევა ორმაგი სტანდარტებით. ორმაგი სტანდარტები მდგომარეობს სწორედ იმაში, როდესაც ჩვენ გვიკითხავენ ლექციას, თურმე სახელმწიფო რეგულირება უნდა იყოს შეზღუდული და თავისუფალი კონკურენცია უნდა იყოს, ამავე დროს, მთავრობა, უმრავლესობის ლიდერის ხელმძღვანელობით, პარლამენტში ახალისებს და მხარს უჭერს ქვეყანაში მონოპოლიური გარემოს ჩამოყალიბებას. მონოპოლიზმის კლასიკური ნიშანი არის ის, რაც მივიღეთ ხორცთან მიმართებით. ერთ-ორ კონკრეტულ ორგანიზაციას მივეცით ამ ხორცის მიღებისა და ჩაბარების საშუალება. არანაირი კონკურენცია არ არის და 10-ის ნაცვლად 20-ლარიანი ხორცი მივიღეთ, — აღნიშნა თარგამაძემ.

უმცირესობის ლიდერის შეფასებით, 20-ლარიანი ხორცი — ეს არის ჩვენი მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ნამდვილი სახე.

ხორცის გაძვირებამ ოპოზიცია ისე აღაშფოთა, რომ მინისტრ კვეზერელის პასუხისმგებლობის საკითხი დასვა, უმრავლესობა კი მიიჩნევს, რომ 1-2-კვირიანი შოკი და ხორცზე ფასების ზრდა მალე დარეგულირდება.

# პარლამენტმა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება თავზე გადაახია

ნანა მიშელაშვილი



**აქციებისა და მანიფესტაციების ჩატარება ზოგიერთი შენობიდან 20 მეტრის რადიუსში ისევ შეზღუდული იქნება. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, 20 მეტრის რადიუსის შეზღუდვა მოიხსნა, მაგრამ, ამის მიუხედავად, პარლამენტში ინიცირებულია კანონპროექტი, რომლითაც დგინდება, რომ აკრძალული იქნება მანიფესტაციის ჩატარება ზოგიერთი შენობის შესასვლელიდან ოცი მეტრის რადიუსში.**

კანონპროექტის ავტორები დეპუტატები პავლე კუბლაშვილი, ჩიორა თაქთაქიშვილი, კახა ანჯაფარიძე და აკაკი მინაშვილი არიან.

კანონის ძველი რედაქციით აკრძალული იყო შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება შემდეგი შენობების შესასვლელის 20 მეტრის რადიუსში: საქართველოს პარლამენტი, პრეზიდენტის ადმინისტრაცია, საკონსტიტუციო სასამართლო, უზენაესი სასამართლო, საერთო სასამართლოები, პროკურატურის, პოლიციის, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები და სამართალდამცავი ორგანოები, სამხედრო ნაწილები და ობიექტები, რკინიგზის სადგურები, აეროპორტები, პორტები, საავადმყოფოები, დიპლომატიური დაწესებულებები, სამთავრობო დაწესებულებები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, შრომის უსაფრთხოების სპეციალური რეჟიმის ან შეიარაღებული დაცვის მქონე საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები. პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტით დგინდება, რომ აკრძალული იქნება შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარება შემდეგ შენობებში და მათი შესასვლელიდან ოცი მეტრის რადიუსში მდებარე ტერიტორიაზე: საკონსტიტუციო სასამართლო, საერთო სასამართლოები, პროკურატურის, პოლიციის, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები და სამართალდამცავი ორგანოები, ასევე რკინიგზის სადგურებთან, აეროპორტებთან და პორტებთან.

გარდა ამისა, აკრძალული იქნება შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარება სამხედრო ნაწილებში და ობიექტებში და მათი შესასვლელიდან ასი მეტრის რადიუსში მდებარე ტერიტორიაზე.

ასევე შემოდის ახალი რეგულაცია, რომლის მიხედვით, საერთოდ აკრძალული იქნება შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარებისას ავტომაგისტრალებისა და რკინიგზის ბლოკირება. ასევე დგინდება, რომ ადმინისტრაციული ორგანო, რომლის მიმდებარე ტერიტორიაზეც იმართება მანიფესტაცია, უფლებამოსილია განსაზღვროს შეკრების ჩატარების ადგილი შენობის შესასვლელიდან, მაგრამ — არა უმეტეს 20 მეტრის დაშორებით.

კიდევ ერთი: განსაკუთრებულ შემთხვევაში მთავრობას მანიფესტაციაში ჩარევის უფლება ეძლევა. პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტის თანახმად, ზუსტდება, რომ შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეთა მხრიდან ტრანსპორტის სავალი ნაწილის ნაწილობრივი ან სრული გადაკეტვის შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობა ან განსაკუთრებულ შემთხვევაში საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია მიიღოს ტრანსპორტის სავალი ნაწილის გახსნისა და ტრანსპორტის მოძრაობის აღდგენის შესახებ გადაწყვეტილება, თუ შეკრებაში ან მანიფესტაციაში მონაწილეთა რაოდენობის გათვალისწინებით, შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება სხვაგვარად შესაძლებელია.

ახალ კანონპროექტს ჯერ საპარლამენტო კომიტეტები განიხილავენ, შემდეგ კი სხდომაზე იმსჯელებენ. ამ პროექტს საპარლამენტო ოპოზიცია არ დაეთანხმება. ოპოზიციონერი დეპუტატი გიორგი ცაგარეიშვილი მიიჩნევს, რომ შემდეგი ნაბიჯი საკონსტიტუციო სასამართლოს გაუქმება იქნება. ცაგარეიშვილის შეფასებით, პარლამენტმა საკონსტიტუციო სასამართლოს დისკრედიტაცია მოახდინა.

— „შეკრებებისა და მანიფესტაციების“ შესახებ კანონში ცვლილებების პროექტით, საპარლამენტო უმრავლესობამ, ფაქტობრივად, თავზე გადაახია საკონსტიტუციო სასამართლოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. ამ ყველაფრის შემდეგ პავლე კუბლაშვილის ლოგიკური ნაბიჯი საკონსტიტუციო სასამართლოს საერთოდ გაუქმება იქნება, — განაცხადა ცაგარეიშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში.

# რატომ დაუმეგობრდა ჩვენი ხელისუფლება ფიდელ კასტროს

ნანა მიშელაშვილი

**ჯონდი ბაღათურიას ქვეყნის საგარეო პოლიტიკა არ მოსწონს. პარლამენტის დამოუკიდებელი წევრი მმართველი გუნდის საგარეო პოლიტიკას აკრიტიკებს და აცხადებს, რომ ქვეყანაში დიქტატურა მყარდება.**

— ხელისუფლება დაუმეგობრდა ირანის ხელისუფლებას. ამას მოჰყვა ლუკაშენკოს კრიმინალური არჩევნების მხარდაჭერა, ახლა — კუბაში ვიზიტი. არ ვიცი, მართლა ღიმილისმომგვრელი იქნებოდა, ეს რომ ჩვენს ქვეყანას არ ეხებოდეს. ამის ნათელი ილუსტრაციაა არა



მარტო საგარეო პოლიტიკა, ეს სრული დეგრადაცია — ლუკაშენკო, ფიდელ კასტრო, ასეთი მეგობრები ჩვენი ხელისუფლებისთვის, — აღნიშნა ბაღათურიამ. ამის შემდეგ „ქართული დასის“ ლიდერი ქვეყნის შიგნით არსებულ ვითარებას შეეხო და თქვა: „დიქტატურა მოდის“.

— ეს დიქტატურა ყველას კარზე დააკაკუნებს, თუ ჩვენ ყველამ ერთად ეს არ შევაჩერეთ იგი, — განაცხადა ჯონდი ბაღათურიამ.

„ქართული დასის“ ლიდერმა მედიაზე ზეწოლის საკითხებიც მიმოიხილა და ამ კუთხით დაასახელა 25-ე არხის გამორთვა, მედიაპალიტრასთან დაკავშირებული საკითხი და სხვა.

ბაღათურიას შეფასებით, ქვეყანაში აშკარა ტირანია მწიფდება და, თუ ეს არ შეაჩერეს, თითოეულის კარზე მიაკაკუნებს.

ბაღათურიას კრიტიკას ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე დავით დარჩიაშვილი გამოეხმაურა. მან ბაღათურიას განცხადებას პოპულიზმისა და დეზინფორმაციის იაფფასიანი ვერსია უწოდა.

დარჩიაშვილმა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებზე ისაუბრა. მან ლათინური ამერიკის მაგალითი მოიყვანა, სადაც რუსული გავლენის მცდელობაა, რასაც რაღაც უნდა დაუპირისპირონ.

— თორემ ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორი ვინ არის და რა მიმართულებით მიმდინარეობს მოლაპარაკებები ასოცირების შეთანხმებაზე, რისი დედაქალაქია ბრიუსელი და ვაშინგტონი რა ურთიერთობაშია საქართველოსთან, ამის სწავლება არ უნდა მჭირდებოდეს, — უთხრა დარჩიაშვილმა ბაღათურიას.

# სომხეთის ეკლესიის დელეგაცია საქართველოს დღეს დატოვებს

სომხეთის ეკლესიის დელეგაცია სამშობლოში დღეს გაემგზავრება.

გამგზავრებამდე ყოველთა სომეხთა კათოლიკოსი გარეგინ მეორე ნინოწმინდაში მოსახლეობას შეხვდება. იგი ხოჯაბეგის სურბ სარგისის სახელობის ეკლესიას და ნინოწმინდის ბავშვთა სახლს მოინახულებს.

სომხეთის ეკლესიის დელეგაცია საქართველოში 10 ივნისს ჩამოვიდა. სომხეთის კათოლიკოსი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს შეხვდა.

ვიზიტის ფარგლებში სომხეთის ეკლესიის დელეგაციამ თბილისში სურბ ეჩმიაძინის სახელობის ეკლესიის ეზოში მდებარე კულტურული ცენტრი ჰაიატუნი„ გახსნა. ასევე ისინი იმყოფებოდნენ ახალციხესა და ასპინძაში, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდნენ და იქ არსებული სომხური ეკლესიები მოინახულეს.

**მედიანიუსი**

**იყიდება**

**შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ საკუთრებაში არსებული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ფართით 312.0 კვ.მ და მასზედ არსებული შენობა-ნაგებობები სასარგებლო ფართით 36,7 კვ.მ მისამართზე: ქალაქი ბათუმი, ოსტროვის ქუჩა №103.**

**ფასი შეთანხმებით.**

**მსურველები დაგვიკავშირდით მისამართზე: თბილისი, 0194, ბურძგლას ქუჩა №56, შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“, ტელ.: (995 32) 243 97 57, ფაქსი: (995 32) 243 97 67, მობილური: (995 77) 222 545, ვებ-გვერდი: www.SPG.ge; ელ-ფოსტა: infoSPG.ge.**

**საკონტაქტო პირი: არჩილ ფირცხალავა — იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი, მთავარი იურისტი.**

# ახმეტელის თეატრში ნაღმია

ეკა ირემაშვილი

სანდრო ახმეტელის სახელობის თეატრში რეჟისორი ქეთევან-ხათუნა ბედელაძე ახალ სპექტაკლზე მუშაობს. პრემიერა ხუთშაბათს, 17 ივნისს არის დანიშნული. თეატრალური სეზონის მიწურულს თეატრის ხელძღვანელობა თავის ერთგულ მაყურებელს კიდევ ერთ ახალ სპექტაკლს შესთავაზებს.

„3 მინი დანაღმული პიესა“ — ასე ეწოდება სპექტაკლს, რომელშიც სამი დრამატურგის პიესებია გაერთიანებული. როგორც რეჟისორი აღნიშნავს, სპექტაკლი დრამაა და იგი დღევანდელობაში დაკარგულ სულიერ და ადამიანურ ღირებულებებზეა.

სპექტაკლის რეჟისორი, მუსიკალური გამფორმებელი და კოსტიუმების ავტორი თავად ხათუნა ბედელაძეა, მხატვარ-შემსრულებელი — ტიტე ჯალაღონია, ქორეოგრაფი — ამირან ქაჩიბაია, რეჟისორის ასისტენტი — რუსუდან შოშიტაშვილი, ტექნიკური რეჟისორი — თამარ მედოევა.

**ხათუნა-ქეთევან ბედელაძე:**

— ამ სპექტაკლში გაერთიანებულია უმცროსი გოგა თავაძის, მანანა დოიაშვილის და ჩემი პიესა. გოგას პიესას ჰქვია „6 ბოთლი ლუდი“, მანანას პიესას ჰქვია „სამნი ერთ სკამთან“ და ჩემი პიესაა „ყველაზე მწარე მონატრება“. მადლობა გოგა თავაძეს და მანანა დოიაშვილს, რომ მანდეს თავისი პიესები.

***— რაზეა თქვენი სპექტაკლი?***

— ეს არის დრამა. მიუხედავად ამისა, პირობას გაძლევთ, რომ სპექტაკლზე მოსული მაყურებლები გაიცინებენ, ეწყინებათ, იტირებენ, იმედი მიეცემათ, გაეღიმებათ, გაბრაზდებიან, ეტკინებათ. ყველაფერი არც არის რეფლექსური, მაყურებელი ყველაფერს გამოიყენებს. სამივე პიესის კონცეფცია მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანური ურთიერთობები დაიკარგა, რასაც ყოველთვის ვუფრთხილდებოდით და ვეტრფოდით. დღეს ეს უკვე აღარ არის. შემთხვევით აღმოჩნდება, რომ ადამიანები არიან მონათესავე სულები, რომლებიც შემთხვევით გაუგებენ ერთმანეთს, მაგრამ შემდეგ ისევ კარგავენ. არ არსებობს, ადამიანებს შორის მონათესავე სულები არ არსებობდეს. ამ სპექტაკლში საუბარია იმაზე, რომ „რა მარტივია, რომ იყო რთული და რა რთულია, იყო მარტივი“. სპექატკლის შინაარს არ მოვყვები, მაგრამ ამ სპექტაკლის კონცეფცია უკვე გადმოვეცი.

***— ახმეტელის თეატრში პირველად ხართ?***

— დიახ, თეატრმა მიმიწვია და დიდი სიამოვნებით დავთანხმდი. მადლობა მინდა ვუთხრა თეატრს თავისი მმართველით და ყველა თანამშრომლით. ძალიან შეკრული გუნდია, თეატრში კარგი განწყობაა და მაქსიმუმს აკეთებენ იმისთვის, რომ ხარისხიანი სპექტაკლები გამოუშვან.

***— რომელი მსახიობები არიან დაკავებული თქვენს სპექტაკლში?***

— ყველა პიესაში სხვადასხვა მსახიობი მონაწილეობს და ისინი მართლაც უნიკალურები არიან. გოგა თავაძის პიესაში დაკავებული არიან ანა მატუაშვილი და კახა ჯოხაძე, მანანა დოიაშვილის პიესაში მონაწილეობენ გვანცა კანდელაკი და გიორგი გოგუაძე, ხოლო ჩემს პიესაში დაკავებული არიან ამირან ქაჩიბაია და კოტე მჟავია. არც ერთი მათგანი არ არის ახმეტელის თეატრის მსახიობი, ისინი დამოუკიდებელი მსახიობები არიან, რომლებიც ახმეტელის თეატრის სხვადასხვა სპექტაკლებში თამაშობენ. თითქმის ყველა მათგანს ვიცნობდი და მოვიწვიე ჩემს სპექტაკლში.

***— სპექტაკლი რამდენ ხანში დადგით?***

— რეკორდულ დროში. რეპეტიციები 19 მაისს დავიწყეთ და 17 ივნისს უკვე პრემიერა გვაქვს. პრაქტიკულად ძალიან სასაცილო დროში დავდგი. თან ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ყველა მსახიობს თავისი გრაფიკი აქვს — ზოგი სხვა თეატრში თამაშობს, ზოგს გადაღება აქვს, ამიტომ ერთმანეთის ხელშეწყობა მაქსიმალურად დაგვჭირდა. მეც სხვადასხვა ადგილებზე ვმუშაობ, ამიტომ ერთმანეთს ამოვუდექით მხარში. გვინდოდა ბევრი პრემიერა გვეთამაშა, მაგრამ არ გამოდის, იმიტომ, რომ მსახიობი მიდის გასტროლზე, ან გადაღებაზე, არანაირი უფლება არ მაქვს, რომ დავაკავო ან არ გავუშვა. ყველაზე რთული მოსასმენი მაინც იცით რა არის? თანხა არ მაქვს მოსასვლელი, რომ მოვიდეო.

***— მოკლე დროში სპექტაკლების გამოშვება თქვენი დევიზია?***

— მიყვარს სწრაფად მუშაობა. ჩემი დევიზია — სწრაფად და ნაყოფიერად. არ შეიძლება მოუხარშავი და უმი შესთავაზო მაყურებელს და არც ის შეიძლება, რომ გადახარშული და ჩაშლილი სპექტაკლი იყოს. ჩვენი სპექტაკლი ერთმოქმედებიანია. ამ სპექტაკლში სამი წყვილის ურთიერთობას ვაჩვენებთ — ქალი-კაცი, ქალი-კაცი და ორი კაცი, ოღონდ არავითარ შემთხვევაში ეს კაცები გეები არ არიან. მაყურებელი ნახავს როგორი განცდაა, როგორი ტკივილია, როგორი პრობლემაა, როგორი გამოსავალია.

***— რატომ დაარქვით ასეთი სათაური სპექტაკლს?***

— „3 მინი დანაღმული პიესა“? აბა, დაუკვირდით, მთელი ჩვენი ცხოვრება ნაღმია. პირადად ნაღმზე დავდივარ, ტრანსპორტში თუ ჩავჯდები, არ მაქვს იმის გარანტია, რომ სახლში ცოცხალი მივალ. ამ სპექტაკლშიც ისეთი სიურპრიზები ხვდება მაყურებელს, რომ ზოგზე იცინის და ზოგზეც ტირის.

***— მთავარია, ამ ნაღმზე არ ავფეთქდეთ...***

— არა, არ ავფეთქდებით. სპექტაკლის კონცეფცია არის მარტივი და რთული და უკვე მაყურებელი თავად აირჩევს, რა ურჩევნია — ცხოვრებას მარტივად უყუროს თუ რთულად. ხომ გაგიგიათ, ადამიანი სამ გარემოებაში გამოიცნობაო — კეთილს მრისხანებისას გაიცნობ, მამაცს — ბრძოლაში და მეგობარს — გაჭირვებაშიო. ზუსტად ეს ფაქტორია ნაჩვენები ჩვენს სპექტაკლში.

***— როდის გაქვთ პრემიერა?***

— პრემიერას ახმეტელის თეატრში 17 და 19 ივნისს ვითამაშებთ.

# რეგიონული ტელევიზიებისათვის ახალი სამაუწყებლო ტარიფები დაწესდება

გუშინ ავტორთა საზოგადოების ხელმძღვანელი გიგა კობალაძე და „საქპატენტის“ თავმჯდომარე გიორგი ღვალაძე რეგიონული ტელევიზიების ხელმძღვანელებს შეხვდნენ. შეხვედრა რეგიონული ტელევიზიებისათვის საავტორო უფლებების სარგებლობის ახალი ტარიფების დაწესებას შეეხო.

შეხვედრაზე პროგრამის პრეზენტაციაც გაიმართა, რომელიც სატარიფო პოლიტიკის რეფორმირებას, ტელევიზიებისთვის საავტორო უფლებების გამოყენების ტარიფების დაწევას და მათ საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას ითვალისწინებს.

— შეხვედრა მიზნად ისახავდა ახალი სამაუწყებლო ტარიფების დაწესებას. არსებული ტარიფები იყო მაღალი და მივდივართ მათი შემცირების გზით. რეგიონალური ტელევიზიებიც იყენებენ საავტორო უფლებებს და შესაბამისად ვალდებულნი არიან გადაიხადონ საავტორო ჰონორარი, — აღნიშნა საქართველოს ავტორთა საზოგადოების თავმჯდომარემ გიგა კობალაძემ.

**მედიანიუსი**

# ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




**იცხოვრეთ მომავალისთვის.**

**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი. ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

# ფოლკლორული ანსამბლების სერტიფიცირება იწყება

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით, საქართველოში მოქმედი ფოლკლორული ანსამბლების სერტიფიცირების პროცესი იწყება. ამის შესახებ კულტურის სამინისტროში გამართულ პროექტის საგანგებო პრეზენტაციაზე გახდა ცნობილი. პრეზენტაციას ესწრებოდნენ კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუა, მინისტრის მოადგილე დავით ქირია, სერტიფიცირების კომისიის წევრები გიორგი უშიკიშვილი, ფრიდონ სულაბერიძე, რეზო ჭანიშვილი, უჩა დვალიშვილი, დავით შუღლიაშვილი, ნატალია ზუმბაძე და მიწვეული სტუმრები.

როგორც პრეზენტაციაზე ჟურნალისტებს განუცხადეს, სერტიფიცირების მიზნებია ფოლკლორული ანსამბლების შემოქმედებითი დონის შესწავლა, ფოლკლორული ანსამბლების შესახებ სრულყოფილი საინფორმაციო მონაცემთა ბაზის შექმნა და საზოგადოებისათვის ქართული ფოლკლორის სათანადო დონეზე წარმოჩენა. სერტიფიცირებული ფოლკლორული ანსამბლები კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხრიდან დამატებით მხარდაჭერასაც მიიღებენ.

— ამ პროექტის პრეზენტაცია ძალიან მნიშვნელოვანია. მათი სერტიფიცირება ითვალისწინებს მათ დახმარებასა და ხელწეყობას. აქ იგულისხმება როგორც ფინანსური დახმარება, ასევე გასტროლებისა და სხვადასხვა გასვლითი ღონისძიების მხარდაჭერა. სერტიფიცირება ნებისმიერი ანსამბლისთვის ნებაყოფლობითია. თუკი ეს მოხერხდა, მაშინ ფოლკლორული ანსამბლებისთვის მთელი რიგი ღონისძიებები ჩვენი ხელშეწყობით გაადვილდება, — აღნიშნა პრეზენტაციაზე ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ხელმძღვანელმა გიორგი უშიკიშვილმა.

პროექტის წარდგინებაზე ცნობილი გახდა სერტიფიცირების პირობებიც. ფოლკლორული ანსამბლებისათვის სერტიფიცირების პროექტში მონაწილეობა უფასო და ნებაყოფლობითია. სერტიფიცირება არ ვრცელდება სახელმწიფო ანსამბლებზე. აღნიშნული პროექტი ასევე არ ითვალისწინებს საბავშვო ანსამბლების სერტიფიცირებას. სერტიფიცირების პროექტში მონაწილეობისათვის განაცხადები 15 ივლისამდე მიიღება ადგილობრივ მუნიციპალიტეტებსა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში. ანსამბლების სერტიფიცირება კი ორ წელიწადში ერთხელ მოხდება.

— ეს პროექტი მნიშვნელოვანია როგორც ჩვენთვის, კულტურის სამინისტროსთვის, ასევე თავად ფოლკლორული ანსამბლებისთვის. როგორც ჩვენთვის არის ცნობილი, საქართველოში 800-მდე ფოლკლორული ანსამბლია, თუმცა, მათგან მხოლოდ 400-ია რეგისტრირებული. მათი აღრიცხვა და სერტიფიცირება ჩვენ მათთან ურთიერთობისთვის გვჭირდება, — განაცხადა კულტურის მინისტრის მოადგილე მაკო ჭოლოშვილმა.

ამ პროექტის წარდგინებამდე კი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ ეროვნული უმცირესობების კულტურის ხელშეწყობის პროგრამის ეგიდით აზერბაიჯანული ფოლკლორული ანსამბლის „ფარვანის“ კონცერტს უმასპინძლა და მის წევრებს საჩუქრად ქართული ნაციონალური კოსტიუმები გადასცა.

აზერბაიჯანული ფოლკლორული ანსამბლის კონცერტამდე „ევროპის სახლში“ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, ეროვნული კინოცენტრისა და შვეიცარიის საელჩოს ინიციატივით შვეიცარიული დოკუმენტური ფილმის ჩვენება გაიმართა. ფილმი, რომელიც შვიდი სხვადასხვა ეპიზოდისგან შედგება, მოგვითხრობს შვეიცარიელი ახალგაზრდების ცხოვრებაზე, რომლებიც თავიანთი იდენტობის ძიებაში არიან. „შვეიცარიელი ვარ თუ იტალიელი? თუ ორივე?“ — ეს ფრაზა დოკუმენტური ფილმის ერთგვარი კონცეფციაა, რომელიც შვიდმა ავტორმა საკუთარი ინტერპრეტაციით გადმოსცა. ფილმის ჩვენებას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუა და შვეიცარიის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი საქართველოში ანიტა შლუხტერი ესწრებოდნენ.

მარნეულის კულტურის ცენტრთან არსებული აზერბაიჯანული ფოლკლორული ანსამბლი „ფარვანი“ უკვე მეოთხე წელია არსებობს. მათ თბილისში გამართულ კონცერტზე შეკრებილ საზოგადოებას თავის რეპერტუარში არსებული ცეკვები შეუსრულეს, ღონისძიების დასასრულს კი ქართული და აზერბაიჯანული ფოლკლორით ინტეგრირებული ცეკვა წარმოადგინეს.

— ჩვენი ანსამბლი უკვე 4 წელია არსებობს. მარნეულში შემოკრებილი გვყავს იქ მცხოვრები ახალგაზრდები და ჩვენს საგანძურს ვაზიარებთ. მოგეხსენებათ, საქართველო მრავალეროვანი ქვეყანაა და თითოეული ქვეყნის კულტურა აქ სათანადოდ არის წარმოდგენილი. ჩვენ აზერბაიჯანელები ვართ და ვამაყობთ, რომ საქართველოში გვაქვს საშუალება, ჩვენს ეროვნულ კულტურას, ჩვენს საგანძურს შესაფერისად მოვუაროთ და ის მომავალ თაობებს გადავცეთ. დიდი მადლობა ამ ღონისძიების ორგანიზატორებს, საქართველოს კულტურის სამინისტროს, რომელმაც ჩვენი ანსამბლის მიმართ ყურადღება გამოიჩინა, თბილისში მოგვიწვია და ნაციონალური კოსტიუმებითაც დაგვაჯილდოვა, — აღნიშნა ანსამბლ „ფარვანის“ სამხატვრო ხელმძღვანელმა ჯამილა მამედოვამ.

აზერბაიჯანული ფოლკლორული ანსამბლის კონცერტს კულტურის მინისტრი ნიკოლოზ რურუა, რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე ირაკლი ფორჩხიძე, აზერბაიჯანული კულტურის ცენტრის (ქალაქი მარნეული), მარნეულის კულტურის სამსახურისა და სამინისტროების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

— მოხარული ვარ, რომ მარნეულში მოღვაწე აზერბაიჯანული ფოლკლორული ანსამბლი თბილისში ჩამოვიდა და საკუთარი შემოქმედება წარმოგვიდგინა. ჩემი აზრით, სწორედ ეს არის ერთმანეთის გაგება, ერთმანეთის კულტურის პატივისცემა და შერწყმა. ეს არის იმ სიყვარულის საფუძვლის ჩაყრა, რომელიც ჩვენს ქვეყანას ასე ესაჭიროება ძლიერი მომავლისათვის. განსაკუთრებით მომეწონა მათ მიერ წარმოდგენილი ქართულ-აზერბაიჯანული საცეკვაო ილეთებით წარმოდგენილი ინტეგრირებული ცეკვა. ჩვენ მათ საჩუქრად გადავეცით ნაციონალური კოსტიუმები, რომლებსაც ანსამბლის წევრები აქტიურად გამოიყენებენ, — განაცხადა კულტურის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ.

ანსამბლ „ფარვანის“ წევრებს ნაციონალური კოსტიუმები საჩუქრად გადაეცათ, რაც იმის ნიშანია, რომ მომავალში აზერბაიჯანელი ბავშვები კულტურის სამინისტროს მიერ ნაჩუქარი ქართული ნაციონალური კოსტიუმებით ქართულ ცეკვებს შეასრულებენ. პროექტი რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივითა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.


# განცხადებები

● ნერვული სისტემის მოწესრიგება, უძილობა, შიშები, აკვიატებები, დეპრესია, აგრესია, ყურებში შუილები, კლიმაქსური ფონი, ციკლის მოწესრიგება, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, უკუჩვენების გარეშე. ტელ: 858-21-77-93; 234-02-38 ფატი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 234-02-38 ექიმი მეგი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 899-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერშტადტ“. ფასი შეთანხმებით. ტელ: 899-97-37-72 ნარგიზა.

● იყიდება 2-სართულიანი კერძო სახლი მეტრო „ვარკეთილთან“ (50 მეტრში). ტელ.: 73-35-63. 893 93 40 36 ლიკა.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 234-02-38; 895-293-299; 890-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.

● შევაკეთებთ ნებისმიერი სირთულის სარეცხ მანქანებს გარანტიით, ინდმეწარმე გოდერძი ადამია. ტელ: 899-63-62-32; 890-63-62-32.

# გია ნიჟარაძემ ალაფა შეაფასა და მომავლისკენ გაიხედა



თბილისში რამდენიმე დღის წინ დასრულდა „მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფის“ გათამაშება, რომელიც ყველაზე მასშტაბური ტურნირი იყო, რაც კი დღემდე გამართულა ჩვენს ქვეყანაში. დაპირებისამებრ, რაგბის კავშირის პრეზიდენტი გიორგი ნიჟარაძე და შეჯიბრების დირექტორი ლაშა ხურციძე ჟურნალისტებსა და ქომაგებს „რაგბის პაბში“ შეხვდნენ. ასეთი სახის შეხვედრებს საფუძველი წლეულს ჩაეყარა. რაგბის კავშირის პრეზიდენტის გარდა, მანამდე ქომაგებს საქართველოს ეროვნული ნაკრების შოტლანდიელი თავკაცი რიჩი დიქსონიც შეხვდა.

საუბრის თემა განვლილი ტურნირი, მისი საორგანიზაციო საკითხებისა და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ასპარეზობის შეფასება იყო. ამასთან, საინტერესო გამოდგა ინფორმაცია ეროვნული ნაკრების მსოფლიოს თასზე ასპარეზობისთვის მზადების გეგმებზე.

გიორგი ნიჟარაძე, საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი:

— ტურნირი ძალიან კარგი გამოვიდა. საამისოდ ბევრი ვიშრომეთ. საორგანიზაციო საკითხების მოგვარებას როგორც ქართულმა, ისე ირბ-ის მხარემ შესანიშნავად იმუშავა. ცხადია, მზადება ერთი ან ორი კვირით ადრე არ დაგვიწყია. ტურნირის ორგანიზებაზე ზრუნვას ოთხი თვით ადრე შევუდექით და ყოველდღე ბეჯითად ვშრომობდით. „მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფის“ გამართვამ ქართულ რაგბის სერიოზული დივიდენდები მოუტანა. ჩვენი ავტორიტეტი რაგბის საერთაშორისო საბჭოში აქამდეც დიდი იყო, თუმცა, ამ ტურნირის შემდეგ ის კიდევ მეტად გაიზარდა. შეჯიბრების დასრულების შემდეგ საბოლოო შეკრებაზე ირბ-ის განვითარებისა და საშეჯიბრო კომიტეტის ხელმძღვანელმა მარკ იგანმა პირდაპირ, ყოველგვარი დიპლომატიურობის გარეშე განაცხადა, რომ აქამდე გამართული ტურნირები თბილისში ჩატარებულ შეჯიბრებასთან ახლოსაც ვერ მივა. ამ განცხადებით, ცხადია, მან აწყენინა ჩილეს, კენიასა და რუსეთს, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენ, საქართველომ დავამკვიდრეთ ახალი სტანდარტი და ამიერიდან სწორება თბილისში გამართულ ტურნირზე იქნება. ტურნირის ორგანიზებისას ძალიან ბევრი ვიკამათეთ იმის თაობაზე, თუ რა გვექნა, წავსულიყავით მარტივი, იაფი გზით თუ სტუმრები უმაღლეს დონეზე მიგველო. გადავწყვიტეთ, მეორე გზა აგვერჩია და არც შევმცდარვართ. გუნდები და სტუმრები ყველაზე მაღალი დონის სასტუმროებში მოვათავსეთ, რაც კი თბილისში გვაქვს. ყველა მათგანს ჰქონდა შესანიშნავი საცხოვრებელი, სავარჯიშო და დასვენების პირობები. ცალკე აღნიშვნის ღირსია მაყურებელი. ყველა — ტურნირში მოასპარზე მორაგბეები, მწვრთნელები და ირბ-ის მოხელეები აღფრთოვანებულნი არიან ქართველი ქომაგების ქცევის კულტურით, რაგბის სწორი აღქმით, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ნამდვილად სარაგბო ქვეყანა ვართ. თბილისიდან ყველა ქვეყნის დელეგაცია უაღრესად კმაყოფილი გაემგზავრა და ეს, ცხადია, ძალიან გვახარებს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტურნირის გამართვით არა მარტო რაგბის კავშირმა მიიღო „პოლიტიკური“ დივიდენდები, არამედ ქვეყანაში დარჩა 600-დან 700 ათას ლარამდე შემოსავალი, ანუ ქვეყანამ ფინანსურადაც იხეირა, რაც იმის საფუძველს გვაძლევს, რომ მსგავსი და უფრო მასშტაბური ტურნირების გამართვა ყოველმხრივ საშური საქმეა. ირბ-მა უკვე შემოგვთავაზა, ჩავატაროთ მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი. უნდა ავირჩიოთ 2014, 2015 ან 2016 წელი. აღსანიშნავია, რომ ამ დონის ტურნირის თამასა ბევრად მეტია. საჭიროა ორი სტადიონი, რომელიც მინიმუმ 5.000 მაყურებელს იტევს, რაც ამჟამად ჩვენ არ გაგვაჩნია. თუმცა, იმედი გვაქვს, რომ მალე დასრულდება დიდ დიღომში, რუსთავსა და ბათუმში სარაგბო სტადიონების მშენებლობა. ჩვენ შეგვიძლია, ტურნირი, რომელშიც 12 გუნდი ასპარეზობს, ორ ქალაქში — თბილისსა და ბათუმში ჩავატაროთ. კარგი იქნებოდა, ამ შეჯიბრებისთვის ქუთაისსაც ემასპინძლა, მაგრამ იქ სათანადო ინფრასტრუქტურა (აეროპორტი, სასტუმროები) არ აქვთ. გამორიცხული არ არის, ირბ-ის ერთა თასი, რომელიც ამჟამად ბუქარესტში იმართება, თბილისში გადმოვიტანოთ. თუმცა, ალბათ, მოგვიწევს არჩევა — ან შავი ზღვის საკლუბო შეჯიბრება, ან ირბ-ის ერთა თასი. ვფიქრობთ, რომ რაგბის განვითარებისთვის უპრიანი იქნება თბილისში სანაკრებო ტურნირების ორგანიზება. რაც შეეხება შეჯიბრების სპორტულ მხარეს, მაყურებელმა საკმაოდ დიდი დონის რაგბი იხილა. სამწუხაროდ, ჩვენმა გუნდმა დასახულ მიზანს ვერ მიაღწია. დავინახეთ, რომ ძალიან ბევრი რამ გვაქვს გამოსასწორებელი. რადიკალურადაა შესაცვლელი მიდგომა. თუ ბავშვთა ასაკიდან არ დავიწყეთ ცვლილებები, არაფერი გამოგვივა. ნათლად ჩანს, რომ ჩვენი მეტოქეები რუსეთი, ესპანეთი, რუმინეთი და პორტუგალია აღარ არიან, მაგრამ იმ დონეზეც არ ვართ, რომ ელიტურ გუნდებს ვეპაექროთ. სადღაც შუაში ვართ გაჩერებული და, უკან სვლა რომ არ მოხდეს, სასწრაფოდაა საჭირო ზომები მისაღები. ვფიქრობთ და, ალბათ, ამის შესახებ რაგბის კავშირის გამგეობაზეც ვიმსჯელებთ, სარაგბო აკადემიის მთავარ მწვრთნელად უცხოელი ჩამოვიყვანოთ. მანვე უნდა უხელმძღვანელოს ასაკობრივ ნაკრებებსაც. მათთან ერთად იმუშავებენ და ისწავლიან რიჩი დიქსონის მიერ ორგანიზებული განვითარების ჯგუფის წევრები, რომლებიც ახალგაზრდა ქართველი სპეციალისტებითაა დაკომპლექტებული. ისინი მიღებულ ცოდნას კლუბების მწვრთნელებს გაუზიარებენ და მათ გააკონტროლებენ კიდეც. აღსანიშნავია, რომ ტურნირის მსვლელობისას თბილისში სტუმრად იმყოფებოდნენ ინგლისის „ჰართპულის სარაგბო აკადემიის“ ხელმძღვანელები, რომლებთანაც ხელშეკრულება გაფორმდა. ამ კონტრაქტის მიხედვით ჩვენ საშუალება გვეძლევა, აკადემიაში თითო წლით ორ-ორი ახალგაზრდა მოთამაშე მივავლინოთ. წლეულს, სექტემბრიდან, ჰართპულში გიორგი ტყეშელიაძე (ყოჩები) და მერაბ შარიქაძე (აკადემია) გაემგზავრებიან. ვფიქრობ, ამ აკადემიასთან თანამშრომლობა სასიკეთოდ წაადგება ქართული რაგბის განვითარებას. წინ ყველაზე მნიშვნელოვანი შეჯიბრება გვაქვს. ირბ-ის ერთა თასის გათამაშების დასრულების შემდეგ რიჩი დიქსონი მორაგბეებს დასვენების საშუალებას მისცემს და მერე მსოფლიო თასზე წამსვლელთა ვინაობას დაასახელებს. მზადება თბილისში ხუთი ივლისიდან დაიწყება, ორი კვირის შემდეგ კი გუნდი საფრანგეთში გაემგზავრება, სადაც, საწვრთნელი შეკრების პარალელურად, რამდენიმე საკონტროლო შეხვედრას ჩაატარებს ელიტური, პირველი დივიზიონის გუნდებთან. ახალ ზელანდიაში კი ხუთ სექტემბერს ჩავალთ და ცხრა დღეში პირველ მატჩს შოტლანდიის ნაკრებთან გავმართავთ.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# ხურციძემ ქამარი დაიცვა



კიევის სპორტის სასახლეში ავთანდილ ხურციძემ იბო-ს ვერსიით საშუალო წონაში მსოფლიოს ჩემპიონის ქამარი დაიცვა. იმ დღეს რამდენიმე ბრძოლა ჩატარდა, მაგრამ, თუ უკრაინულ მედიას დავუჯერებთ, დღის მშვენება ხურციძისა და კოლუმბიელი დიონისიო მირანდას ბრძოლა იყო. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ბრძოლით მაყურებელი „გაწბილებული“ დარჩა.

გაწბილებული ბრჭყალებში იმიტომ ჩავსვით, რომ იქ მყოფთა დიდი ნაწილი ხურციძეს გულშემატკივრობდა და მისი გამარჯვებით აღფრთოვანებული დარჩა, მაგრამ ქართველი მოკრივის ბრძოლით მხოლოდ 2 წუთსა და 37 წამს ისიამოვნეს. „ტორნადოდ“ წოდებულ ქართველ მოკრივეს სწორედ ეს დრო დასჭირდა მეტოქის დასამარცხებლად.

მატჩის წინ ხურციძის ბანაკში გაიძახოდნენ, რომ კოლუმბიელის შეუფასებლობა არ შეიძლებოდა. ისიც ცნობილი იყო, რომ მეტოქის მთავარი იარაღი დარტყმის ძალაა, რითიც ვადაზე ადრე დამთავრებული მატჩების დიდი პროცენტული მაჩვენებელი გააჩნია.

თუმცა, ბრძოლამ ნათლად გამოაჩინა, რომ კოლუმბიელი ხურციძის დონის მეტოქე ნამდვილად არ იყო. მირანდას უჭირდა რინგზე მოძრაობა, ძალიან ხშირად გასდიოდა დარტყმა და ამის შედეგიც არის, რომ პირველივე რაუნდში ნოკაუტში აღმოჩნდა.

პირველივე წამებიდანვე იცოდა მირანდამ, რა უნდა გაკეთებინა — მისთვის მთავარი იყო, ენერგიული და დიდი პრესინგის მქონდე ხურციძე ახლო ბრძოლაში არ შეეშვა და თავისი გრძელი ხელები აემოქმედებინა. მძლავრი დარტყმა რომ აქვს, პირველივე წამებზე გამოჩნდა, როდესაც მისი ჯების შემდეგ ხურციძეს მცირე სისხლი წასკდა. თუმცა, ალბათ, სწორედ აქ შეცდა — ხურციძისთვის ეს დარტყმა კატალიზატორი იყო და მეტოქეს უკვე ამოსუნთქვის საშუალებასაც აღარ აძლევდა. პირველი მძლავრი შეტევის შემდეგ ხურციძემ რამდენიმე მძლავრი დარტყმა მიაყენა მეტოქეს. კიდევ ერთი შეტევა და ნოკდაუნი — ერთ პირდაპირ დარტყმას ხურციძემ რამდენიმე გვერდიდან მიაყოლა და მეტოქე ძირს დასცა. მსაჯმა დათვლა კი დაიწყო, მაგრამ უკვე მეექვსე დათვლაზე კოლუმბიელი ფეხზე წამოდგა. სწორედ აქ დაუშვა კიდევ ერთი შეცდომა — ხურციძის მორიგი შეტევა, მძლავრი ჰუკი მარცხნიდან და კოლუმბიელი კვლავ რინგზე გართხმული აღმოჩნდა. მსაჯს ამჯერად სადამდეც არ უნდა დაეთვალა, მირანდა ფეხზე ამდგომს აღარ ჰგავდა და რეფერიმაც ხურციძის ვადამდელი გამარჯვება გამოაცხადა.

მატჩის შემდეგ მირანდა გამოტყდა, რომ გატეხილი აქვს ყბა და აკლია ერთი კბილი.

— რა თქმა უნდა, ჩვეულად, სწრაფი შეტევით დავიწყე. კარგად მყავდა მეტოქე შესწავლილი. ვიცოდი მისი სუსტი მხარეები და აქცენტი ამ სისუსტეებზე გავაკეთე, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, არ ველოდი, ასე სწრაფად თუ მივაღწევდი საწადელს. ძალიან კარგ ფორმაში ვარ და შემეძლო, 12 რაუნდი სწრაფ ტემპში ჩამეტარებინა. მოხარული ვარ, რომ ეს საჭირო არ გახდა, — ასე შეაფასა ქართველმა მოკრივემ ბოლო ბრძოლა ერთ-ერთ უკრაინულ ტელეარხთან საუბრისას.

პროფესიულ რინგზე ეს ავთანდილ ხურციძის 29-ე შეხვედრა იყო. აქედან 25-ჯერ იმარჯვა (15-ჯერ ნოკაუტით), 2-ჯერ დამარცხდა, 2-ჯერ კი ბრძოლა ფრედ დაასრულა. ასე რომ, ხურციძემ ქამრის დაცვა მოახერხა და მეტოქეს დაანახვა ის დიდი უპირატესობა კლასში, რომელიც მათ შორის იყო. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენებური დანარჩენ ბრძოლებსაც ასეთივე შემართებით ჩაატარებს.

# „მილანი“ შვაინშტაიგერს ებღაუჭება

მიუნხენის „ბაიერნი“ უკვე დატოვეს ჰამით ალთინთოფმა (რეალი) და მიროსლავ კლოზემ (ლაციო), თუმცა, ეს დიდ დანაკლისად არ ჩაითვლება. ახლა კი ვრცელდება ცნობები იმის შესახებ, რომ შესაძლოა რეკორდმაისტერი ერთ-ერთმა უმთავრესმა ფეხბურთელმა, ბასტიან შვაინშტაიგერმაც დატოვოს. ეს კი უკვე სერიოზული დანაკლისი იქნება ბავარიული კლუბისთვის.

იტალიური და გერმანული მედიის ცნობით, „ბაიერნისა“ და გერმანიის ნაკრების ლიდერს „მილანი“ უმიზნებს. „კორიერე დელო სპორტი“ წერდა, „როსონერი“ მზადაა, გერმანელ ნახევარმცველში დიდი თანხა გადაიხადოს.

მათი თქმით, „მილანი“ მზადაა, შვაინშტაიგერში 35-დან 40 მილიონამდე გადაიხადოს. აქტიურობას ჯერ მხოლოდ იტალიური მხარე იჩენს, მიუნხენში კი ეს ცნობა სასაცილოდაც არ ეყოთ და ბავარიელებმა მხოლოდ ის თქვეს, რომ შვაინის გაყიდვა გამორიცხულია. თუმცა, ამ შემთხვევაში მთავარი ისაა, რას იტყვის თვითონ 26 წლის ნახევარმცველი, რომელიც ბოლო დროს მიუნხენური ყოფით კმაყოფილი არ იყო. თუმცა, დეკემბერში შვაინშტაიგერმა „ბაიერნთან“ ახალი კონტრაქტი გააფორმა, რომელსაც ვადა 2016 წლამდე აქვს.

ბასტიანს არაერთხელ უთქვამს, რომ მიუნხენში ბედნიერია, მაგრამ გასულმა სეზონმა, რომელშიც რეკორდმაისტერმა ყველას იმედები გაუცრუა, შვაინშტაიგერის განწყობაზეც იმოქმედა. ბასტიანი ღიად ალაპარაკდა იმაზე, რომ მიუნხენელი ქომაგები, ჟურნალისტები და კლუბის ხელმძღვანელები მას ჯეროვნად არ აფასებენ.

გაზაფხულზე შვაინშტაიგერს კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდა თავს. გერმანელმა ჟურნალისტებმა მას „მოკრძალებული შეფი“ უწოდეს.

— მოკრძალებული შეფი სულაც არ ვარ! საკმარისად დიდი ხანია, რაც „ბაიერნში“ ვთამაშობ და ვფიქრობ, მეტ დაფასებას ვიმსახურებ. ყველა ყველაფერს სხვანაირად ხედავს, სინამდვილეში კი ყველაფერი სხვაგვარადაა. ხანდახან უდიდესი ტკივილებით ვთამაშობ და ყოველთვის ვცდილობ, მაქსიმუმი გავიღო. საბოლოო ჯამში კი მაინც იდიოტი გამოვდივარ — ალბათ, იმიტომ, რომ ზედმეტად დიდი ხანია, „ბაიერნში“ ვთამაშობ, — თქვა შვაინშტაიგერმა აპრილში.

სწორედ ეს განცხადება გაახსენდათ ჩვენს გერმანელ კოლეგებს და ამიტომაც ფიქრობენ, რომ სულაც არ არის გამორიცხული, ბასტიანმა „მილანში“ გადასვლა მართლაც მოისურვოს. ასეთ შემთხვევაში ბავარიელებს მისი შეჩერება გაუჭირდებათ.

თუმცა, ფაქტია ისიც, რომ შვაინშტაიგერი „ბაიერნის“ მთავარი ფიგურაა და რომ ახალ მწვრთნელ იუპ ჰაინკესს ის ძალიან სჭირდება. მიუხედავად ნახევარდაცვაში უდიდესი კონკურენციისა (კროოსი, ტიმოშჩუკი, პრანიჩი, ლუის გუსტავო), შვაინის სასტარტოში ადგილი ახალი მწვრთნელის ხელშიც გარანტირებული ექნება. ცნობილია ისიც, რომ ბავარიელები „ლევერკუზენის“ საყრდენ ნახევარმცველ არტურო ვიდალსაც უმიზნებენ.

# „დილამ“ უცხოური შეკრებები დაგეგმა, „მერანმა“ — შინაური

მომავალი ჩემპიონატი ფეხბურთში განსხვავებული იმით იქნება, რომ ეყოლება დებიუტანტი მარტვილის „მერანის“ სახით.

გუნდი ახალი სეზონისთვის მზადებას რამდენიმე დღეში შეუდგება. როგორც შევიტყვეთ, დაგეგმილია სამი შეკრების მოწყობა — ბაკურიანში, მარტვილსა და ურეკში. მარტვილელებს ჰყავთ პირველი ახალწვეულიც — თორნიკე შალიკაშვილი, რომელმაც წინა სეზონი „სამტრედიაში“ გაატარა.

სიახლეა ინფრასტრუქტურის მხრივაც: მალე მარტვილის სტადიონზე ხელოვნურსაფრიანი მოედნის დაგება დაიწყება და, თუ სამუშაოები სეზონის დაწყებამდე ვერ დასრულდა, „მერანს“ სეზონის დასაწყისში საშინაო მატჩის ჩატარება სხვა ქალაქში მოუწევს.

რაც შეეხება ელიტაში დაბრუნებულ გორის „დილას“, შიდაქართლელებს გაცილებით უკეთესი მდგომარეობა აქვთ და წლევანდელი მოსამზადებელი გეგმები განსხვავდება იმ ნაცნობი და მობეზრებული სქემისგან, რომელსაც შეჩვეული ვიყავით და მოსამზადებელ ეტაპს მხოლოდ საქართველოში გადიოდა.

„დილას“ მესვეურებს მოსამზადებლად ამბიციური გეგმა აქვთ — კლუბი ორ უცხოურ შეკრებაზე გამგზავრებას აპირებს.

გორელი ფეხბურთელები დღეიდან სამედიცინო შემოწმებას გაივლიან, 17-დან 27 ივნისამდე გორში მოემზადებიან. ამის შემდეგ ორი უცხოური შეკრება დაიგეგმა: სავარაუდოდ, ორი კვირა, 15 ივლისამდე უკრაინაში, იქიდან კი ასევე ორი კვირით სლოვაკეთში გადასვლა აქვთ დაგეგმილი, სადაც იქაური უმაღლესი ლიგის ოთხ გუნდთან შეხვედრებიც არის ნავარაუდევი. საქართველოში კი ივლისის ბოლოს დაბრუნდებიან.

## შედეგები

### ფეხბურთი

**კონკაკაფი. ოქროს თასი**

| | |
|---|---|
| გვატემალა-გრენადა | 4:0 |
| ჰონდურასი-იამაიკა | 0:1 |

**ირლანდია. პრემიერ-დივიზიონი**

| | |
|---|---|
| დანდალკი-სტ.პატრიკი | 1:2 |
| შემროკი-დერი | 1:1 |

**შვედეთი. ალსვენსკა**

| | |
|---|---|
| გიოტებორგი-დიურგარდენი | 0:4 |
| ჰელსინბორგი-გაისი | 1:1 |
| იორებრო-ტრელებორგი | 4:2 |

**ნორვეგია. ტიპელიგა**

| | |
|---|---|
| ლილესტრიომი-ოდ გრელანდი | 1:1 |
| მიოლდე-სტარტი | 5:1 |
| სტაბეკი-ალესუნდი | 1:2 |
| ჰაუგესუნდი-ვიკინგი | 2:0 |
| ფრედრიკსტადი-საპსბორგი | 1:1 |

### ფინეთი. ვეიკაუსლიგა

| | |
|---|---|
| ინტერი-მარიეჰამნი | 2:0 |
| იარო-ჯჯკ | 1:1 |

### ჩოგბურთი

**ატპ. ჰერტოგენბოში. ბალახი**

| | |
|---|---|
| ალმაგრო-ბერერი | 6:3;6:7;4:6 |
| მანარინო-მაიუ | 6:7;3:6 |
| გაბაშვილი-კრავჩუკი | 6:4;1:6;6:4 |
| გრემელმაიერი-ვალტერი | 6:3;7:6 |
| ტურსუნოვი-კენდრიკი | 6:2;7:6 |
| ბაგდატისი-კლემანი | 7:6;6:3 |
| ნიემინენი-გონსალესი | 7:5;6:1 |
| ჰირალდო-რასელი | 7:6;6:3 |
| ჰუტა გალუნგი-რეისტერი | 6:2;3:6;7:5 |
| შარდი-ბოგომოლოვი | 6:3;4:6;6:7 |
| მალისე-ფალა | 6:3;6:1 |

**ვტა. ისტბუინი. ბალახი**

| | |
|---|---|
| ვესნინა-ლუჩიჩი | 2:6;2:6 |
| კირსტეა-კეტავონგი | 3:6;3:6 |
| ჩჟენი-გალოვიცი | 2:6;6:3;6:1 |
| იოვანოვსკი-რისკე | 6:3;6:3 |
| მედინა გარიგესი-მაკჰეილი | 6:3;6:2 |
| პეტკოვიჩი-უილიამსიბ. | 5:7;7:5;3:6 |
| მირზა-ტატიშვილი | 6:2;3:6;6:3 |
| კვიტოვა-სევასტოვა | 5:7;6:1;6:3 |
| ჩჟენი-ოუდინი | 6:1;6:4 |
| ლუჩიჩი-კეტავონგი | 7:5;6:1 |
| რადვანსკა ა.-გაიდისოვა | 7:6;7:5 |
| აზარენკო-პენგი | 6:4;7:6 |
| იოვანოვსკი-მედინა გარიგესი | 6:2;6:4 |
| სტოსური-პეტროვა | 6:1;6:4 |
| მარტინეს სანჩესი-პირი | 7:5;6:3 |
| მაკაროვა-ლუჩიჩი | 6:1;3:6;6:4 |
| ბალტაჩა-რეზაი | 6:2;6:1 |
| ივანოვიჩი-გერგესი | 6:4;6:3 |

**ვტა. ჰერტოგენბოში. ბალახი**

| | |
|---|---|
| დულჟერუ-უიტვანკი | 7:5;7:6 |
| ზაჰლავოვა-ბარუა | 3:6;2:6 |
| კირილენკო-დატე კრუმი | 6:7;2:6 |
| სანტონია-რობსონი | 7:5;6:3 |
| პენეტა-ბონდარენკო!ა. | 6:4;6:4 |
| კუზნეცოვა-რუსი | 6:2;6:4 |
| ვიკმაიერი-ბრიანტი | 6:4;6:0 |
| ოპრანდი-ამანმურადოვა | 6:4;6:3 |
| კლაისტერსი-ნიკულესკუ | 7:5;7:5 |
| მარინო-ლარსონი | 5:7;5:7 |
| ვინჩი-ჰერცოგი | 6:4;6:2 |

### ჰოკეი

**ნჰლ. პლეი-ოფი**

**ფინალი 4 მოგებამდე**

| | |
|---|---|
| ბოსტონი-ვანკუვერი | 5:2 |
| სერიის ანგარიში | 3:3 |

# რატომ ილუპებიან პატიმრები

გულიკო ბალა ე

**ადამიანის უფლებების დამცველმა გიორგი თევზაძემ გუშინ პრესკონფერენცია გამართა და პენიტენციალურ სისტემაში არსებულ მუდმივ პრობლემებზე ისაუბრა, რომელთა გამოსწორება ხელისუფლებას ხელეწიფება, თუმცა, დღემდე გადაუჭრელ პრობლემებად რჩება.**

გიორგი თევზაძის თქმით, პენიტენციალურ სისტემაში ვითარების გაუარესებას სხვა მიზეზებთან ერთად საკანონმდებლო ბაზაც უწყობს ხელს.

მაგალითად, გიორგი თევზაძე საქართველოში საპროცესო შეთანხმების თაობაზე კანონმდებლობის დახვეწას ითხოვს.

მისი თქმით, დღეს საპროცესო შეთანხმება მხოლოდ ბიუჯეტის შევსებას ემსახურება.

— სისხლის სამართლის კანონმდებლობა უნდა ესადაგებოდეს ევროპულ გამოცდილებას, რომელიც ქართული რეალობისთვის უფრო მისაღებია, — განაცხადა გიორგი თევზაძემ.

გიორგი თევზაძე ამბობს, რომ საპყრობილეებში არსებული მძიმე მდგომარეობის გამოსასწორებლად ხელისუფლების პოლიტიკური ნებაც არის საჭირო. „პატიმართა მდგომარეობის გამოსწორებას საპიარო ტრენინგები ვერ გამოასწორებს“, — ამბობს იგი.

გიორგი თევზაძე მოითხოვს, რეალურად ამოქმედდეს დავადებულ პატიმართა ვადაზე ადრე გათავისუფლების კომისია.

— საპროცესო შეთანხმება და ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტი ბრმად ამერიკელებისაგან იქნა გადმოტანილი. უფრო მეტიც, ამერიკის მხარე დიდ ყურადღებას ანიჭებს აღნიშნული ინსტიტუტების საქართველოში დანერგვას, მაგრამ თუ ჩვენი სამართალწარმოების პრაქტიკას შევადარებთ ამერიკელების სამართალწარმოების პრაქტიკასთან, აშკარად დავინახავთ, რომ განსხვავება შესამჩნევია. მაგალითად, საქართველოში ადვოკატის ინსტიტუტი სახელმწიფოს მიერ უუფლებო მდგომარეობაშია ჩაყენებული. ამერიკაში კი ადვოკატს შეუძლია მოიპოვოს ნებისმიერი მტკიცებულება და ბრალდების მხარის თანაბრად ყველა სტადიაზე მიიღოს მონაწილეობა საქმეში, დაიცვას ბრალდებულის ინტერესები. იქ საპროცესო შეთანხმებასაც თავისი კრიტერიუმები გააჩნია, — აცხადებს გიორგი თევზაძე.

გიორგი თევზაძე აღნიშნავს, რომ საპროცესო შეთანხმება ბრალდების მხარისთვის არის გარკვეული ბერკეტი, ადვოკატების საქმიანობას კი აბრკოლებს.

— საპროცესო შეთანხმება არის ბოლო სტადია როგორც დაცვის, ისე ბრალდებისთვის. ბრალდება საპროცესო შეთანხმებას ბერკეტად იყენებს. ჯერ ერთი, საპროცესო შეთანხმების დროს პრაქტიკულად სასამართლოს საქმის წარმოება აღარ ხდება, ანუ აღარ მიმდინარეობს საქმის არსებითი განხილვა შეჯიბრობითობის პრინციპით. ეს კი ახალბედა ადვოკატებისთვის პროფესიული აღზრდის თვალსაზრისით დამაბრკოლებელი გარემოება შეიძლება გახდეს, — ამბობს იგი, — მეორე მხრივ, საპროცესო შეთანხმება ხელისუფლებას საშუალებას აძლევს ამ ელემენტარული მეთოდით ხალხი ჰყავდეს დააჩოქებული და თანაც ამით საკმაოდ დიდ სარგებელს ნახულობდეს. ეს არის მზაკვრული მიდგომა, რადგან ნაკლებად მძიმე დანაშაულზე ადამიანები გათავისუფლებული არიან საპროცესო შეთანხმებით სოლიდური ჯარიმის სანაცვლოდ. ჯარიმის ზემო ზღვარი კანონში დადგენილი არ არის, რაც თავისთავად, საერთაშორისო ნორმებიდან გამომდინარე, მიუღებელია. გავიხსენოთ ერთი მაგალითი, როდესაც ნაქურდალი მობილური ტელეფონის შეძენისათვის ახალგაზრდა ყმაწვილს საპროცესო შეთანხმების შესაბამისად, ჯარიმა შეუსაბამოდ მაღალი თანხა დაუდგინდა, რაც თავისთავად საზოგადოების მსჯელობის საგანი გახდა.

გიორგი თევზაძეს მიაჩნია, რომ საქართველო უნდა გადავიდეს არა ამერიკულ, არამედ ევროპულ მოდელზე, რადგანაც საქართველოსთვის უფრო მისაღებია ევროპული გამოცდილება, ვიდრე — ამერიკული.

გიორგი თევზაძე ამბობს აგრეთვე, რომ ყველა კატეგორიის ბრალდების მქონე პატიმარი შეიძლება გათავისუფლდეს საპროცესო შეთანხმებით, გააჩნია როგორი იქნება პროკურატურის მიდგომა და ამასთან ერთად დაზარალებული მხარის პოზიცია. „არის კიდევ ერთი გარემოება, რასაც დაცვის მხარეს ვერავინ უსაყვედურებს. პატიმრობაში მყოფი პირების უმრავლესობას სურს საპროცესო შეთანხმება, მიუხედავად იმისა, რომ მათ მიმართ წარდგენილი ბრალი საფუძვლიანია თუ არა და რამდენად დასაბუთებული მტკიცებულებები აქვს მოპოვებული პროკურატურას“.



გიორგი თევზაძის განცხადებით, საქართველოში ხელისუფლებას ციხეებში არასრულწლოვნები უმნიშვნელო დანაშაულისთვის ჰყავს მოთავსებული.

— ყველა დემოკრატიულობის პრეტენზიის მქონე სახელმწიფოს განსხვავებული მიდგომა აქვს არასრულწლოვანების მიმართ. პატიმრობა ეს არის სასჯელის უკიდურესი ფორმა. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში არასრულწლოვანთა საპატიმრო დაწესებულებაში მოთავსებული არიან მოზარდები უმნიშვნელო დანაშაულისათვის. არადა, ასეთი მკაცრი მიდგომა, რაც ჩვენს ქვეყანაშია. კიდევ უფრო უარყოფითი შედეგის მომტანია, — ასეთია გიორგი თევზაძის აზრი.

თუმცა, გიორგი თევზაძის თქმით: „ბოლო დროს იცვლება ხელისუფლების მიდგომაც არასრულწლოვანთა მიმართ და შემოდის სასჯელისგან განრიდების მიდგომა. რაც გამოიხატება შემდეგში: თუ არასრულწლოვანმა ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაულებრივი ქმედება და დაზარალებული შეურიგდა დამნაშავეს, მაშინ ასეთ შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმე აღარ აღიძვრება, მაგრამ დამნაშავე პირი უზრუნველყოფს ჩადენილი ქმედების გამოსწორებას. ასეთი მიდგომით ბევრი არასრულწლოვანი ასცდება მრუდე გზას. ჰუმანური მიდგომა ყოველთვის დადებითი შედეგის მომტანია“.

სასჯელაღრულების დეპარტამენტმა დაიწყო სამედიცინო პერსონალის გადამზადება, ეს ხელს შეუწყობს ციხეებში თუ არა პატიმართა სამედიცინო პრობლემების მოგვარებას, რადგან დღემდე პატიმართა ჯანმრთელობის მხრივ მგდომარეობაც მძიმეა? ამასთან დაკავშირებით გიორგი თევზაძის პოზიცია ასეთია:

— არის ინფორმაცია, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა სამედიცინო პერსონალის გადამზადება დაიწყო, რაც მისასალმებელია, მაგრამ ეს მაინც შედეგის მომტანი არ იქნება, ვინაიდან აუცილებელია პატიმრებთან მიმართებაში იყოს პოლიტიკური ნება. სხვა შემთხვევაში, როგორი ტრენინგებიც არ უნდა ჩაუტარდეს სასჯელაღსრულების თანამშრომლებს და მედპერსონალს, ეს ემახსოვრებათ მხოლოდ ტრენინგზე, ხოლო პატიმართა მიმართ მიდგომა კვლავ მძიმე დარჩება. მედპერსონალის გადამზადებასთან ერთად სასჯელაღსრულების სამედიცინო დაწესებულება საჭიროა მომარაგდეს შესაბამისი მედიკამენტებით, რადგან ექიმები შიშველი ხელებით ვერაფერს გახდებიან, როგორი პროფესიონალებიც არ უნდა იყვნენ ისინი.

გიორგი თევზაძე შენიშნავს, რომ ციხეებში ძალიან დიდი ოდენობით დაავადებული პატიმარია და მათი დროზე ადრე გათავისუფლება არ ხდება, ან ძალიან ცოტა თუ თავისუფლდება.

— სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმრების უმრავლესობა დაავადებულია ტუბერკულოზით, „ც“ ჰეპატიტითა და სხვა მძიმე ინფექციური დაავადებებით. მათ ინფიცირებას ხელს უწყობს უჰაერობა. არ არის გამიჯნული დაავადებული და ჯანმრთელი პატიმრები, რაზედაც არაერთხელ მივანიშნებდით ხელისუფლებას. ასევე არ ხდება დაავადებული პატიმრების ვადაზე ადრე გათავისუფლება, რაც უმეტესწილად ფატალური შედეგით, სიკვდილით მთავრდება. ასევე ქაღალდზე რჩება ე.წ. „აქტიროვკის“ კომისიის არსებობა, რომელიც რევოლუციის შემდეგ უმოქმედო გახდა. თუ მათ მიაჩნიათ, რომ ჩვენ არასწორ ინფორმაციას ვფლობთ, მაშინ დაგვისახელონ კონკრეტული ფაქტები, რამდენი დაავადებული პატიმარი გათავისუფლდა ამ ბოლო პერიოდში „აქტიროვკის“ კომისიით. სხვათა შორის, სახალხო დამცველმა თავის ანგარიშში ხაზგასმით აღნიშნა ფაქტობრივი გარემოება, რომ დაავადებული პატიმრები დროზე არ გადაჰყავთ შესაბამის სამკურნალო დაწესებულებაში, არ ხდება მათი ვადაზე ადრე გათავისუფლება, რაც პატიმართა სიკვდილიანობის ზრდას უწყობს ხელს, — ასკვნის გიორგი თევზაძე.

# „რესპუბლიკური პარტიის რეიტინგი ნულის ტოლია“

მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ აცხადებს, რომ საქართველოს რესპუბლიკური პარტიის რეიტინგი ნულის ტოლია და მათ ხალხის მხარდაჭერა არასდროს ჰქონიათ და ექნებათ.

როგორც გუშინ მოძრაობის ახალგაზრდული ფრთის თავმჯდომარე გიორგი აფხაიძემ განაცხადა, რესპუბლიკური პარტიის წევრი ლევან ბერძენიშვილი სხვადასხვა დროს იყო იმ ადამიანების გვერდით, რომლებმაც საქართველო დაანგრიეს. საკუთარი განცხადების დასადასტურებლად მან ჟურნალისტებს წარუდგინა ამონარიდი ლევან ბერძენიშვილის ჩვენებიდან.

— ეს არის მცირე ამონარიდი იმ „აღსარებითი“ ჩვენებიდან, რომელიც ლევან ბერძენიშვილმა მისცა სამართალდამცავებს 1984 წელს. „მინდა დიდი მადლობა ვუთხრა უშიშროების კომიტეტის თანამშრომლებს, განსაკუთრებით სადამსჯელო განყოფილების გამგეს პოლკოვნიკ ა.ამირანაშვილს, რომელმაც მამაშვილური და ჰუმანური დამოკიდებულებით საშუალება მომცა ამეხსნა ჩემი სულისათვის ეს მძიმე ტვირთი და მეღიარებინა დანაშაული, — განაცხადა აფხაიძემ და დასძინა — ახლა რომ 1984 წელი იყოს, ლევან ბერძენიშვილი ისევ იმ ადამიანთა რიგებში იქნებოდა, რომლებმაც საქართველო დაანგრიეს.

აფხაიძის ქმით, ე.წ „რვიანის“ „ინტლექტუალურ“ დასაყრდენ რესპუბლიკურ პარტიას არასდროს ექნება ხალხის ნდობის მანდატი, თუნდაც საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან მიმართებაში.

მოძრაობის ახალგაზრდული ფრთის თავმჯდომარეის თქმით, მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ აგრძელებს რესპუბლიკური პარტიის მხილებას და მუშაობს 2001 წელს თინათინ ხიდაშელის, დავით ბერძენიშვილისა და გოგა ხაინდრავას მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების კონკრეტული დამადასტურებელი საბუთების მოძიებაზე.

მედიანიუსი

## ფაქიზი სტრესი

**აღნიშნეთ, რომელი სიტუაცია გაღიზიანებთ**




1. ამჩნევთ, რომ ვიღაცა გითვალთვალებთ.
2. ტელეფონზე დარეკვა გინდათ, თქვენთვის საჭირო ნომერი კი სულ დაკავებულია.
3. ავტომანქანას მართავთ, გვერდით მჯდომი კი სულ რჩევებს გაძლევთ.
4. ვიღაცასთან საუბრობთ, მესამე პირი კი სულ თქვენს საუბარში ერევა.
5. ვიღაც მიზეზის გარეშე უწევს ხმას.
6. ვიღაც ფიქრს გაწყვეტინებთ.
7. გაღიზიანებთ ფერების კომბინაცია, რომლებიც, თქვენი აზრით, ერთმანეთს არ შეესაბამება.
8. ხელის ჩამორთმევისას პარტნიორის დონდლო ხელისგულს გრძნობთ.
9. საუბარი ადამიანთან, რომელმაც ყველაფერი თქვენზე კარგად იცის.

**პასუხები** — **დადებითი პასუხების რაოდენობის მიხედვით:**

**0-4 ქულა:** ყოველდღიური უსიამოვნებები ძალიან გაღიზიანებთ და გიწეწავთ ნერვებს. ეცადეთ, თავი აარიდოთ მსგავს პრობლემებს ან ნაკლები ყურადღება მიაქციოთ მათ.

**5-9 ქულა:** მოსალოცად გაქვთ საქმე. სტრესი თქვენთვის უცხო ხილია.

გ.თ.

## იუმორი



— წავიდა, ვარდი დამიტოვა, მითხრა, რომ დაჭკნება, დავბრუნდებიო.
— რა რომანტიკულია!
— ჰო... ოღონდ, ვარდი ხელოვნურია...

***

— ვგრძნობ, რაღაცას არ მეუბნები.
— არა, ეგ შენ არ მისმენ ბოლომდე...

***

ქალიშვილი დედასთან დიდხანს ჩურჩულებს, შემდეგ მამასთან მიდის და ეკითხება:
— მამა, გულახდილად მითხარი, შვილები გყავს?
— შენს გარდა?
— არა, საერთოდ...

***

მთვრალი გამვლელს ეკითხება:
— უკაცრავად, თავზე რამდენი კოპი მაქვს?
— ოთხი.
— მაშ, სახლამდე კიდევ ორი ბოძი დამრჩა...

***

დედა:
— ...და ეს ჭირვეული და აუტანელი ბავშვი ჩემი შვილია!
შვილი:
— შენ თითონ ხარ აუტანელი, რომ მცოდნოდა, ასეთი იქნებოდი, მამას შენი ცოლად მოყვანის უფლებას არ მივცემდი...

***

ადვოკატი კლიენტთან შეხვედრის დროს:
— თქვენი საქმე გულდასმით წავიკითხე. არც კი ვიცი, რა გითხრათ. ოთხი კაცი მოკალით, რა შემამსუბუქებელი გარემოება გინდა რომ მონახო. კაცმა..
— თუნდაც ის, რომ მეხუთის მოკვლაც შემეძლო, მაგრამ არ მოვკალი...

***

— აკი გითხარი, ორზე მეტი არ დალიო და ათზე გვიან სახლში არ მოხვიდე-მეთქი.
— გამოდის, ისევ ერთმანეთში ამერია...

***

— ვყიდი კნუტებს, ასაკი — ორი კვირა. როგორც გაირკვა, კარგად იციან ცურვა და კოლექტიური ინტელექტიც გააჩნიათ...

***

წარწერა ჩინური სამშობიაროს კარზე: „კმარა“!

გ.თ.



## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. 50-იანი წლების საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი; 2. ძველებური, დაბალყელიანი, რბილი ტყავის ფეხსაცმელი; 3. სამონასტრო კომპლექსი გურიაში; 4. ვაზის, ღვინის საპატივცემულო საახალწლო დღესასწაული ძველად საქართველოში; 5. ფეოდალი მთავრების სახელწოდება შუა საუკუნეების საქართველოში; 8. უკრაინელი საესტრადო მომღერალი ქალი; 9. სხვადასხვა ფერის, არაგამჭვირვალე მასა ლითონის საგნების ზედაპირის დასაფარად, ემალი; 12. ღვინის საბატონო გადასახადი ძველად საქართველოში; 14. მწვანით მოსილი, წყლიანი ადგილი უდაბნოში; 16. მდინარე ვოლგის არაბული სახელწოდება.

**თარაზულად:** 1. ქართული მონასტერი ბულგარეთში; 6. ავადმყოფური, ღრმა ძილის მდგომარეობა; 7. პატარა დროშა, ალამი; 9. ძველბერძენი მოქანდაკე, სკულპტურა „ბადროს მტყორცნელის“ ავტორი; 10. მარცვლეულის, თავთავიანი კულტურების ნათესი; 11. ნორვეგიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 13. „სამი მუშკეტერის“ პერსონაჟი; 15. ბერძნული სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 17. წითელი ფერის ძველებური სახელწოდება; 18. მსხლის ჯიში; 19. ჰომეროსის ეპიკური პოემა; 20. ტბილი, არომატული სპირტიანი სასმელი.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ქოქოსი; 2. ფატუმი; 3. იუანი; 5. ბაკი; 6. ქარწბი; 8. ზაჰესი; 11. რქაწითელი; 13. ვაუჩერი; 14. დებიუტი; 15. ჰამლეტი; 19. პაბი.

**თარაზულად:** 1. ქსენოფობია; 4. თამბაქო; 7.ქსილიტი; 9. ნოკაუტი; 10. გრემი; 12. სტენდალი; 16. ლიტურგია; 17. მუხიანი; 18. ბიდსტრუპი; 20. ლორნეტი; 21. ფიცი; 22. სარბიელი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ქედანი; 2. ფუთი; 3. ლაფონტენი; 4. ლარგო; 5. გეიმერი; 8. ლოპოტი; 9. მიკოლოგია; 12. ლეკები; 14. აქსისი; 16. აიეტი.

**თარაზულად:** 1. ქროლოფილი; 6. ნადირაძე; 7. დვალეთი; 9. მადონა; 10. კობე; 11. მოზაიკა; 13. ომანი; 15. ჩელიბა; 17. დიონისე; 18. ხეტაფე; 19. ტვისტი; 20. ლიტანია.

# მორგან ფრიმენი პრესტიჟული პრემიით დააჯილდოვეს



ამერიკელ მსახიობს, მორგან ფრიმენს, ლოს-ანჯელესში გასულ კვირას გამართული ცერემონიალის დროს ამერიკის კინოხელოვნების ინსტიტუტის უმაღლესი ჯილდო, კინემატოგრაფში შეტანილი წვლილის პრემია გადაეცა.

მორგან ფრიმენს 1 ივნისს 74 წელი შეუსრულდა. იგი მრავალ ფილმშია გადაღებული, მათ შორის: „მუქი რაინდი", „შვიდი", „ბრუს ყოვლისშემძლე", „მის დეიზის მძღოლი". მისი როლების უმეტესობა მეორეხარისხოვანია, თუმცა, მთავარი როლებიც აქვს.

ასეთ როლებს შორის არის ნელსონ მანდელას როლი ბიოგრაფიულ ფილმში „დაუმორჩილებელი", რომლის ავტორიც კლინტ ისტვუდი გახლავთ. ფილმში „მილიონი დოლარის გოგონა" შესრულებული მეორეხარისხოვანი როლისათვის მსახიობი 2005 წელს „ოსკარით" დააჯილდოვეს.

აღსანიშნავია, რომ მორგან ფრიმენი მხოლოდ მეორე შავკანიანი ამერიკელი მსახიობია, რომელსაც კინემატოგრაფში შეტანილი წვლილის პრემია გადაეცა. პირველი გახლდათ სიდნი პუატიე, რომელმაც ეს ჯილდო 1992 წელს მიიღო.

ამერიკის კინოხელოვნების ინსტიტუტის დირექტორ ობ გეზელის თქმით, მორგან ფრიმენმა ეკრანზე განსხვავებული პერსონაჟები განასახიერა, პატიმრითა და გამომძიებლით დაწყებული და პრეზიდენტითა და ღმერთის როლით დამთავრებული. იგი მრავალი წლის განმავლობაში თანამშრომლობდა კინემატოგრაფიის ინსტიტუტთან და კომიტეტის წევრებმა მის მიერ შესრულებული ბრწყინვალე როლებისათვის ფრიმენის დაჯილდოება გადაწყვიტეს.

ჯილდოს გადაცემის დროს მორგან ფრიმენს მხარი დაუჭირეს ისეთმა კინოხელოვანებმა, როგორიც არიან ბენ ეფლეკი, ჯიმ კერი, კლინტ ისტვუდი, ტომ ჰენკსი, ჰელენ მირენი, ბრედ პიტი და სხვები.

გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის" ინტერვიუში ფრიმენმა განაცხადა, რომ ჯილდო მისთვის სიურპრიზად იქცა.

წარსულში 1973 წელს დაწესებული ეს პრემია გადაეცათ მაიკლ დუგლასს, ალ პაჩინოს, შონ კონერის, მერილ სტრიპს, რობერტ დე ნიროს, ჰარისონ ფორდს, დასტინ ჰოფმანსა და სხვა ცნობილ მსახიობებს.

გ.თ.

# ავსტრიელები ალპების მწვერვალებს ყიდიან



ავსტრიის ხელისუფლებმა ალპების ორი მწვერვალის გაყიდვა გადაწყვიტეს.

გასაყიდად გამოტანილი მთების, აღმოსავლეთ ტიროლში მდებარე გროსე კინიგატისა და როსკოპფის სიმაღლე 2600 მეტრია.

უძრავი ქონების ფედერალური სააგენტოს წარმომადგენლების განცხადებით, მწვერვალებიდან კარნის ალპების მომაჯადოებელი ხედი იშლება.

აღსანიშნავია ისიც, რომ პოტენციურ მყიდველებს მწვერვალების შეძენის შემთხვევაში საკუთრების შემოღობვა და ტურისტების მიმოსვლის შეზღუდვა არ შეუძლიათ.

მიუხედავად ამისა, ადგილობრივი მოსახლეობა მთების გაყიდვის გადაწყვეტილებით უკმაყოფილოა. ერთ-ერთ მათგანზე მდებარეობს მემორიალი, რომელიც პირველ მსოფლიო ომში დაღუპულ ჯარისკაცებს ეძღვნება.

უძრავი ქონების სააგენტო დაინტერესებული პირებისაგან განცხადებებს 8 ივლისამდე მიიღებს. მთები 121 ათას ევროდ არის შეფასებული.

ადგილობრივი ყოველკვირეული გაზეთის „კლაინე ცაიტუნგის" თანახმად, მწვერვალებით დაინტერესება 20-მდე ადამიანმა გამოხატა.

გ.თ.

## მდინარე რიონმა ახალგაზრდა მამაკაცის გვამი გამორიყა

გუშინ მდინარე რიონმა, ფოთის ტერიტორიაზე ახალგაზრდა მამაკაცის გვამი გამორიყა. როგორც „მედიანიუსს" სამაშველო სამსახურიდან აცნობეს, გარდაცვლილი ხობის რაიონის სოფელ ჭალადიდის მცხოვრები, 1974 წელს დაბადებული, რუსლან მაკარიძეა. გარდაცვლილს ოჯახი და მეზობლები 10 ივნისის შემდეგ ეძებდნენ. სამძებრო ოპერაციას ფოთის სანაპირო დაცვისა და სამაშველო სამსახურის თანამშრომლები ერთობლივად ახორციელებდნენ.

მედიანიუსი

# რობერტ სტურუა: არ მინდა სხვა ერის პრეზიდენტი!

ეკა ირემაშვილი



რუსთაველის თეატრში ია შერაზადაშვილის მიერ ორგანიზებული შეხვედრა გაიმართა. თვეში ერთხელ პროექტის ავტორი საზოგადოებას ცნობილ მსახიობს, რეჟისორს, კომპოზიტორს, მხატვარსა თუ ქორეოგრაფს ახვედრებს. ამ პროექტის ფარგლებში საზოგადოება უკვე შეხვდა გია ყანჩელს, გიზო ჟორდანიას, ჯემალ ღაღანიძეს, კახი კავსაძეს.

ამჯერად რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე საზოგადოება თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს რობერტ სტურუას შეხვდა. მან დეტალურად ისაუბრა თავის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. შეხვედრა ინტერაქტიულ რეჟიმში მიმდინარეობდა. დამსწრე საზოგადოებას ჰქონდა საშუალება, თავად დაესვა მისთვის კითხვები და ამომწურავი პასუხები მიეღო.

რობერტ სტურუასთან შეხვედრაზე ნაჩვენები იყო ნაწყვეტები მის მიერ დადგმული სპექტაკლებიდანაც. რეჟისორი უკვე ნახევარი საუკუნეა რუსთაველის თეატრში რეჟისორად მუშაობს. ამ დროის განმავლობაში მას რამდენიმე ათეული სპექტაკლი აქვს დადგმული.

ბოლო პერიოდში რეჟისორის გარშემო განვითარებული მოვლენების წყალობით მის მიმართ ინტერესი დიდი იყო, თუმცა, რობერტ სტურუას არც მანამდე აკლდა ყურადღება. რობერტ სტურუას შემოქმედებითი საღამო მის მშობლიურ თეატრში თაყვანისმცემლებმა, თეატრმცოდნეებმა, კრიტიკოსებმა, სტუდენტებმა და მსახობებმა მოუწყვეს.

ხელოვნების გარდა, რეჟისორს პოლიტიკაზე მოუხდა საუბარი.

— პოლიტკორექტულობაში არის რაღაც დადებითი, მაგრამ მასში დევს ძალიან დიდი უარყოფითი მომენტი, ანუ, პოლიტკორექტულობის გათვალისწინებით, შენ სიმართლეს არ ამბობ ხოლმე, — ასეთი განცხადება გააკეთა რეჟისორმა რუსთაველის თეატრში.

ათეული წლების განმავლობაში სხვადასხვა დროს დადგმულ სპექტაკლებთან ერთად, რეჟისორმა მის მიერ გაკეთებულ იმ განცხადებებზეც ისაუბრა. რობერტ სტურუამ ერთ-ერთ ინტერვიუში ჟურნალისტს განუცხადა, რომ ქვეყნის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სომეხია, მას კი არ სურს, ასეთი პირი მართავდეს მის ქვეყანას. რეჟისორის ამ განცხადებამ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. მისმა ნათქვამმა აქტიური დისკუსია წარმოშვა როგორც საგაზეთო ფურცლებზე, ისე სოციალურ ქსელებში. რობერტ სტურუამ ამ საკითხზე კიდე ერთხელ გააკეთა კომენტარი და, როგორც თავად განმარტა, კარგად იცის, რომ მისმა ფრაზებმა საზოგადოებაში არაერთგვაროვანი განცხადებები გამოიწვია, თუმცა, ამასაც თავისებური ახსნა აქვს.

— პოლიტკორექტულობას ხშირად სჯობს, სიმართლე ითქვას. თუ რაღაც სჭირს კაცობრიობას და არ დავასახელეთ ეს დაავადება, ბუნებრივია, მისგან ვერც განვიკურნებით. რატომ გვიკვირს, რომ ადამიანები ვერ იტანენ სხვა ერის წარმომადგენლებს. ბუნებაში დევს რაღაც ისეთი, რასაც ჩვენ უნდა შევებრძოლოთ. დამალვით მხოლოდ ვითვალთმაქცებთ. წარმოიდგინეთ, ახლა რომ გითხრათ, თუ როგორ მიყვარს ზანგები. ხომ შეიძლება, ისინი სულაც არ მიყვარდეს, იმიტომ კი არა, რომ ზანგები არიან, არამედ იმიტომ, რომ ოდნავ უკან დგანან ჩემზე კულტურის მხრივ, — აღნიშნა შეხვედრაზე რეჟისორმა.

რობერტ სტურუას არც ის დაუმალავს, რომ მართლაც არ სურს, საქართველოს პრეზიდენტი იყოს სხვა ერის წარმომადგენელი:

— სულ არ მინდა, საქართველოს პრეზიდენტი იყოს ამერიკელი. გამოგვიგზავნიან ვინმე ლუზერს და თვალებში უნდა ვუყურო. არც იტალიელი მინდა. აი, გერმანელებზე რომ მიდგება ხოლმე საქმე, შეიძლება შევჩერდე. სულ ცოტა ხნის წინ ტელეფონით გამომიგზავნა წერილი სომეხმა მეგობარმა და, იცით, რა მომწერა? „რობიკ, ეგ შენი აზრია, რაც თქვი, ჩვენ კი შენ მხარეზე ვართ". თქვენ რომ წაიკითხოთ, რას წერენ უკრაინელებზე რუსები, გადაირევით. მე რომ უკრაინელი ვიყო, საერთოდ ამ წუთშივე შევიძულებდი რუს ერს. რას ვიზამთ, ქართველები კი უფრო ლოიალურები ვართ, — ასე გაამყარა თავისი ნათქვამი რეჟისორმა.

# საქართველო „ევრიმაჟის" წევრია

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში ეროვნული კინოცენტრის დირექტორმა თამარ ტატიშვილმა შეკრებილ საზოგადოებას ამცნო, რომ საქართველო ევროპის საბჭოს — ევროპული კინოს მხარდაჭერის ფონდის „ევრიმაჟის" 36-ე წევრი ქვეყანა ხდება.

ეროვნული კინოცენტრის დირექტორმა თამარ ტატიშვილმა მოაწყო პრეზენტაცია, სადაც ისაუბრა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ქართული კინოსთვის ევროპის ყველაზე დიდ კინოფონდში გაწევრიანებას. პრეზენტაციას ესწრებოდნენ კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუა, პარლამენტის განათლებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე გოკა გაბაშვილი, კომიტეტის წევრები, კინოცენტრის წარმომადგენლები, პროდიუსერები, მსახიობები, კინორეჟისორები და სხვა სტუმრები.

საქართველოს „ევრიმაჟში" გაწევრიანების პროცესს წარმართავდა ეროვნული კინოცენტრი კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პატრონაჟით.

— საქართველოს ფონდის სრულუფლებიან წევრად აღიარება კულტურული პოლიტიკის დიდი მიღწევაა — იზრდება არა მხოლოდ ქართული ფილმების დაფინანსების წყარო და პერსპექტივები, არამედ საქართველო სრულფასოვნად წარმოჩნდება საერთაშორისო, კერძოდ კი ევროპულ პროფესიული სივრცეში, ისევე, როგორც ხდება ეროვნული კინოცენტრის პროფესიული პოზიცირება ევროპულ ოფიციალურ ინსტიტუციებთან, — განაცხადა პრეზენტაციაზე ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელმა თამარ ტატიშვილმა.

ფონდის რესურსების 90% განკუთვნილია კო-პროდუქციის განვითარებაზე. დაარსებიდან დღემდე „ევრიმაჟმა" მხარი დაუჭირა 1300-ზე მეტ ევროპულ კო-პროდუქციას (სრულმეტრაჟიანი მხატვრული და დოკუმენტური ფილმები) 407 მილიონი ევროს ოდენობით. გასულ წელს „ევრიმაჟის" ფონდის ბიუჯეტი შეადგენდა 21 მილიონ ევროს. წელს „ევრიმაჟის" მხარდაჭერით წარმოებული 10 კო-პროდუქციული სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი მონაწილეობდა კანის კინოფესტივალის საკონკურსო ჩვენებებში, მათგან კი 5 ფილმი დაჯილდოვდა.

# ჟურნალ „ჩვენი მწერლობის" დარბაზში ანსამბლ „გორდელასთან" შეხვედრა გაიმართა

**ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების საღამოების საგაზაფხულო სეზონი ჟურნალ „ჩვენი მწერლობის" დარბაზში ანსამბლ „გორდელასთან" შეხვედრით დაიხურა.**

შეხვედრა ჟურნალ „ჩვენი მწერლობის" მთავარმა რედაქტორმა, მწერალმა როსტომ ჩხეიძემ გახსნა და დარბაზში მიწვეულ სტუმრებს, გოგონათა საკრავებიანი ფოლკლორული ანსამბლი და მისი ხელმძღვანელი ანსამბლ „ურმულის" სოლისტი თამაზ მამალაძე წარუდგინა.

მწერალმა ხაზი გაუსვა ანსამბლის პროფესიონალიზმს და იმ ქართული საქმის მნიშვნელობას, რასაც „გორდელა" ემსახურება.

როსტომ ჩხეიძის თქმით, ის, რომ ანსამბლის წევრი გოგონები ქართულ ჰანგებს მღერიან და თანაც ასეთი ჩინებული შესრულებით, ძალიან დასაფასებელია და ჩვენგან მეტ ყურადღებასა და გულისხმიერებას მოითხოვს.

„გორდელას" ხელმძღვანელმა თამაზ მამალაძემ სტუმრებს ანსამბლის დაფუძნების ისტორია უამბო და მომავალ გეგმები გააცნო. შემდეგ კი, „გორდელამ" სტუმრებს საკუთარი რეპერტუარი წარუდგინა.

გოგონების მოსმენისას დარბაზი ემოციებს ვერ მალავდა. სტუმრებმა განსაკუთრებულად აღნიშნეს მათი ნიჭიერება, პროფესიონალიზმი, ის სიხალისე და ბუნებრიობა, რაც სცენიდან მოაქვთ.

მათი თქმით, ბევრი კარგი ანსამბლი არსებობს, მაგრამ „გორდელას" განსაკუთრებულობა იმაშია, რომ პროფესიონალური შესრულების გარდა, საოცარი ემოცია, დადებითი მუხტი და სიხარულიანი განწყობა მოაქვთ, რაც მაყურებელს გულგრილს ვერ ტოვებს და ამიტომაცაა, რომ მათ კონცერტებზე დარბაზი ყოველთვის ფეხზე წამომდგარი უკრავს ტაშს და მათთან ერთად მღერის.

აღინიშნა ასევე ისიც, რომ „გორდელა" ნამდვილად იმსახურებს გამორჩეულ ადგილს ქართულ სცენაზე.

როგორც ყოველთვის „გორდელას" გამოსვლა ამჯერადაც მქუხარე აპლოდისმენტებით დასრულდა და დარბაზში მყოფმა მსმენელმა განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა „ანსამბლის" ხელმძღვანელს იმ სიხარულისა და სიამოვნებისთვის, რასაც „გორდელას" წევრები ქართველ მსმენელს ჩუქნიან.

მსმენელთა საერთო აღტაცება გამოხატეს ლევან ქურციკაშვილმა, ქეთევან შენგელიამ, ლია სტურუამ, ინგა მილორავამ, ელისო კალანდარიშვილმა, მანანა გაბაშვილმა, თამაზ ხმალაძემ და მაკა ჯოხაძემ.

ცნობისთვის: გოგონათა საკრავებიანი ფოლკლორული ანსამბლი „გორდელა" 2007 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე, ანსამბლ „ურმულის" სოლისტმა თამაზ მამალაძემ დააარსა. ანსამბლი რვა სტუდენტი გოგონასგან შედგება. ესენი არიან: სოფო ქირია, ანა გულედანი, თამუნა ალადაშვილი, ქეთი კვირკელია, თეა ქირია, ნატალია ბაბაშვილი, ნინო კაციტაძე და ნათია ხმალაძე.

მედიანიუსი

## TV პროგრამა

ოთხშაბათი 15 ივნისი

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯ.ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00**, **16.00**, **20.00** მოამბე **12.30** აუდიტორია (გან.) **13.30** მეხსიერება **14.00** ქართული დოკუმენტალისტიკა **15.00** სერ. **"ხუთი და"** **17.00** ან. ფილმი "სამურაი" **18.00** ჩვენი სამართალი **18.30** სილამაზის ფორმულა **19.05** დოკ. ფილმი "დინოზავრების კვალდაკვალ" **21.00** სერ. **"ხუთი და"** **22.00** ევროპული არჩევანი **23.30** აივანი **00.00** მხ. ფილმი **"ოჯახის სახელით"** (დ. ბერიმორი) **01.40** მოამბე **02.00** ევროპული არჩევანი **03.30** ჩვენი ეზო

**08.00**, **00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00**, **23.00** ბრიფინგის დროით **10.00**, **22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია **19.00** დოკ. ფილმი "შავწვერა" **20.00** მხ. ფილმი **"საბრალონი"** **01.00** მხ. ფილმი **"28 დღე"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმღყვდეული"** **12.00**, **15.00**, **18.00**, **21.00**, **04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** კომედი შოუ **17.00** სერ. **"მორენას ვნება"** **18.45** სერ. **"ავრორა"** **19.45** სერ. **"ელენას მოჩვენება"** **22.00** იღბლიანი ბორბალი **23.00** რა? სად? როდის? **00.00** შუა დღე (გან.) **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** **11.00**, **14.00**, **17.00**, **20.00** ქრონიკა **11.30** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **12.30** დღის შოუ (პირ.) **13.45** ტვმარკეტი **14.40** ღამის შოუ (გან.) **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** ყოფილი ცოლების კლუბი **23.00** თბილისი ლაივი **23.45** შეგირდი **00.15** პოკერ რინგი **01.25** მხ. ფ. **"მინდა გახსოვდე"** (**12**) (რ. პატინსონი) (სუბტ.) **03.35** მხ.ფ. **"სხეულის გამტაცებლები"** (ბ.უორთი) (სუბტ.) **06.30** სერ. **"ბოშები"**

**08.00** ანიმაცია **09.45** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **10.00** გოგიჩას დილა **11.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **15.30** ფარული კამერა **16.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **17.10** მხ. ფილმი **19.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **22.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **23.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **04.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **05.00** მხ. ფილმი

**08.30**, **11.30**, **14.30**, **17.30**, **20.30**, **22.30**, **01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30**, **23.40** სერ. **"პეტერბურგის საიდუმლოებანი"** **10.30** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **11.50**, **21.00** სერ. **"უკანასკნელი საჯარიმო"** **12.50**, **19.30** სერ. **"ამანდა ო"** **15.00** სერ. **"განებივრებული ლამაზმანი"** **16.30** დროის ვექტორი **18.00** დოკ. ფილმი **23.00** სცენა **00.30** მხ. ფილმი

ერთსულოვნება

**08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.05**, **19.00**, **22.00**, **00.05** სიახლენი **10.20** სღვთისმეტყველო საუბრები **11.00** მგზავრები წუთისოფლისა **11.25** დროის ჩანაწერები **11.55**, **14.55**, **17.55**, **20.55**, **23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00**, **15.00**, **18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფ. **"ერთი ცის ქვეშ"** **13.30** კონცერტი – ვენის სიმფონიური მუსიკის ორკესტრი **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.20** მხ. ფილმი **"ბატონი ავანტურისტები"** **16.40** კვირიაკე **17.45** მულტსერ. "მოგზაურობა ისტორიაში" **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.15** საქართველო არის ესე **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ. ფ. **"ცარიელი ბინა"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** გზა, რომელთაც ვიარ **22.20** ქართული ალბომი **22.40** დოკ. ფ. "სვეტიცხოველი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** სუფთა დაფა **00.40** განთიადის სტუმარი **01.00** კონცერტი – პლაიდო დომინგო და პატრიცია კააში

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზვრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**15 ივნისი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6583

ევრო —2,4216

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7208

რუსული რუბლი — 0,0597

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 23-25, ღამით — 15-18

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 21-24, ღამით — 15-18

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 21-23, ღამით — 8-15

## ამინდის პროგნოზი 15 ივნისისთვის








წამალი "ფერდი" შეიცავს არაერთ ბიოლოგიურად აქტიურ სამკურნალო ნივთიერებას. "ფერდი" დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული და მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე მცენარეული წამალია.ის გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება ვეგეტონევროზის (უძილობა, აგზნებულობა, შიში, ნერვული აშლილობა, დაძაბულობა) დროს, როგორც ხველების დამაწყნარებელი, აგრეთვე კუჭ-ნაწლავის ,ქრონიკული ფაღარათის, ფილტვების, პირისღრუს, საშარდე გზების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების მკურნალობისას.

წამალი "ფერდის" მოქმედება განპირობებულია ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კომპლექსით .მათშორის უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გლიკოზი და მიგდალინი, რომელიც კუჭის ფერმენტის ზემოქმედებით იშლება და გამოყოფს ტკივილ გამაყუჩებელი,ანესთეზიური,ანტიბაქტერიული და სპაზმოლიზური თვისებების მქონე ციანწყალბადმჟავას.

ნედლეულის შემადგენლობაში შედის ნაერთები — გლიკოზიდები: ამიგდალინი, პრულაურაზინი (ლაურაცერაზინი) და მისი სტერეოიზომერი პრუნაზინი, თავისუფალი ციანწყალბადმჟავა - 0,4 - 5%; მთრიმლავი ნივთიერებები - 25%, 0,5% ეთერზეთები, 2,7% ტრიტერპენოიდები (ურსოლის მჟავა-1%), პროანთოციანები, ფენოლკარბონმჟავები (ჰიდროლიზდება კოფეინის, პარა-კუმარის მჟავას წარმოქმნით), კატეხინები (დიმერული, ტრიმერული კატეხინები, ეპიკატეხინი, (+)-კატეხინი, (–)-ეპიკატეხინი), ვიტამინი C, სტეროიდები (ბეტა-სიტოსტერინი, სტიგმასტერინი, ქოლესტერინი), ფლავონოიდები, რომელთა ჰიდროლიზით მიიღება ქვერცეტინი;

პრეპარატის ანტიოქსიდანტური აქტივობაა 72-85%;

წამალი "ფერდი" იკითხეთ აფთიაქებში. დალუქულ ქილაში მოთავსებულია 90 კაფსულა, თუ შეიძენთ ცალობით თითოეულ კაფსულაზე უნდა იყოს წარწერა "ფერდი". 2011 წელს მისი ფასი არ უნდა აღემატებოდეს 30 ლარს.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახები ნფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს.

WWW.PHERDI.GE ☎ 95-90-60

ექიმის კონსულტაცია უფასოა.

მის: დავით აღმაშენებლის გამზ.146


## გორგოძე საფრანგეთში საუკეთესო უცხოელია

ცნობილმა ფრანგულმა გამოცემა „ეკიპმა" საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის გასული სეზონი შეაჯამა და რამდენიმე ნომინაციაში გამარჯვებული დაასახელა. სასიხარულოა, რომ ფრანგების რჩეულთა რიცხვში საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი, მამუკა გორგოძეც მოხვდა. მსოფლიო დონის მორაგბეებთან ჭიდილში „მონპელიეს" ლეგიონერი ფრანგული პირველობის საუკეთესო უცხოელად დაასახელეს.



აღსანიშნავია, რომ ჩემპიონატის საუკეთესო მწვრთნელი „მონპელიეს" დამრიგებელი ფაბიენ გალტიე გახდა, ტოპ-14-ის საუკეთესო მორაგბედ „ტულუზის" წევრი უილიამ სერვა აღიარეს, საუკეთესო ახალგაზრდად კი — ასევე ტულუზელი ჟან-მარკ დუსაინი. საუკეთესო ლელოს ავტორად „კლერმონის" მორაგბე ვინსენ დებატი დასახელდა, რომელმაც თავი „სტად ფრანსესთან" მე-11 ტურის მატჩში გამოიჩინა.

შეგახსენებთ, რომ საფრანგეთის ჩემპიონატის გამარჯვებული „ტულუზა" გახდა, რომელმაც არაერთი სენსაციის შემოქმედი „მონპელიე" ფინალური მატჩის ბოლო წუთებზე 15:10 დაამარცხა.

მ. ჟ.

## მიშელ ობამა მსახიობობას აპირებს

**აშშ-ის პირველი ლედი მიშელ ობამა სატელევიზიო პროექტში „აიქარლი" ეპიზოდურ როლს შეასრულებს. ეს პროგრამა ამერიკელ მოზარდებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს.**



სერიალი მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ შექმნა მოზარდმა გოგონამ, სახელად კარლიმ, თავისი მეგობრების, სემისა და ფრედის დახმარებით ინტერნეტ-გასართობი ვებშოუ სახელწოდებით „აიქარლი".

მიშელ ობამას, როგორც კინომსახიობის დებიუტი მომავალი წლის იანვარში გაიმართება. ეპიზოდი, რომელშიც იგი მიიღებს მონაწილეობას, სპეციალურად პირველი ლედისათვის დაიწერა და ამ შოუში იგი ამერიკელი სამხედროების მხარდამჭერი პროექტის, „ჯოინინგ ფორსის" პროპაგანდირებას შეეცდება.

სატელევიზიო სერიალის პროდიუსერია დენ შნაიდერი, პოპულარული ამერიკელი სერიალების ავტორი. მის ნამუშევრებს შორის აღსანიშნავია „კენანი და კელი", „დრეიკი და ჯოში", „გამარჯვებული ვიქტორია".

მისი პროგრამა „აიქარლი" „ნიკლოდეონის" არხით 2007 წლიდან გადის ეთერში და ორჯერ იყო ნომინირებული „ემიზე".

გ.თ.


# 15 ივნისიდან

## იყიდება

100 წიგნი

„ახალი თაობის" და „საოჯახო ბიბლიოთეკის"

# სუპერპროექტის

ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო

ტომი 7

მარკესი




გაზეთი და წიგნი ერთად 8 ლარი


## ასტროპროგნოზი 15 ივნისისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** — სახლში სიახლეა, რემონტს წამოიწყებთ. **კურო** — არ აჩქარდეთ, საქმეს ბოლომდე მიიყვანთ. **ტყუპები** — რისკი არ არის გამართლებული, მშვიდად განაგრძეთ ცხოვრება. **კირჩხიბი** — ძვირფას საჩუქარს მიიღებთ. **ლომი** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ქალწული** — ახალი პროექტი გაამართლებს, იაქტიურეთ. **სასწორი** — ნუ ენდობით უცნობ ადამიანს, განსაკუთრებით საქმეში. **ღრიანკალი** — მშვენიერი დღეა, თავს კარგად გრძნობთ. **მშვილდოსანი** — ჰარმონიული დღეა, ყველაფერი გამოგიათ. **თხის რქა** — თქვენი პარტნიორი თქვენზე ზრუნავს, მის მიმართ სითბო გამოიჩინეთ. **მერწყული** — არ აყვეთ სხვებს, საკუთარ თავზე იფიქრეთ. **თევზები** — წარმატებული დღეა, საქმეს ბოლომდე მიიყვანთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ჩრდილო ამერიკის სტეპებში გავრცელებული მგელი; 2. იანვრის თვის ქართული სახელწოდება; 3. ავადმყოფური გამონაზარდი ხის ტოტზე, კორძი; 5. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული ძველად საქართველოში; 6. ქვიანი გრუნტის დამქუცმაცებელი მანქანა; 8. ქართვე ქალთა ცეკვა; 11. კუთხმზომი გეოდეზიური ხელსაწყო; 13. ნიკო ფიროსმანის ფერწერული ტილო; 14. ინდოეთის ოკეანისპირა კურორტი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში; 15. სახელმწიფო ევრაზიის კონტინენტზე; 19. ფულის ერთეული ალბანეთში.

**თარაზულად:** 1.პლაჟი რიო-დე-ჟანეიროში; 4. საუზმე სადილსა და ვახშამს შორის; 7. თიხის ფლეიტა; 9. სამაგიეროს გადახდა; 10. „სამი მუშკეტერის" პერსონაჟი; 12. მოსკოვის „ლოკომოტივისა" და საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი; 16. ნეპალის დედაქალაქი; 17. მოკლემეტრაჟიანი ქართული კინოკომედია; 18. მეწვრილმანე, პირადი ინტერესებით მცხოვრები ადამიანი; 20. მევენახეობა, მეღვინეობის ოლქი იტალიაში; 21. ბრიტანული ტაქსი; 22. ქუჩის მუსიკოსთა სახელწოდება საფრანგეთში.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*

